ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეექვსე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე,
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე
ტელეფონები:) რედაქტორის 14—76
) მდივანის 10—58
ღამის მორიგეს 13—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 84, ტელეფონი № 8—81
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დანარჩენებისათვის—1 მ. და 20 კ., განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ. ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფ. 13—80 ექსპედ. 5—48.

სამშაბათი, 14 დეკემბერი 1926 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 286 (1741)

დღიური

- ალბანეთის სენატის სესიამ დაამტკიცა იტალია-ალბანეთის ხელშეკრულება.
- სოც.-დემ. ტონერმა შეადგინა ფინეთის მთავრობა.
- შვეიცარიაში გააუქმეს პურის მონოპოლია.
- რეიხსტაგის საბიუჯეტო კომისიამ მთავრობას მისცა წინადადება გამართოს საბოლოო მოლაპარაკება საბჭ. კავშ. სავაჭრო წარმომადგენლობასთან.
- იტალიიდან ბალკანეთზე შეაქვთ დიდძალი სამხედრო იარაღები.
- ერთა ლიგის სესიამ მარტამდის გადასდო საარის ოლქის დაცლის საკითხი.

პირველხარისხოვანი და დაკვრითი ამოცანა

(მომავალი აღწერის გამო)

საქართველოს კომპარტიის ცეკას ამას წინად დასრულებულ პლენუმის რეზოლიუციაში მოსახლეობის საკავშირო აღწერის შესახებ სხვათა შორის ნათქვამია, რომ პლენუმი მოსახლეობის მიმდინარე აღწერას ცნობს **პირველხარისხოვან და დაკვრითი ამოცანად**, ამიტომ ყველა პარტორგანიზაციებმა და პარტიის ყველა წევრებმა ყოველმხრივი დახმარება უნდა გაუწიონ აღწერის წარმატებით ჩატარებას.

ამრიგად პარტიის მიერ ერთხელ კიდევ მოცემულია კატეგორიული დირექტივა მოსახლეობის საყოველთაო აღწერისათვის ყოველმხრივ ხელის შეწყობის შესახებ. 30 წელია არ მომხდარა ჩვენში მოსახლეობის საყოველთაო აღწერა. 1897 წელში ჩატარებულ აღწერის შედეგები არ იძლეოდენ მდგომარეობის უტყუარ სურათს. ეს ცნობები და საერთოდ რევოლიუციამდე შეკრებილი სტატისტიკური ციფრები გამოუსადეგარნი არიან ჩვენთვის არა მარტო მათი სიძველის გამო, არამედ იმიტომაც, რომ ისინი ვერ იძლევიან სათანადო პასუხს დღევანდელ სინამდვილისაგან წარმოშობილ საკითხებზე. ეს გასაგებიც არის. რევოლიუციამდე არსებული სტატისტიკა თავის მიზნებით და შინაარსით პირდაპირ ეწინააღმდეგება საბჭოთა სტატისტიკას.

ამავე დროს, რაც დღე მიდის, რაც საბჭოთა ეკონომიური და კულტურული აღმშენებლობა იზრდება, მით უფრო დაჟინებით მოითხოვს ჩვენგან ცხოვრება სახალხო სამეურნეო და კულტურულ ელემენტების სწორ აღრიცხვას. გეგმაშეზომილი მუშაობა სოციალისტური მშენებლობის განუყრელი თვისებაა. ეს მუშაობა კი წარმოუდგენელია არსებულ სინამდვილის რაც შეიძლება ყოველმხრივ და უტყუარ ცნობების გარეშე.

ასეთ ცნობების უქონლობა თავის მავნე დაღს ასვამს ჩვენი მუშაობის ყველა დარგზე. დღემდი ჩვენ იძულებული ვართ მომეტებით ძველი სტატისტიკური მასალით ვისარგებლოთ, მიუხედავათ ამ მასალის გამოუსადეგრობისა. გარდა ამისა ხშირია, როცა საბჭოთა ორგანოები „ვარაუდულ სტატისტიკით" მუშაობენ. ბევრჯერ შეხვდებით ზოგიერთ საყურადღებო ცნობების წინ ასეთ წინასიტყვაობას: „დაახლოებით რომ ვსთქვათ"... „გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით"... „თუ არ ვცდებით"... და სხვა.

ყველაფერი ეს იმის მაჩვენებელია, რამდენად მოიკოჭლებს ჩვენში სტატისტიკა. მოსახლეობის საყოველთაო აღწერამ ამ არანორმალობას ბოლო უნდა მოუღოს. ხელისუფლება ამ დიდი მნიშვნელობის საქმისათვის, ჩვენს საერთო ფინანსიურ ხელმოკლეობის პირობებში არ იშურებს მატერიალურ საშუალებებს და დროს. მშრომელი მოსახლეობის მთელი მოწინავე ძალა, ქვეყნის ყველა ცოცხალი ელემენტები ფეხზე უნდა დადგეს აღწერის დღეებში.

ცხადია, როგორც ყოველთვის, აქაც პირველი ადგილი პარტიას უჭირავს.

აღწერის წარმატებით ჩატარება ბევრადაა დამოკიდებული პარტორგანიზაციების მონდომებაზე და ფხიანობაზე.

პირველი და შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა საქმისათვის აქვს აღწერის პოპულიარიზაციას, ფართე საზოგადოებრივ აზრის განმტკიცებას იმის შესახებ, რომ აღწერა არ არის ფისკალური ხასიათის, რომ ის მიზნად ისახავს მშრომელი მოსახლეობის მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესებას, ქვეყნის სამეურნეო აყვავებას და კულტურულ განვითარებისათვის ხელის შეწყობას. მოსახლეობის აღწერისადმი განწყობილებაზე ბევრადაა დამოკიდებული შეკრებილ ცნობების სისწორე და სისრულე. პარტორგანიზაციებს აქ ბევრის გაკეთება შეუძლიათ. დანიშნულ დღეებში პარტიის საგიტაციო-საპროპაგანდო აპარატის მთელი ყურადღება უნდა მიპყრობილ იქნას აღწერისაკენ. გარდა პარტიის განკარგულებაში მყოფ საგიტაციო-საპროპაგანდო ძალებისა, ადგილობრივმა ორგანიზაციებმა მუშაობაში უნდა ჩაიყოლონ ქალაქის და სოფლის ინტელიგენცია.

ამასთან ერთად აღწერისათვის ხელის შეწყობის მიზნით პარტიამ უნდა გააჩაღოს საორგანიზაციო მუშაობა. ამისათვის უნდა გამოყენებულ იქნას ყველა ადგილობრივი ორგანიზაციების და დაწესებულების აპარატი. თუ კი ამას საქმე მოითხოვს, საბჭოთა დაწესებულებებმა უნდა მიაშველონ საალმწერლო აპარატს თავიანთი ძალები. პარტიამ ამ მხრივ უნდა იქონიოს სათანადო გავლენა დაწესებულება-ორგანიზაციების ხელმძღვანელ პერსონალზე.

გარდა ამისა აღწერის წარმატებით ჩატარების მიზნით ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებმა უნდა მიიღონ ყოველგვარი ზომები საალმწერლო აპარატისათვის მუშაობის ნორმალური პირობების შესაქმნელად. ასეთია ალმწერლების წინასწარი და დაახლოებითი გაცნობა იმ რაიონთან, სადაც მათ შეუხვდებათ მუშაობა, ბინისა და კვების საკითხის მოგვარება, საჭიროების დროს სამგზავრო საშუალებების მიწოდება და სხვა. პარტორგანიზაციამ უნდა გამოიყენოს მთელი თავისი ავტორიტეტი და ორგანიზაციული გამოცდილება იმისათვის, რომ აღწერის ყველა ეს მნიშვნელოვანი ტეხნიკური მხარეები უმტკივნეულოთ იქნეს მოგვარებული ჩვენი ადგილობრივი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ.

გარდა ამისა დასახულ კამპანიის ერთი მტკივნეული მხარე მდგომარეობს აღწერის ჩატარებაში სოფლად. აქ განსაკუთრებით საგრძნობი იქნება საალმწერლო ძალების სიმცირე და მათი მოუმზადებლობა. შეიძლება სოფლად უფრო დაურჩეს ადგილი მოსახლეობის მიერ აღწერისადმი გულგრილ დამოკიდებულებას. ამას თან დაერთვება გეოგრაფიული სიძნელენი, მოსახლეობის დაქსაქსულობა, ჩვენი უგზოობა და სხვა. ამიტომაა, რომ აღწერის ვადა ერთი-ორათ გადიდებულია სოფლისათვის. თუ ქალაქში აღწერისათვის დაწესებულია ერთი კვირა, სოფლად ის ორი კვირა გაგრძელდება. მაგრამ საქმეს მარტო ეს ვერ უშველის..

პარტორგანიზაციებმა უნდა ანგარიში გაუწიონ სოფლის თავისებურ დამაბრკოლებელ პირობებს და ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ სოფელს აღწერის დღეებში.

დანიშნულ ვადამდე ბევრი აღარ დაგვრჩენია. მოსახლეობის საკავშირო აღწერა კარზე გვადგია. დაცდისა და გადადების დრო აღარ არის. მთელი პარტია, თვითეული კომუნისტი ფეხზე უნდა დადგეს პარტიის მიერ აღიარებულ „პირველხარისხოვან და დაკვრითი ამოცანის" წარმატებით ჩასატარებლად.

მათ ცრემლები. მშრომელთ კი სიხარული

„გააბინძურეს ბაქო, და ეხლა შეუდგენ განჯის გაბინძურებას", მგონი ასე „გამოსთქვა" ამას წინედ მუსავატისტების ორგანომ (სტამბოლის) „ენი კავკაზია". აი, მართლაც ცრემლ-ნარევი სიცილი. „გააბინძურეს ბაქო", ეს ნიშნავს: ბაქო, რომელიც იყო ინტერნაციონალური ხროვის—ნავთის მრეწველთა, „გამოსული ხალხის", ხანებისა და ბეგების, ჯიშიანი დენიკინელების და პოლიტიკური მეძავების (მუსავატიდან იტტიხატამდე) დედაქალაქი, გადაიქცა პროლეტარიატის დედაქალაქად, რომელმაც თავის ირგვლივ შეაგროვა ქალაქისა და სოფლის ყველა მშრომელნი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, იმ პარტიის, რომელიც ახალ საფუძველზე აწყობს ჩამორჩენილ ეკონომიკას და აზერბეიჯანის ერთ წერტილზე შეჩერებულ ყოფა-ცხოვრებას. ეს ნიშნავს: ბაქო, რომელიც თანდათან ლატაკდებოდა, როცა მის აუარებელ ქონებას ითვისებდა ინტერნაციონალური ხროვა, ეს ბაქო ეხლა გადაიქცა პროლეტარიატის ქალაქად, სადაც წინედ ისეთი „განუხორციელებელი" ოცნება, როგორიც არის მაგ., ტრამვაი, ელექტრონის გზა და სხ. თითქოს შეუმჩნევლად, სულ რამოდენიმე თვის განმავლობაში ხორციელდება. ეს ნიშნავს: ბაქო, სადაც ნავთის ოქროს სუნი სდიოდა, სადაც ბურჟუაზიული გარყვნილების ალვირ-ახსნილობას თან ერთვოდა საშუალო საუკუნოების ჰარამხანები, ეხლა იგი გახდა პირველ, მაგრამ მტკიცე ნაბიჯების სარბიელად იმ ქალაქთათვის, რომლებმაც უკუაგდეს ძველი დრომოჭმული ჩადრები და მონური ჩვეულებები.

ბაქოში უფრო ნათლად იჩენს თავს საბჭოთა ეპოქის ძირითადი მოტივი, რომელიც დიდ როლს თამაშობს აზერბეიჯანის სრულიად მივარდნილ დაირაში: პროლეტარიატის პოლიტიკური და სოციალური წყობილება მთელი თავისი გადახალისების სიმძიმით დაეცა თითქოს გაქვავებულ ზნე-ჩვეულებას: ჩვენს წინაშე უდიდესი ნაპრალი და ულრმესი ცვლილებანი ძველს მემკვიდრეობით მიღებულ ყოფა-ცხოვრებაში.

მუსავატის ენაზე ეს ნიშნავს: „გააბინძურეს ბაქო".

„ეხლა შეუდგენ განჯის გაბინძურებას". განჯა, რომელიც ჯერ კიდევ ამას წინედ ტიპიური ქალაქი იყო—მის ირგვლივ მცხოვრებ ბეგების მოხარკე, ქალაქი, რომელიც მოცული იყო საშუალო საუკუნოების სიბნელით, ქალაქი, რომელიც განადგურებულ იქნა მუსავატის უახლოეს მემკვიდრეთა — დაშნაკელთა მიერ, რომელნიც თავისი სამარცხვინო სიცოცხლის უკანასკნელ წუთებს განიცდიან, ქალაქი, რომელიც ნახევრად იქნა დანგრეული, დღეს სტამბოლში გარდახვეწილ მუსავატის მიერ.

აი, ეს განჯა ეხლა მოფენილია ახალი ფაბრიკა-ქარხნებით, სელექციური სადგურით, კლუბებით, კოოპერაციით და კულტურულ-განმანათლებელი დაწესებულებებით. სომეხ-თათართა ჟლეტისა და რუსების ეშელონებზე თავდასხმის მაგივრად ეხლა დამყარებულია სრული ეროვნული მშვიდობიანობა და ნამდვილი, მტკიცე თანამშრომლობა ერებისა, რომელთაც სურთ აღმოფხვრან გუშინდელი მბრძანებლების მემკვიდრეობა. საკმაოა გაეცნოს განჯის სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. ვეზიროვის მოხსენებას, რომ ყოველ სინდისიერ მშრომელს სიხარულით აუძგერდეს გული იმის გამო, რომ იშვა ახალი განჯა.

მუსავატის ენაზე ეს ნიშნავს: „გააბინძურეს განჯა".

ამ განჯაში ეხლა სხდომები აქვს ამიერ-კავკასიის ცაკის მესამე სესიას. ყოველგვარი ზომები უნდა მიგვეღო იმისათვის, რომ ამ სხდომებზე მოგვეთრია ამიერ-კავკასიის სეიმის შტატ გარეშე დარჩენილი გმირები,—როგორადაც არ უნდა იყვნენ დასჯილნი ისინი ისტორიის მიერ,—მაშინ ეს ვაჟბატონები დაინახავდენ, რომ ამიერ-კავკასიის ყველა ერების მუშები და გლეხები განიბანენ იმ სისხლიანი ტალახისაგან, რომელშიაც მათ აგდებდენ ამიერ-კავკასიის ბოროტი სულები: მენშევიკები, დაშნაკები, მუსავატელები. ისინი დაინახავდენ, რომ ისეთი გარდატეხა მოხდა მშრომელთა შეგნებაში, რომელიც არავითარ იმედს არ იძლევა, რომ მშრომელები კვლავ დაემორჩილებიან ბურჟუაზიისა და მემამულეთა რეჟიმს და ერთა შორის შუღლისა და მტრობის პოლიტიკას. უამისოდ და ამის გარეშე სად უნდა ეძიონ ბატონმა მენშევიკებმა, დაშნაკებმა და მუსავატელებმა თავიანთი კონტრ-რევოლიუციონური გაბოროტების დასაყრდენი.

და ამიტომ იმათ, ყოველივე იმის წინაშე, რასაც ისინი ხედავენ და დაინახავენ ახლოს ან შორიდან, პირველ რიგში აღმოხდებათ ტრაღიკული გოდება: „გააბინძურეს მთელი ამიერ-კავკასია". დიახ, ისინი მართალი არიან. ჩვენ გავაბინძურეთ ყოველივე ის, რაც ჩვენ მემკვიდრეობით მივიღეთ: ექსპლოატატორული სისტემა, ანტიკულტურული და ჩამორჩენილი ზნე-ჩვეულებანი! ცუდად ხომ არ გვიმუშავნია: მათ ცრემლები, მშრომელთ კი—მხნეობა და სიხარული იმ პირველ წარმატებათა გამო. რომელიც იქნა მიღწეული მათ მუშაობაში უკაპიტალისტებოდ და ბრძოლაში შოვინისტებისა და ბნელების მოციქულთა წინააღმდეგ.

მამია ორახელაშვილი.

განჯა, 13 დეკემბერი.

ამიერ-კავკასიის ცაკის მესამე სესია

12 დეკემბრის დილის სხდომა

კამათი მოხსენებების გარშემო

განჯა, 12 დეკემბერი. სესიის 12 დეკემბრის დილის სხდომა იხსნება დილის 10 საათზე ამხ. **ალამალი-ოღლის** თავმჯდომარეობით. გრძელდება კამათი აზერბეიჯანის ს. ს. რესპუბლიკის მთავრობის და განჯის სამაზრო აღმასკომის მოხსენების გარშემო. კამათში მონაწილეობას იღებენ ამხ. ამხ. **სტეპანიანი** (სომხეთი) **ჩხანაშვილი** (სიღნაღის მაზრა), **ალი გამბაროვი** (გოგჩის მაზრა), **ერზინკიანი** (სომხეთის მიწათმოქმედების სახ. კომისარი), **ფლორა ვარდანიანი** (სომხეთი), **ფარად ზადე** („აზერიტიფიკატის" თავმჯდომარე) და **კილაძე** (ქუთაისი).

ამხ. კილაძის სიტყვის შემდეგ **მამიდ სულთანი** აქვეყნებს ინჟინერთა და ტეხნიკოსების განჯის ბიუროს მისალმებას სესიისადმი.

შემდეგ კამათში მონაწილეობას იღებენ ამხ. **მუსტაფა კულიევი** (აზერბეიჯანის განათლების სახ. კომისარი) **ჩალობიანი** (ეჩმიაძინის მაზრა), **კასუმოვი** (აზერბეიჯანი), **ატაევი** (მთიანი ყარაბახი).

კამათში უკანასკნელად გამოდის ამხ. **ჩხენკელი.**

თავის სიტყვაში ის ჩერდება სასოფლო-სამეურნეო კრედიტის მდგომარეობაზე აზერბეიჯანში. საანგარიშო წელს აზერბეიჯანის სასოფლო-სამეურნეო ბანკმა თავისი საკრედიტო ოპერაციები ერთი ორად გაადიდა. 1924—25 წელს კრედიტის სახით გაცემული თანხები უდრიდა 3.600.000 მანეთს, ხოლო წარსულ წელს ის ავიდა 7 მილ. მანეთამდე. საკრედიტო ამხანაგობათა რიცხვი 69-დან 100-მდე გაიზარდა. საჭიროა, რათა აზერბეიჯანში განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მეაბრეშუმეობას. აბრეშუმის დასამზადებელი ოპერაციები უნდა მთლიანად გადავიდეს კოოპერაციის ხელში. ამჟამად მეაბრეშუმე შინამრეწველნი ნედლი მასალის დიდ ნაკლებობას განიცდიან, რადგან უკანასკნელი კერძო შემსყიდველთა ხელშია, თუ მეაბრეშუმეობის პროდუქტები მთელი 100 პროცენტით გადავიდა კოოპერაციის ხელში შინა მრეწველებს ექნებათ იაფფასიანი ნედლი მასალა, რაც ხელს შეუწყობს მეაბრეშუმეობის გაფართოებას.

საჭიროა აგრეთვე ძვირფას კულტურების მოსავლიანობის გადიდება განოყიერების და სხვა საშუალებებით. სელექციონური სადგური, რომელიც აქ შენდება—უდიდესი დასაწყისია, რომელსაც ჩვენ უნდა მივესალმოთ. ამ სადგურს მნიშვნელობა ექნება არა მარტო აზერბეიჯანისთვის, არამედ მთელი ამიერ-კავკასიისათვის.

ამხ. ჩხენკელის სიტყვის დამთავრების შემდეგ მიღებულ იქნა პრეზიდიუმის წინადადება კამათის შეწყვეტის შესახებ. თავმჯდომარე, აცხადებს, რომ საღამოს ამხ. ვეზიროვი და მუსაბეკოვი გამოვლენ საბოლოო სიტყვებით.

სესია სრული შემადგენლობით მიემგზავრება სელექციონურ სადგურის საზეიმო გახსნაზე.

სელექციონურ სადგურის გახსნა

სელექციონური სადგური მდებარეობს ქალაქიდან 6—7 ვერსის დაშორებით. სადგურის ირგვლივ გადაჭიმულია თვალუწვდენელი მინდვრები. სესიას ხვდება თაღი წარწერით „კეთილი იყოს თქვენი მოსვლა". სადგურის შენობა შემკობილია ხალიჩებით, ფლაგებით და არშიებით წარწერით 4 ენაზე: „სალამი განჯის მშრომელთაგან ა. კ. ცაკის მესამე სესიას".

სადგურის ეზო სავსეა მუშებით, სადგურის მოსამსახურეებით და ახლო-მახლო სოფლების გლეხებით. ეზოს შესავალთან მოსჩანს წითელი არშია წარწერით „მივესალმებით სელექციონურ სადგურის გახსნას".

ამხ. ბუნიატ-ზადეს სიტყვა

სადგურის გახსნის გამო შემდგარი საზეიმო მიტინგი იწყება ამხ. **ბუნიატ-ზადეს** სიტყვით.

„ამ სადგურს—აცხადებს ამხ. ბუნიატზადე—საფუძველი ჩაეყარა 1925 წლის გაზაფხულზე. უჭირავს რა სივრცე 70 დესეტინამდე, სადგური წარმოადგენს ერთ-ერთ უდიდეს საცდელ დაწესებულებას მთელს საბჭოთა კავშირში, როგორც თავისი ამოცანებით, ისე თავისი სიდიდით. მისი მთავარი ამოცანაა ბამბის და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლის საუკეთესო ხარისხების შესწავლა და შერჩევა. სადგურის მიერ მიღებული შედეგები შემოწმებულ იქნება აზერბეიჯანის სხვადასხვა რაიონებში, რისთვისაც დაარსებულია 12 დამხმარე პუნქტი. სადგურზე ამჟამად მუშაობს 70 მუშა და 10 მოსამსახურე სპეციალისტი. სეზონურ და დღიურ მუშათა რიცხვი ყოველდღიურად 300 კაცამდე ადის.

ის, რაც ჩვენ აქ ვნახეთ, მოწმობს, რომ ჩვენ მივდივართ ამერიკანიზაციის გზით არარ მარტო მრეწველობაში, არამედ სასოფლო-მეურნეობაშიაც. თუმცა ეს სადგური არ არის სავსებით დამთავრებული, მაგრამ ჩვენ მას მალე დავასრულებთ. მას დაერქმევა ორჯონიკიძის სახელობის სადგური".

ამხ. ხანოიანის სიტყვა

მოგილოცავთ ყველა თქვენ და აზერბეიჯანის მთავრობას—ამბობს ამხ. ხანოიანი—ამ სადგურის გახსნას. გუშინ ჩვენ დავესწარით ზეთის და საპნის ქარხნის გახსნას, ეხლა კი ქალაქის—სელექციონურ სადგურის გახსნის მოწამენი ვართ. ეს ნაშენები ჩვენი მრეწველობის და სასოფლო-მეურნეობის წინსვლის სიმბოლოა, მრეწველობის და სასოფლო-მეურნეობის დაკავშირების სიმბოლოა. ბეგების და ხანების ყოფილ საბუდარში ჩვენ ვაშენებთ დიად საქმეს აზერბეიჯანის განსაახლებლათ. გაუმარჯოს განახლებულ აზერბეიჯანს". (ხმები „ვაშა").

ამხ. ორახელაშვილის სიტყვა

„ფერფლისა და ნაგრევებისაგან—ამბობს ამხ. ორახელაშვილი—ჩვენ ვქმნით უდიდეს საქმეს. აზერბეიჯანის მთავრობის მოხსენებიდან, რომელიც ჩვენ აქ მოვისმინეთ, აშკარად სჩანს, რომ ჩვენ ვდგევართ სწორ გზაზე, ოქტომბრის გზაზე. ამასვე მოწმობს ეს შენობა. ჩვენ ახალ ცხოვრებას ვაშენებთ. ჩვენ არა მარტო ვამთავრებთ აღდგენის პერიოდს, ჩვენ არა მარტო მივაღწიეთ ომამდე არსებულ დონემდე, არამედ ჩვენ ახალ საფუძველზე ვაშენებთ ჩვენს მეურნეობას. ულოცავ უდიდეს გამარჯვებას მუშებს, ტეხნიკოსებს და ინჟენერებს, და აგრეთვე მთავარ მოზეიმეს—საბჭოთა ხელისუფლებას. დიდება შრომას! დიდება იმ სპეციალისტებს, რომელნიც მშრომელთა ხელისუფლებასთან ხელი-ხელ ჩაკიდებული მუშაობენ! დიდება საბჭოთა ხელისუფლებას"! (ტაში, ხანგრძლივი „ვაშა").

ამხ. ალამალი-ოღლის სიტყვა

„ყველა, ვინც ბრმა არ არის, ამბობს ამხ. ალამალი-ოღლი, უნდა იზიარებდეს ჩვენს სიხარულს. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ სადგურს სასოფლო-მეურნეობისათვის. უცქერით რა ამ რეალურ მიღწევას, ჩვენ სიხარულით შეგვიძლია შევსძახოთ მთელი ქვეყნის გასაგონათ: იაშასუნ შურა ეკიუმეტი (გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას)! გაუმარჯოს მუშებს და გლეხებს"!

ამხ. ელიავას სიტყვა

ამხ. ელიავას ტრიბუნაზე გამოჩენას მიტინგი „ვაშას" ძახილით ხვდება.

„ზეთის ქარხნის გუშინდელი გახსნა და სელექციონურ სადგურის დღევანდელი გახსნა—აგრარულ აზერბეიჯანის ინდუსტრიალიზაციის უდიდესი ფაქტებია. აქ ამ სადგურზე მეცნიერება ემსახურება გლეხობას, აქ მთელი ამიერ-კავკასიის გლეხობამ უნდა ისწავლოს როგორ უნდა ასწიოს სათანადო სიმაღლეზე თავისი მეურნეობა. უსურვებთ სადგურს შემდეგ განვითარებას და მიღწევებს სასოფლო-მეურნეობის ინტენსიფიკაციის საქმეში. გაუმარჯოს მუშებს და გლეხებს! გაუმარჯოს მეცნიერებას, რომელიც მათ ემსახურება".

ამხ. კარინიანის სიტყვა

„ყველაფერი რაც კეთდება აქ, აღმოსავლეთის საზღვარზე, ამბობს ამხ. კარინიანი, არის მაჩვენებელი სკოლა აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებისათვის. ის, რასაც ჩვენ ახალ განჯაში ვხედავთ, არის ახალი ნაბიჯი სოციალიზმისაკენ".

დაღესტანის რესპუბლიკის სახელით მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა ამხ. **ახუნდოვი.** შემდეგ სიტყვები წარმოსთქვეს აზერბეიჯანის პოლიტეხნიკუმის სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტის დეკანმა ამხ. **სმირნოვ-ლომინოვმა,** პროფესორ **კალუმინმა,** აგრონომ **მედვედიევმა.** პროფესორ **ლებედევმა.**

თავის სიტყვებში ისინი ეხებიან სადგურის მნიშვნელობას და ხაზს უსვამენ შრომის და მეცნიერების კავშირის უდიდეს ძალას.

ამხ. მუსაბეკოვის სიტყვა

„ამას წინად მუსავატური გაზეთი „ენი კავკაზ", რომელიც გამოდის სტამბოლში—სწერდა, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ გააფუჭა ბაქო და ეხლა მისდგა განჯასო. მე არაფერი არ მექნება იმის საწინააღმდეგო, რომ ჩვენ მტრებიდგან ვინმე ამჟამად დასწრებოდა აქ და დაენახა ეს ჩვენი მიღწევა. ის, რასაც თქვენ აქ ხედავთ, ეს მხოლოდ დასაწყისია. მე დარწმუნებული ვარ, რომ სოციალიზმის გზით ჩვენ გაცილებით მეტს მივაღწევთ. ჩვენი გამარჯვების თავდებია ჩვენი მთლიანობა".

სელექციონურ სადგურის მუშების სახელით გამოდის ამხ. **იზეტ ალიევი.**

მიტინგის დახურვის წინ ბუნიატ-ზადე მადლობას უცხადებს სპეციალისტებს, რომელთაც დიდი შრომა გასწიეს სადგურის ასაგებათ. ამხ. **მიხა ცხაკაია** სჭრის წითელ ლენტს სადგურის ჭიშკარზე შემდეგი სიტყვებით:

„ვაღებ ახალი ქვეყნის, სოციალიზმის აღმშენებლობის კარებს".

სესიის წევრები 2 საათის განმავლობაში ათვალიერებენ სადგურს.

საღამოს სხდომა

განჯა, 12 დეკემბერი. ა.-კავკ. ცაკის სესიის 12 დეკემბრის საღამოს სხდომაზე თავმჯდომარეობდა ამხ. **მიხა ცხაკაია.**

ამხ. ვეზიროვის სიტყვა

საბოლოო სიტყვა წარმოსთქვა განჯის სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. **ვეზიროვმა.**

ამხ. ვეზიროვი თავის სიტყვაში უპასუხებს იმ ამხანაგებს, რომლებმაც აღნიშნეს ნაკლი განჯის აღმასკომის მუშაობაში და შემდეგ ამბობს, რომ მთიან ნაწილში აუცილებლად უნდა განვავითაროთ საარძეო მეურნეობა. ვეზიროვს მოჰყავს ერთი შვეიცარიელის მაგალითი, რომელიც ამ რაიონში სცხოვრობდა, მოაწყო საუცხოვო მეურნეობა, ჰყავს კარგი საქონელი, აქვს ერბო და ყველი. „მე დარწმუნებული ვარ, ამბობს იგი, რომ განჯის სამაზრო აღმასკომი ყოველგვარ ზომებს მიიღებს, რომ მთიან ადგილებში მცხოვრებმა ჩვენმა გლეხობამ ამ შვეიცარიელზე ცუდად არ იცხოვროს და იმაზე ცუდად არ გაუძღვეს მეურნეობას. ერთმა ორატორთაგანმა ილაპარაკა სასკოლო ქსელის სიმცირეზე. მე ვფიქრობ. რომ უმჯობესია ცოტა, მაგრამ კარგი სკოლები გვქონდეს. ჩვენ ჯერ კარგი მასწავლებლები უნდა მოვამზადოთ და შემდეგ ვიფიქროთ სასკოლო ქსელის გაფართოებაზე. ამასთანავე უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენი სკოლების მდგომარეობა არც ისე ცუდია, როგორც აქ აცხადებდენ ზოგიერთი ამხანაგები.

შემდეგ საბოლოო სიტყვა ეძლევა აზერბეიჯანის მთავრობის თავმჯდომარეს ამხ. მუსაბეკოვს.

ამხ. მუსაბეკოვის საბოლოო სიტყვა

„უპირველესად ყოვლისა, ამბობს ამხ. მუსაბეკოვი, მე უნდა შევჩერდე ერთ სამწუხარო შეცდომაზე, რომელიც ჩემს მოხსენებაში შეიპარა კერძო კაპიტალის მონაწილეობის შესახებ საცალო ვაჭრობაში. ჩემი მოხსენებიდან ამხანაგებმა დაასკვნეს, რომ კერძო კაპიტალის მონაწილეობა საცალო ვაჭრობაში გამოიხატება 75 პროცენტით. ეს არაა სწორი: 75 პროცენტი ეკუთვნის არა საერთო საცალო ბრუნვას, არამედ იმ თანხას, რომელიც საერთოდ იმყოფება სავაჭრო ბრუნვაში კერძო კაპიტალის მხრივ.

ეხლა შევეხები ახალ თურქულ ანბანს. ჩემს მოხსენებაში მე მართლაც არ შევჩერებულვარ ამ საკითხზე. თუ ამით მე ოდნავ ზიანი მივაყენე ახალი თურქული ანბანის შემოღებას, მაშინ მთელ დანაშაულობას მე ვკისრულობ. ამ ანბანის შემოღების საქმეში ჩვენ უკვე გავიარეთ საგიტაციო ხანა და გადავედით პრაქტიკულ საქმიან მუშაობაზე. ჩვენ ეხლა პრაქტიკულად ვატარებთ ცხოვრებაში ახალ ანბანს. ჩვენ წამოვაყენეთ საკითხი დიდი სტამბის შექმნის შესახებ, სადაც დაიბეჭდება სამოსწავლო წიგნები, პოლიტიკური და სხ. ლიტერატურა, ახალი ანბანით არა მარტო აზერბეიჯანისათვის, არამედ მთელი საბჭოთა კავშირის ყველა თურქ-თათარ ერებისათვის (ტაში).

შემდეგ ამხ. მუსაბეკოვი აღნიშნავს იმ ნაკლს, რომლის შესახებაც იყო ლაპარაკი კამათის დროს—კულტურულ-კვალიფიციური მუშა ხელისა და თანხების ნაკლებობა. ჩვენ ამიერ-კავკასიის ფედერაციის სრულუფლებიანი წევრები ვართ და მასთან ერთად სრულუფლებიანად შევდივართ საბჭოთა კავშირში. სხვადასხვაგვარ საჭიროებისათვის, (როგორც მაგ. სკოლების აშენება, ჯანმრთელობა, წყალთა მეურნეობა) სახელმწიფოდან აზერბეიჯანი იღებს მეტს და არა ნაკლებს თანხებს საქართველ. და სომხეთთან შედარებით. მაშასადამე, თანხების ნაკლებობის გამო არ შეიძლება ვინმეს დავდოთ ბრალი. თანხების ნაკლებობა გვიშლის ხელს იმაში, რომ ერთი წლის განმავლობაში შევასრულოთ ჩვენ მიერ დასახული ამოცანები, მაგრამ ჩვენ მტკიცე ნაბიჯით მივდივართ წინ ჩვენი რესპუბლიკის გაჯანსაღების გზაზე.

ეხლა მე გადავალ ჩვენს უახლოეს პერსპექტივებზე. მრეწველობის დარგში განვითარების დიდი პერსპექტივა აზერბეიჯანში აქვს სამთამადნო საფეიქრო მრეწველობას. აქ, ადგილობრივ ჩვენ გვაქვს ბამბა, სათბობი და მდიდარი მადნები, თუმცა ეს მადნები ჯერ საკმაოდ არაა გამოკვლეული. შემდეგ ჩვენ მთელი ენერგიით უნდა შევეცადოთ გავაფართოვოთ ნავთის მრეწველობა.

რასაკვირველია, ეს ამოცანა არის არა მარტო აზერბეიჯანის, ან ამიერ-კავკასიის, არამედ საკავშირო მასშტაბის ამოცანა. სასოფლო-მეურნეობის დარგში მთელი ჩვენიძალ-ღონე უნდა მივმართოთ იქითკენ, რომ განვავითაროთ ძვირფასი ტეხნიკური კულტურა, უმთავრესად ბამბა და ვეცადოთ მისი მოსავლის მომატებას. შემდეგ აუცილებლად უნდა მიექცეს დიდი ყურადღება მუღანის მორწყვის საქმეს; ამ უახლოეს ხანში უნდა მოუღოთ ბოლო საქონლის ჭირს. სასოფლო-მეურნეობის მოსავლის გადიდებას დიდათ უშლის ხელს გზების უქონლობა. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს გზატკეცილებისა და რკინისგზების აღმშენებლობას, კერძოდ, უახლოესი ორი-სამი წლის განმავლობაში უნდა დამთავრდეს ჯულფა-ბაქოს რკინის გზის გაყვანა საბოლოო პუნქტამდე.

პირველ ხარისხოვან საკითხად უნდა იქნას ცნობილი ელექტრო-აღმშენებლობის გაძლიერება აზერბეიჯანში. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციამ უახლოეს ხანებში თვალსაჩინო ადგილი უნდა დაიჭიროს აზერბეიჯანში. ჩვენ უნდა შევეცადოთ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სპეციალიზაციას.

ამხანაგებმა კამათში აღნიშნეს, რომ უაღრესად სწორი იყო ის ეროვნული პოლიტიკა, რომელსაც აზერბეიჯანში ვატარებდით. მესამე სესიამ უნდა გამოსთქვას რწმენა, რომ ეს ეროვნული პოლიტიკა მომავალშიაც კვლავ გატარდება. დაბოლოს, ვითვალისწინებთ რა დიდ მიღწევებს კულტურული აღმშენებლობის დარგში, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოება, რომ ცარიზმის ჩაგვრის პოლიტიკის გამო აზერბეიჯანის სოფლები კულტურულად ჩამორჩენილნი არიან. ამიტომ კვლავ უნდა გაგრძელდეს ბრძოლა განათლების ფრონტზე".

აზერბეიჯანის მთავრობისა და განჯის სამაზრო აღმასკომის მოხსენებათა გამო რეზოლიუციის შემუშავებისათვის არჩეულ იქნა კომისია 16 კაცის შემადგენლობით.

შემდეგ მოსახლეობის საკავშირო აღწერის შესახებ მოხსენებისათვის სიტყვა ეძლევა ამიერ-კავკასიის ცენტრ. სტატ. სამართველოს გამგეს ამხ. **გრიგორიანს.**

ამხ. გრიგორიანის მოხსენება

თავის მოხსენებაში ამხ. გრიგორიანი დაწვრილებით ეხება მოსახლეობის საკავშირო აღწერის ამოცანებსა და მნიშვნელობას. ეს აღწერა, ამბობს იგი, პასუხს მოგვცემს მრავალ საკითხზე, რომელნიც დგანან ჩვენი პარტიისა, ჩვენი მთავრობისა და საზოგადოების წინაშე. აღწერის დროს მოსახლეობას ჩვენ არ მოვსთხოვთ არც დოკუმენტებს, არც მოწმობებს და არც სხვა რაიმე ქაღალდებს. ამ საქმეში ჩვენ დავენდობით თვით მოსახლეობას, იმ პირებს, რომელნიც უნდა იყვნენ დაკითხული. ცხადია, ამხანაგებო, რომ მოსახლეობა სრული ნდობით უნდა მოეკიდოს ამ აღწერას. თუ მოსახლეობა სწორ ცნობებს არ მოგვცემს, მაშინ ცხადია, რომ შეცდომაში იქნება შეყვანილი მთავრობა, პარტია და ყველა ისინი, რომელნიც ზრუნავენ მოსახლეობის კეთილდღეობისათვის. აღწერის საორგანიზაციო ნაწილი იმდენად რთულია, რომ ჩვენი საკუთარი ძალებით ვერ შევსძლებთ აღწერის ჩატარებას. პარტიამ და ხელისუფლებამ უდიდესი დახმარება გაგვიწია და ეხლაც გვიწევს, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ აღწერის წარმატებით ჩატარება ბევრად არის დამოკიდებული თვით მოსახლეობაზე, საბჭოთა საზოგადოებრიობაზე. ამ აღწერის დღეებში საბჭოთა საზოგადოებრიობამ უნდა დაიჭიროს პოლიტიკური და კულტურული მომწიფების გამოცდა. ჩვენ აღწერა უნდა ჩავატაროთ მეტად ხანმოკლე ვადაში, ვინაიდან თვით მოსახლეობა მეტად მოძრავი ობიექტია. მოსახლეობა იმდენად მოძრავია, რომ ჩვენ რაც შეიძლება სწრაფად უნდა ავწეროთ იგი. ქალაქების მოსახლეობა ჩვენ უნდა ავწეროთ 7 დღეში, სოფლების კი — 14 დღეში. რომ სწრაფად დავამთავროთ აღწერა, ჩვენ ამ საქმეში უნდა ჩავაბათ აღმწერლების დიდი არმია. მთელ კავშირში ეს არმია შეადგენს 200.000 კაცს. ამიერ-კავკასიაში ჩვენ გვეყოლება 10.000 აღმწერელი. 17 დეკემბერს, 10.000 აღმწერელი დაიწყებს მუშაობას, ჩამოივლიან 10.000 სოფელს, გაივლიან 170.000 კვ. ვერსტს, დაივლიან 100 დიდ და პატარა ქალაქს და აღწერენ მოსახლეობას. აი, აქ არის ამხანაგებო, საჭირო თქვენი დახმარება, ხელის შეწყობა. ერთი, ორი დღის შემდეგ თქვენ წახვალთ ადგილებზე. თქვენ უნდა გამოიყენოთ მთელი თქვენი ავტორიტეტი, რომ დაეხმაროთ აღმწერლებს ამ მუშაობაში. ჩვენ ვიკისრეთ ეს მეტად დიდი და რთული საქმე იმ იმედით, რომ თქვენ გაგვიწევთ ყოველმხრივ დახმარებას.

გამიდ სულტანოვი ამხ. გრიგორიანის მოხსენებას სთარგმნის თურქულ ენაზე. მოხსენების გამო ერთხმად იქნა მიღებული სათანადო რეზოლიუცია.

შემდეგ ამ.-კავკ. სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის მრეწველობის შესახებ მოხსენებისათვის სიტყვა ეძლევა ამხ. **ლუკაშინს,** რომელსაც მხურვალე და ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან.

ამხ. ლუკაშინის მოხსენება

საერთოდ თუ ავიღებთ, აქ ამიერ-კავკასიაში, ისევე როგორც მთელს საბჭოთა კავშირში, მრეწველობის აღდგენითი პერიოდი დამთავრებულია. გასულმა სამეურნეო წელმა საკმაოდ ნათელყო, მიუხედავათ მთელ რიგ ნაკლულევანებებისა, რომ ჩვენი სახალხო მეურნეობა, განსაკუთრებით მრეწველობა, მტკიცედ მიდის აღორძინების გზით. ნება მომეცით მოვიყვანო ზოგიერთი ცნობები, რომელიც აღდგენითი პერიოდს შეეხება, რათა ნათელი გახდეს ის, თუ რად გაუსწორით ჩვენ ომის წინანდელ დონეს, და როგორ მოხდა ეს. ქვანახშირის, მარგანეცის, ცემენტის, აგურის და კრამიტის, საფეიქრო, ტყავეულობის, საპნის და ზეთის სამრეწველო დარგებში ჩვენ აქ, ამიერ-კავკასიაში საგრძნობლად გაუსწორით ომის წინანდელ დონეს. ჩვენ ვერ მივაღწიეთ ომის წინანდელ პროდუქციას მძიმე ინდუსტრიის დარგში, შავიქვის და სამთამადნო მრეწველობაში, მსუბუქ ინდუსტრიაში (თამბაქოს, ხორბლის საფქვავ, აბრეშუმის). ჩვენი ჩამორჩენა მსუბუქი ინდუსტრიის ამ დარგებში აიხსნება მთელ რიგ სპეციფიურ პირობებით, რომელიც ამიერ-კავკასიას ახასიათებს; ეს გამომდინარეობს მთელს საბჭოთა კავშირის ეკონომიკის მდგომარეობიდან. მაგალითად, აზერბეიჯანის წისქვილები იმდენად ვერ არიან დატვირთული მარცვლეულით, როგორც ომის წინად იყვნენ. ეს იმით აიხსნება, რომ ჩრდილოეთ-კავკასიის [illegible] დატვირთულნი. თუ სათანადო დატვირთვა ვერ არის ადგილზე ჩრდილოეთ-კავკასიაში, ცხადია, ამ დატვირთვას ადგილი ვერ ექნება აზერბეიჯანშიც. ამჟამად ვცდილობთ უფრო მეტად იქნენ დატვირთული ჩვენი წისქვილები ბაქოში და იმედი გვაქვს, რომ წელს მრეწველობის ამ დარგში მივაღწევთ ომის წინანდელ დონეს. აბრეშუმის მრეწველობა ვერ აღწევს ომის წინანდელ დონეს იმის გამო, რომ ჩვენ ამ დონეს ვერ ვაღწევთ ამ მრეწველობის ნედლეულ რესურსების მხრივ აქ, ამიერ-კავკასიაში. გარდა ამისა, ჩვენ შეცდომა დაუშვით, როცა მთელ რიგ აბრეშუმის სახვევ დაწესებულებებისა დავსტოვეთ კერძო პირების ხელში, რომლებმაც ჩაშალეს ჩვენი აბრეშუმის მრეწველობის დატვირთვა. მე დარწმუნებული ვარ, რომ წელს ჩვენ ბოლოს მოუღებთ ასეთ მდგომარეობას და სავსებით დავტვირთავთ აბრეშუმის სახვევ ქარხნებს. თამბაქოს მრეწველობის ჩამორჩენილობა დაკავშირებულია სამომხმარებლო ბაზართან. ჩვენი ფაბრიკები ნედლეულით უზრუნველყოფილი არიან. მათი მოწყობილებაც სავსებით გამოსადეგია იმისათვის, რომ პროდუქცია მივიყვანოთ ომის წინანდელ დონემდე. ჩემი აზრით, აქ ჩამორჩენილობის მთავარი მიზეზია ის, რომ დღევანდელ ბაზრის სამომხმარებლო ტევადობა ნაკლებია ომის წინანდელ დროსთან შედარებით. ჩვენი მრეწველობის ყველაზე ჩამორჩენილი დარგი არის სამთამადნო მრეწველობა; შავიქვის მრეწველობა, რომელიც ამ დარგს ეკუთვნის, მხოლოდ ომის წინანდელი პროდუქციის 47,4 პროცენტს აღწევს; ის კონცესიონერების ხელშია. ნავთის მრეწველობას მე არ ვეხები. მას საკავშირო მნიშვნელობა აქვს. ასეთია მოკლეთ აღდგენითი პერიოდის შედეგები ამიერ-კავკასიის მრეწველობაში.

შემდეგ ამხ. ლუკაშინი ციფრებით ილუსტრირებს სახელმწიფო მრეწველობის ზრდას ამიერ-კავკასიაში უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში. თუ 1924 — 25 წ. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ხაზით გაერთიანებული მრეწველობის პროდუქცია შეადგენდა 33 მილ. მანეთს, სამაგიეროთ 1925—26 წელს ის შეადგენს 54 მილ. მანეთს. ხოლო თუ ჩვენ ავიღებთ ამიერ-კავკასიის მთელს ცენზიან მრეწველობას, სახელმწიფო, კოოპერატიულ და კერძო მრეწველობას, ნავთის გამოკლებით, მივიღებთ შემდეგ სურათს. 1923—24 წელს ცენზიან მრეწველობაში მუშაობდა 16 ათასზე მეტი მუშა, 1924—25 წ. —20½ ათასი, შარშან კი—30 ათასი. რაც შეეხება აბრეშუმის მრეწველობას, გასული წლის დასაწყისში საქართველოში ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით აშენდა მთელი რიგი აბრეშუმის სახვევ ფაბრიკებისა. წელს ჩვენ ვიწყებთ ასეთივე ქარხნების აგებას აზერბეიჯანში და ასეთების გამრავლებას საქართველოში. ჩვენი მიზანია, რომ ახალმა აბრეშუმის სახვევმა ფაბრიკებმა სავსებით დაამუშაონ ამიერ-კავკასიის აბრეშუმის ნედლეული. სატყეო მრეწველობის დარგში ჩვენ უკვე ავამუშავეთ ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით ტკეჩის ქარხანა საქართველოში. ტკეჩები, რომელიც ჩვენ წინად უცხოეთიდან შემოგვქონდა, ამიერიდან აქ დამზადდება. სომხეთში მზადდება კარბიტი, რომელიც აგრეთვე წინად საზღვარგარეთიდან შემოგვქონდა. კარბიტის ეს ქარხანა თითქმის პირველია მთელს საბჭოთა კავშირში.

შევსძლებთ თუ არა ჩვენ მრეწველობის განვითარების სათანადო ტემპის უზრუნველყოფას? აქ უნდა მოვიყვანოთ ზოგიერთი ციფრები. შარშან ამიერ-კავკასიის სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ხაზით გაერთიანებულ სახელმწიფო მრეწველობას სახელმწიფო ბიუჯეტით მიეცა 6½ მილ. მანეთი. საბინაო რესურსებმა მოგვცა 2 მილიონამდე მანეთი. მიმდინარე წელს მე არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ საბინაო რესურსები დაახლოვებით შეადგენენ 6 მილ. მან., გარდა ამისა, ბიუჯეტის ხაზით ჩვენ გვექნება დაახლოებით 12 მილ. მანეთი. ეს საშუალებები, ეჭვს გარეშეა, გააძლიერებენ ჩვენი მრეწველობის განვითარებას და დააჩქარებენ მის რეკონსტრუქციას.

შემდეგ ლუკაშინი ჩამოთვლის მრეწველობის რომელ დარგებს ეძლევა მიმდინარე წელს საშუალებები საქართველოში, აზერბეიჯანში და სომხეთში.

ჩვენ ზედმიწევნით უნდა გადავთვალიეროთ ჩვენი წარმოებები, დავხუროთ მათ შორის ისინი რომელნიც ცუდათ მუშაობენ — არ იძლევიან მოგებას, რათა განთავისუფლებული რესურსები გადავისროლოთ ეკონომიურად უფრო ხელსაყრელ და ტეხნიკურად უფრო მოწყობილ წარმოებებში. ჩვენი სამრეწველო გეგმების შედგენის დროს ჩვენ უნდა გამოვიჩინოთ დიდი სიფრთხილე და ტეხნიკურად და ეკონომიურად უნდა დავასაბუთოთ ეს გეგმები. შემდეგ ჩვენ გვაქვს ჯერ კიდევ მოუწესრიგებელი დარგი, შრომის რაციონალიზაცია, რომელიც მჭიდროთ დაკავშირებულია ტეხნიკურ რაციონალიზაციასთან. ამ საქმის სათანადოთ დაწყების გარეშე ჩვენ ვერ მივიღებთ სამრეწველო რესურსების მაქსიმალურ დაგროვებას. აქ ჩვენ მრავალი ნაკლი გვაქვს და დიდი მუშაობა არის საჭირო ამ ნაკლულოვანებათა გამოსასწორებლათ. შემდეგ—უნდა აღვნიშნო მომჭირნეობის რეჟიმის გატარება.

მომჭირნეობის რეჟიმი ჩვენი მეურნეობის სულისჩამდგმელი უნდა იქნეს თავიდან ბოლომდე. ჩვენს ინდუსტრიალურ განვითარებაში დიდი მნიშვნელობა ეძლევა აგრეთვე ტეხნიკურ ხელმძღვანელობის საკითხს. ამ რატომ სდგას ჩვენს წინაშე მაღალ კვალიფიციურ ძალების მომზადების ამოცანა. ჩვენ ყოველივე ზომები უნდა მივიღოთ ამ კვალიფიციურ ძალების მოსამზადებლად. დაბოლოს, ასეთი კვალიფიციური ძალები ჩვენ გეგმიანი წესით უნდა მოვამზადოთ ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში.

დამაკმაყოფილებლად ვერ სდგას ჩვენში მუშათა საბინაო აღმშენებლობის საქმე. ძველ სამრეწველო რაიონებში კიდევ შეიძლება დროებით დავკმაყოფილდეთ არსებულ საბინაო სივრცით, მაგრამ ახალ წარმოებებში მუშები უნდა უზრუნველვჰყოთ საცხოვრებელი ბინით.

თავისი მოხსენების ბოლოში ამხ. ლუკაშინი ჩერდება ელექტროფიკაციის საკითხებზე. ჩვენ—ამბობს ის—უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჩვენი რეკონსტრუქციაქმნილი მრეწველობა მომავალში დაეყრდნობა ელექტრონის ენერგიას. ჩვენს მხარეს საკმაოდ მოეპოვება ელექტრონის ენერგიის წყაროები. ჩვენ საკმაო რესურსები გვაქვს ელექტროფიკაციისათვის და ეს რესურსები უნდა მოვახმაროთ ჩვენი მრეწველობის შემდგომი განვითარების მთავარ მამოძრავებელ ძალას. მე ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ ლენინაკანის საფეიქრო ფაბრიკას, რომელიც უკვე გადავიდა იაფფასიან ელექტრონის ენერგიაზე, ექნება 300—400 ათასი მანეთი ყოველწლიური ეკონომია სათბობ მასალაზე. იგივე შეიძლება ითქვას თბილისის მრეწველობის შესახებ, რომელიც ზაჰესის ენერგიაზე გადადის. შემდეგში ჩვენ განზრახული გვაქვს შევქმნათ ამიერ-კავკასიაში ძლიერი ცენტრალური ელექტრო-სადგური. ამით ჩვენ რამოდენიმე ნაბიჯით წინ წავსწევთ ჩვენი ინდუსტრიის განვითარება-ელექტროფიკაცია ბუნებრივ სიმდიდრეთა საფუძველზე, ამიერ-კავკასიის მუშურ-გლეხური მასების დახმარებით, საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელობის საქმეს. მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ ამას შევსძლებთ. ამიერ-კავკასიის ბით უნდა გადაიქცეს ჩვენი განვითარების უმნიშვნელოვანეს გადამწყვეტ წყაროთ. ამ ამოცანის გადაჭრა იქნება მთელი ჩვენი სამრეწველო განვითარების ამოცანის გადაჭრა.

ამით იხურება სესიის საღამოს სხდომა. დილის სხდომაზე დაიწყება კამათი ამხ. ლუკაშინის მოხსენების გარშემო.

(გაგრძელება იხ. მეორე გვერდზე)

განჯის ზეთის სახდელი ქარხნის გახსნა

11 დეკემბერს, დაახლოებით ნაშუადღევის 2 საათზე, განჯის სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ვეზიროვის მოხსენებით დამთავრდა ამ.-კავკ. ცაკის მესამე სესიის მეორე სხდომა.

ავტომობილების გრძელი რიგები, რომლებშიაც სხედან ამ.-კავკ. ცაკის წევრები, მიიმართებიან წითელი აზერბეიჯანის ახალი ქარხნისაკენ. ნაშუადღევის სამი საათი. დანიშნულია ამ ქარხნის საზეიმო გახსნა. რამოდენიმე წუთის შემდეგ უკვე შორიდანვე მოსჩანს ქარხნის მაღალი მილი, რომლიდანაც კვამლი ამოდის. ამ ქარხანას დიდი ყურადღება მიაქცია თავის მოხსენებაში აზერბეიჯანის სახ. კომ. საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. მუსაბეკოვმა. გზაში ამიერ-კავკასიის ცაკის წევრების ყურადღებას იქცევს გზა-ტკეცილის ასწვრივ დალაგებული საალმშენებლო მასალა, სადაც ფუსფუსებენ ასეული მუშა-აღმშენებლები; უკვე მოსჩანს ახლად-დაბადებული გიგანტის —ჩითის ფაბრიკის კედლები.

გამარჯვება გამარჯვებაზე! აი, თანამედროვე განჯა!

სიხარულითა და მხიარული განწყობილებით უახლოვდებიან ამ.-კავკ. ცაკის წევრები უდიდეს შენობას—ზეთის სახდელ ქარხანას, რომელიც მორთულია წითელი დროშებით და ლოზუნგებით. კორპუსის შუაში ფართე წითელ არშიაზე მოსჩანს ამხ. მიასნიკოვის სურათი; ქარხნის დიდ ეზოში, მთავარი შენობის პირდაპირ ტრიბუნაზე—ამხ. ცხაკაია, ლუკაშინი, ბუნიატ-ზადე, მახარაძე, კარინიანი და სხვანი. ტრიბუნის მახლობლად ამ.-კავკ. ცაკის წევრები, რომელნიც იმყოფებიან ადგილობრივ მუშაკებსა, მუშებსა და ქარხნის მოსამსახურეებს შორის. ქარხანა საყვირის მძლავრი გუგუნით თითქოს ესალმება ძვირფას სტუმრებს. ამხ. ბუნიატ-ზადე, რომელმაც გახსნა საზეიმო სხდომა, აცნობს სესიის წევრებს ქარხნის ისტორიას და მის ნაყოფიერებას. ქარხანაში ეხლა მუშაობს 362 მუშა. მომავალში იმუშავებს 500 მუშა. თესლის გადამუშავება ყოველ წლიურად მიაღწევს 4 მილიონ ფუთამდე. ქარხანა ყოველ წლიურად დაამუშავებს 700 ათას ფუთ ზეთს.

ქარხნის გახსნას ესალმებიან ამხ. ცხაკაია, ლუკაშინი, მახარაძე, კარინიანი, იაგუბოვი და სხ. ისინი აზერბეიჯანის მშრომელთ ულოცავენ უდიდეს მიღწევას სამეურნეო ფრონტზე. განჯა, ამბობენ ისინი, მუსავატელების და დაშნაკელების სისხლიანი პოლიტიკის ყოფილი სარბიელია, განჯა—მოწმეა იმ კაშმარულ საშინელებათა, რომელნიც ხდებოდა აზერბეიჯანის ხანებისა და ბეგების ხელებით; დღეს ამ განჯაში უდიდესი საძირკველი ეყრება სოციალისტურ წარმოებას. აზერბეიჯანის მშრომელებმა თავი დააღწიეს წარსულის კოშმარს და კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ძალა უფლების ხელმძღვანელობით შეუდგენ მშვიდობიან შრომას, რომელიც უზრუნველყოფილია ამიერ-კავკასიის ყველა ერების ძმური სოლიდარობით.

„მე შევეკითხე ამერიკელ სპეციალისტებს: რით ჩამორჩება ჩვენი ქარხანა თავის მოწყობილობით ამერიკის ზეთის სახდელ ქარხნებს?—არაფრით, მიპასუხეს მათ", აცხადებს ამხ. ბუნიატ ზადე. ეს ნიშნავს იმას, რომ ქარხანა ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით არის აგებული. ინდუსტრიალური ტეხნიკის საფუძველზე ჩვენ ვადიდებთ შრომის ნაყოფიერებას ჩვენს ქვეყანაში: განჯა და მისი რაიონები ხომ მდიდარია ნედლეულის უდიდესი მარაგით. რამოდენიმე ათას გლეხს მიეცემა საშუალება, რომ თავისი ნედლეულის პროდუქტების რაციონალური რეალიზაცია მოახდინონ. ასობით და ათასობით მუშები და გლეხები იშოვიან სამუშაოს. წარმოებათა ტეხნიკურ გაუმჯობესებათა საფუძველზე ჩვენ საძირკველს უყრით ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას, სწრაფი ნაბიჯებით მივყავს წინ ჩვენი ეკონომიკა და კულტურა სოციალიზმის გზაზე. ეხლა განჯაში უკვე 20.000 შეკავშირებული მუშა არის. განჯა—პროლეტარული მუშური რაიონია, სოციალისტური აღმშენებლობის კერაა.

განჯის ქარხნები, ისე როგორც მთელი ჩვენი სოციალისტური აღმშენებლობა ამიერ-კავკ. სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში, ამიერ-კავკასიის მშრომელთა მშვიდობიანი პოლიტიკური და ეკონომიური თანამშრომლობის შედეგია. ამაშია ჩვენი ძალა. ამით ვამაყობთ ჩვენ. ამ გზითვე მივაღწევთ ჩვენ ახალ გამარჯვებებს. ქარხნის მთელ ტერიტორიაზე გაისმის მხურვალე ტაშის ხმა და ხმა-მაღლა ძახილი: „ურა", გაუმარჯოს წითელ აზერბეიჯანის ინდუსტრიალიზაციას, გაუმარჯოს წითელ განჯას! ამხ. ბუნიატ-ზადე სესიას და ყველა შეკრებილ ამხანაგებს წინადადებას აძლევს, რომ ქარხანას დაერქვას ამიერ-კავკასიის სამეურნეო პოლიტიკის ერთი საუკეთესო ხელმძღვანელის—დაღუპული ამხ. მიასნიკოვის სახელი. კრება ამხ. მიასნიკოვის ხსოვნას პატივს სცემს ქუდების მოხდით.

წინადადება მიღებულ იქნა ერთხმად. საყვირი იძლევა მუშაობის დაწყების ნიშანს ბოლით აივსო ქარხნის საკვამლე მილი. დაიწყეს მუშაობა ახალმა დიდმა მანქანებმა. მოუჭირეს წნეხს. ამიერ-კავკასიის ცაკის წევრების წინაშე ამუშავდა წითელი აზერბეიჯანის მშრომელთა ძალღონით შექმნილი, წითელი აზერბეიჯანის სიამაყე, კიდევ ერთი გიგანტი—ამხ. მიასნიკოვის სახელობის ზეთის სახდელი და საპნის სახარში ქარხანა.

ი. ვარძიელი.

განჯა, 13 დეკემბერი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამიერ-კავკასიის ცაკის მესამე სესია
(გაგრძელება)

13 დეკემბრის დილის სხდომა
კამათი ამხ. ლუკაშინის მოხსენების გარშემო

განჯა, 13 დეკემბერი. სესიის 13 დეკემბრის დილის სხდომაზე ამხ. **ხანოიანის** თავმჯდომარეობით გაიხსნა კამათი ამხ. ლუკაშინის მოხსენების გარშემო.

კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. **რაგიმ გუსეინოვმა** (ქურთისტანის აღმასკომის თავმჯდომარე), **მუხტარ ფატალიმ** (ბაქო), **ქავთარაძემ** (ქიათურა), **ჩალინგაროვმა** (განჯა), **ალი-აბდულარაჰიმ-ოღლიმ** (ნახიჩევანის მხარე), **კასუმოვმა** (სალიანის მაზრა), **სარქისიანმა** („ოიგიუხკოოპ"-ის თავმჯდომარე), **კიაზიმოვმა** (განჯა), **სულთანოვმა** (აზერბაიჯანის ცაკის მდივანი), **ბალიანმა** (სომხეთის სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარე).

საბოლოო სიტყვა ეძლევა ამხ. **ლუკაშინს**.

ჩემს მოხსენებაში, ამბობს ამხ. ლუკაშინი, მე აღვნიშნე როგორც მიღწევანი, ისე ნაკლი. მაგრამ მე უნდა ვაღიარო დანაშაული, რომ მხედველობიდან გაუშვი სამუშაო ხელფასის საკითხი, რომელსაც შეეხნენ კამათში.

სამწუხაროდ, მე არ მაქვს საერთო ცნობები ამ საკითხის შესახებ. ცალკე წარმოებების მიხედვით ხელფასის მომატება 1925—26 წ. შეადგენს 5-დან 20 პროცენტამდე. უეჭველია ის ფაქტი, რომ რეალური ხელფასი ამიერ-კავკასიის მრეწველობის ყველა დარგებში იზრდება.

ეხება რა მებამბეებისათვის მანუფაქტურის და პურის მიწოდების საკითხს, ამხ. ლუკაშინი გამოსთქვამს რწმენას, რომ მებამბეობის რაიონებისათვის პურის მიწოდების საქმე მიმდინარე წელს გაცილებით უფრო კარგად იქნება დაყენებული. მანუფაქტურის მოთხოვნილების სავსებით დაფარვა კი ჩვენ არ შეგვიძლია და უნდა დავკმაყოფილდეთ მანუფაქტურის საერთო ფონდიდან მებამბეობის რაიონებისათვის მანუფაქტურის განსაზღვრულ რაოდენობის გადადებით.

სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტის მხრივ არსებობს ამიერ-კავკასიის სახ. კომისართა საბჭოს სპეციალური დადგენილება იმის შესახებ, რათა ყველა სამ რესპუბლიკაში მოწყობილ იქნეს თითო მსხვილი მასშტაბის სარემონტო სახელოსნო. ეს საქმე დავალებული აქვს „ზაკსელმაშ"-ს.

შემდეგ ლუკაშინი აღნიშნავს, რომ საჭიროა გავაძლიეროთ ყურადღება შინა-მრეწველობის მიმართ.

გადადის რა ამიერ-კავკასიის სამთამადნო სიმდიდრეთა შესწავლის საკითხზე, ამხ. ლუკაშინი აღნიშნავს, რომ ეს საქმე მეტად სერიოზულია და მას უნდა შეუდგეთ ამიერ-კავკასიის მასშტაბით. ბალიანის წინადადებას მთელი მრეწველობის სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ხაზით გაერთიანების შესახებ, ლუკაშინი ნაადრევათ და მიზანშეუწონლად სთვლის.

ლუკაშინის მოხსენების გარშემო რეზოლიუციის დასამუშავებლათ არჩეულია კომისია 17 კაცის შემადგენლობით.

საღამოს სხდომა
კარინიანის განცხადება ლენინაკანის შესახებ

განჯა, 13 დეკემბ. 13 დეკემბრის საღამოს სხდომას თავმჯდომარეობდა ამხ. **ალამალი - ოღლი**. სესიამ მოისმინა სომხეთის ცაკის თავმჯდომარის ამხ. კარინიანის განცხადება ლენინაკანის მიწისძვრის შესახებ.

— მიწისძვრის საშინელება — ამბობს ამხ. კარინიანი სრულიად მოულოდნელად დაატყდა თავს ლენინაკანის რაიონის მშრომელთ. ლენინაკანი მხოლოთ ეხლა იმართებოდა წელში იმპერიალისტური ომის საშინელებათა შემდეგ. ლენინაკანელი გლეხობა ეხლა დგებოდა ფეხზე.

სომხეთის სახკომსაბჭო, მთელი კავშირის მშრომელთა დახმარებით, შეუდგა ლენინაკანის აღდგენას. მიწისძვრას დიდი ნივთიერი ზიანის გარდა ჰქონდა განსაკუთრებული ფსიქოლოგიური გავლენა მოსახლეობაზე.

ცნობის მიღებისთანავე სომხეთის მთავრობამ მიავლინა ლენინაკანში საგანგებო სპეციალური კომისია, რომელიც ჩავიდა ლენინაკანში ამიერ - კავკასიის მთავრობის კომისიასთან ერთად.

მიწისძვრის დასრულებისთანავე ლენინაკანში ჩამოვიდნენ მუშაკები არა მარტო სომხეთიდან, არამედ საქართველოდან და აზერბეიჯანიდანაც. ლენინაკანის გლეხებმა დაინახეს, რომ ისინი მარტონი არ არიან, რომ ფედერაცია არის რეალური მოვლენა.

ამჟამად ჩვენი ამოცანაა საჭირო სააღმშენებლო მასალის დამზადება, რომ გაზაფხულზე შევუდგეთ მუდმივი საცხოვრებელი ბინების აგებას.

საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკების ძმური დახმარება სრულ იმედს აძლევს სომხეთს, რომ გადაწყვეტილი იქნება ლენინაკანის აღდგენის საკითხი. ეს დახმარება ჩვენ მოგვდის საბჭოთა კავშირის ყოველ კუთხიდან, ციმბირის სულ მიყრუებულ რაიონებიდანაც კი. ლენინაკანის აღდგენა დამკვრელ ამოცანას წარმოადგენს იმიტომ, რომ, თუ ჩვენ მას არ განვახორციელებთ, მაშინ დაიწყება მოსახლეობის გახიზვნა ლენინაკანის რაიონიდან, რაც მძიმე ტვირთად დააწვება როგორც სომხეთს, ისე მთელ ამიერ-კავკასიას. სომხეთის მშრომელი მოსახლეობა სრული დარწმუნებულია, რომ სტიქიური უბედურებით გამოწვეული შედეგები ლიკვიდაცია ქმნილი იქნება მთელი საბჭოთა კავშირის დახმარებით".

ამხ. თოდრიას სიტყვა

ამხ. კარინიანის მოხსენების შემდეგ, გამოდის საქართველოს ცაკის მდივანი ამხ. თოდრია, რომელიც ამბობს:

„საბჭოთა ხელისუფლებას გადაუტანია ყოველგვარი თავდასხმა, დაწყებული მიწაზე კონტრრევოლიუციონერებიდან და გათავებული მოსახლეობის გონების გამაბრუებელ „ზეციური" ძალებით. ახლა ამ მტრებს უერთდება მესამე—ქვესკნელი. მიწიერ კონტრ - რევოლიუციისაგან ჩვენ გვიცავს ძლევამოსილი წითელი არმია. ახალგაზრდა - კომკავშირელთ ყოჩაღად მიაქეთ იერიში „ციურ" ძალებზე. ჩვენ ასევე ბრწყინვალედ უნდა მოვიგერიოთ ქვესკნელი კონტრ-რევოლიუცია.

ლენინაკანის რაიონის მოსახლეობას ჩვენ ისეთი საცხოვრებელი ბინები უნდა აუშენოთ, რომ ვერავითარმა ქვესკნელის მტრულმა ძალამ ვერ შესძლოს მათი დანგრევა. (ტაში). ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ ლენინაკანის რაიონი ხელმეორედ დანგრევისაგან, და ეს ამოცანა რაც შეიძლება საჩქაროდ უნდა განვახორციელოთ.

გაუმარჯოს ჩვენს დახმარებას ლენინაკანის რაიონისადმი!" (ხანგრძლივი ტაში).

ამხ. ბაგიროვის სიტყვა

შემდეგ გამოდის აზერბეიჯანის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. ბაგიროვი, რომელიც ამბობს:

„ბაქოს პროლეტარიატის წარმომადგენელს აქ ცნობისმოყვარეობისათვის არ წამოუყენებია წინადადება სესიის დღის წესრიგში ლენინაკანის ამბებზე ცნობების შეტანის შესახებ. ეს წინადადება გამომდინარეობდა აზერბეიჯანის მშრომელთა გულწრფელი ძმური თანაგრძნობისაგან საბჭოთა სომხეთის მიმართ, რომელსაც თავს დაატყდა ეს უბედურება.

საჭიროა მივმართოთ საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელთ, განსაკუთრებით ამიერ - კავკასიის მშრომელთ, რომ არ შეასუსტონ დახმარების გაწევა, ვიდრე ლენინაკანი არ იქნება აღდგენილი სრულად".

ამხ. კარინიანის მოხსენებაზე სესია ღებულობს სათანადო რეზოლუციას.

---

13 დეკემბერს, საღამოს სხდომაზე ა.-კ. ს. ფ. ს. რ. მთლიანი სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ჰუსეინოვმა.

ამხ. ჰუსეინოვის მოხსენებისა და მოხსენების ირგვლივ გამართული კამათის ანგარიში მოთავსებული იქნება ხვალინდელ ნომერში.

განჯის სკოლების მდგომარეობა
საუბარი აზერბეიჯანის კომპარტიის ცეკას მდივანთან ამხ. აგავერდიევთან

განჯა, 13 დეკემბ. აზერბ. კომპარტიის ცეკას მდივანმა ამხ. **აგავერდიევმა** ფ. **მახარაძესა და გუსეინოვთან** ერთად დაათვალიერა განჯის სკოლები. დათვალიერების შემდეგ მან თავისი შთაბეჭდილებანი გაუზიარა ამიერ - კავკასიის დეპეშათა სააგენტოს წარმომადგენელს.

„როგორც საერთო მოვლენა — სთქვა ამხ. აგავერდიევმა, — უნდა აღინიშნოს, რომ განჯაში არსებული სკოლები განიცდიან სასწავლო ნივთების დიდ ნაკლებობას. დაბალია აგრეთვე მოსწავლეთა პოლიტგანათლების დონე.

სკოლების მეორე დეფექტათ უნდა აღინიშნოს ის, რომ მოწაფეებს ასწავლიან ოსმალეთის პოეტების ნაწარმოებს ოსმალურ ჟარგონზე, მაშინ, როდესაც ადგილობრივ ჩვენ გვყავნან საკუთარი პოეტები. ამ უკანასკნელთა ნაწარმოებს კი სკოლებში არ სწავლობენ. ამ მოვლენას უთუოდ უნდა მიაქციოს ყურადღება სახალხო განათლების კომისარიატმა".

დღეს ამხ. **აგავერდიევმა, შ. ელიავამ** და **გუსეინოვმა** ინახულეს ახალშენი— ელენენდორფი.

— „უნდა აღინიშნოს, რომ ახალშენში სკოლების მდგომარეობა შედარებით დამაკმაყოფილებელია. ამ სკოლებში ძალიან კარგ ნიადაგზეა დაყენებული თურქული ენის სწავლება. მიუხედავათ იმისა, რომ პოლიტგანათლების საქმე დამაკმაყოფილებელია საჭიროა მას მაინც მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. (ადს).

მილოცვები სესიას
ამხ. კიროვის მისალმება

განჯა, 12 დეკემბერი. ლენინგრადიდან ამხ. კიროვისაგან მიღებულია შემდეგი დეპეშა:

„ვწუხვარ, რომ მე საშუალება არა მაქვს დავესწრო ზეთის და საპნის ქარხნის და ელექტრიონულ სადგურის საზეიმო გახსნას და აგრეთვე საქონლის მოსაშენებელ სადგურის საფუძვლის ჩაყრას. მხურვალე სალამს უგზავნი საბჭოთა აზერბეიჯანს, რომელმაც ახალი დიდი გამარჯვება მოიპოვა ჩვენი სოციალისტური აღმშენებლობის ფრონტზე და რომელიც მრავალმილიონიან აღმოსავლეთის აძლევს მშრომელთა ცხოვრების მოწყობის ახალ მაგალითებს.

გაუმარჯოს აზერბეიჯანს, რომელიც მტკიცედ შესდგა ინდუსტრიალიზაციის, სოციალიზმის გამარჯვების გზაზე".

შემდეგ მოსმენილ იქნა მისალმებები **გამოყენებითი ბოტანიკის ინსტიტუტის საბჭოსაგან, მებამბეობის მთავარ კომიტეტის თავმჯდომარის მამაევისაგან და სომხეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტის დეკანის კალანტარიანისაგან.**

ამხ. სმირნოვის მისალმება

განჯა, 13 დეკემბერი. საბჭოთა რუსეთის მიწათმოქმედების სახ. კომისარმა ამხ. **სმირნოვმა** ბუნიატ-ზადეს სახელზე გამოგზავნა შემდეგი დეპეშა: „სამწუხაროთ, მუშაობით დატვირთვის გამო, პირადათ არ შემიძლია ჩამოსვლა. მივესალმები ზეთის და საპნის ქარხნის და ელექტრიონულ სადგურის გახსნას და აგრეთვე მესაქონლეობის საცდელ სადგურის ნიადაგის ჩაყრას. ვისურვებთ შემდგომ მიღწევებს რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის განვითარების საქმეში". (ადს).

ამხ. მიქოიანის დეპეშა

განჯა, 13 დეკემბერი. ამხ. ბუნიატზადეს სახელზე ამხ. მიქოიანისაგან მიღებულია შემდეგი შინაარსის დეპეშა:

„სესიის სხდომა განჯაში, აზერბეიჯანის ამ მეორე მსხვილ ცენტრში, ხდება იმ დროს, როცა აზერბეიჯანს მნიშვნელოვანი სამეურნეო მიღწევები აქვს ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის აღდგენის უფრო მაღალ ტეხნიკურ ბაზაზე. აზერბეიჯანის ხალხი წლიდან-წლამდე სულ ახალ-ახალ დასაბუთებას ღებულობს საბჭოთა ხელისუფლების აღორძინებით მნიშვნელობაზე სახალხო ცხოვრებისა და მეურნეობისათვის, და სწრაფათ, ჯერ უნახავი ნაბიჯით მიდის მეურნეობის კულტურული განვითარების გზაზე. არ მაქვს რა შესაძლებლობა მივიღო თქვენი მიწვევა და პირადათ დავესწრო სესიას, მე მთელი სულით და გულით მოგილოცავთ ახალ გამარჯვებებს სამეურნეო ფრონტზე, რაც საძირკველს უყრის განჯის გარდაქმნას ინდუსტრიალურ ქალაქად. გთხოვთ გადასცეთ ჩემი მილოცვა აზერბეიჯანის მთავრობას და განჯის მშრომელთ". (ადს).

განჯის მშრომელთა დემონსტრაცია

განჯა, 13 დეკემბერი. 13 დეკემბერს, სესიის დილის სხდომის დამთავრების შემდეგ, შედგა განჯის მშრომელთა გრანდიოზული დემონსტრაცია, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 15.000 კაცმა.

დღის 2 საათზე თავისუფლების მოედანზე თავი მოიყარეს ადგილობრივმა პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა, მოწაფეებმა და წითელ ასკერებმა. დემონსტრანტები დაუსრულებელი რიგებით მიემართებოდნენ მუშათა კლუბის შენობისაკენ, სადაც იმართება სესიის სხდომები. აქ დემონსტრანტებს შეხვდნენ და მიესალმნენ ამიერ-კავკასიის ცაკის წევრები.

„გაუმარჯოს მშრომელთა დამცველ წითელ არმიას"—იძახის ავტომობილიდან ალამალი-ოღლი.

„იაშასიუნ ყირმიზ ორდი"—(გაუმარჯოს წითელ არმიას) იმეორებს კარინიანი.

პასუხად გაისმის წითელ ასკერთა ძლიერი „ვაშა". წითელ მებრძოლებს შემდეგ, სესიის წევრებს ჩაუარეს მოჯამაგირეებმა. მათ უკან მისდევს მთელი წყება ტრაქტორებისა.

„გაუმარჯოს გლეხთა არტილერიას"—გაიძახის ალამალი-ოღლი.

ლამაზი რიგებით მოდიან რკინისგზელები, საამშენებლო დარგის მუშები, ფეიქრები, მკერავები, საჰოთო-სავაჭრო მოსამსახურეები, განათლების მუშაკები, თურქ-ქალების რიგებს კარინიანი ხვდება სიტყვებით: „გაუმარჯოს აღმოსავლეთის განთავისუფლებულ ქალს".

განათლების მუშაკებს მიხა ცხაკაია ესალმება სიტყვებით: „გაუმარჯოს შრომას და მეცნიერებას, გაუმარჯოს ახალ თურქულ ალფაბეტს".

ცხაკაიას ხმაზე „იყავით მზად"—პიონერები წკრიალ ხმით უპასუხებენ „ყოველთვის მზად ვართ".

„აზირ ოლ" (იყავით მზად) იმეორებს ალამალი-ოღლი. „ჰაზირამ" (მზად ვართ)— გაისმის პასუხი.

უკვე ღამდება, როცა კლუბის შენობის წინ მიდიან დემონსტრაციის უკანასკნელი რიგები. დემონსტრაცია 2 საათზე მეტი გაგრძელდა. (ადს).

გაკოტრებული ოპოზიცია
(„პრავდა"-ს მოწინავე წერილი)

მთელი პარტიის მიერ გაკიცხული ოპოზიცია უფრო მეტი სიმკაცრით და გაავთრებით აწარმოებს ბრძოლას საკავშირო კომპარტიის წინააღმდეგ. ფრაქციული იერიში პარტიისა და კომინტერნის წინააღმდეგ ვითარდება გაძლიერებული ტემპით. საათნახევრიანი სიტყვები ფაქტიურად წარმოადგენენ თანამოხსენებებს, წინასწარ მომზადებული, კოლექტიური დეკლარაციები, რომელნიც ოპოზიციის „ახალს" პლატფორმას გამოხატავენ, მიმართულია ბოლშევიკური პარტიის წინააღმდეგ. ოპოზიცია უკანასკნელი ძალების დაჭიმვით ცდილობს, რაც შეიძლება ღრმად ჩაასოს სოლი საკავშირო კომპარტიისა და კომუნისტურ ინტერნაციონალის შორის. ეხლა უკვე ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, რომ თავის 16 ოქტომბრის განცხადებას ოპოზიცია თვითონვე ფეხით სთელავს. ეხლა უკვე ცხადია, რომ ცნობილი განცხადება კომინტერნის აღმასკომში იყო მხოლოდ სტრატეგიული ხერხი, პარტიის უღირსი საშუალებით მოტყუება. ეხლა ოპოზიციამ ჩამოიხსნა ნიღაბი.

კამენევის სიტყვა—დეკლარაცია წარმოადგენდა ოპოზიციის ფრაქციული გამოსვლის დაგვირგვინებას კომინტერნის აღმასკომის პლენუმზე.

მთელმა ჩვენმა პარტიამ საკავშირო კონფერენციის სახით ოპოზიციის გადახრა სცნო სოციალ-დემოკრატიულ გადახრად, რომელსაც ბოლშევიზმისაგან, მარჯვნით მივყევართ. იმის მაგიერ, რომ დასდგომოდა თავის მემარჯვენე სოციალ-დემოკრატიულ შეცდომების გამოსწორების გზას, იმის მაგიერ, რომ გადაესინჯა ლენინიზმის საწინააღმდეგო „პრინციპიალური შეხედულებები", იმის მაგიერ, რომ მოეცილებია დამამცირებელი სოციალ-დემოკრატიული ლაქა, როგორც ეს მას ურჩია და მოსთხოვა მე-15 საკავშირო კონფერენციამ, — ოპოზიცია საწინააღმდეგო გზას დაადგა. ოპოზიციამ გაბედა კამენევის პირით წამოეყენებია ჩვენი პარტიისათვის ბრალდება მემარჯვენე გადახრის შესახებ. კამენევმა თავის სიტყვაში სთქვა, რომ „მემარჯვენე გადახრას" წარმოადგენს „შეხედულებათა ის მწყობრი სისტემა", რომელმაც „ფართო გავრცელება ჰპოვა სწორედ ჩვენი პარტიის მე-14 ყრილობაზეო". კამენევმა განაცხადა, რომ პარტიის მე-14 ყრილობის მიერ მიღებულ დირექტივას პარტია მარჯვნით მიჰყავს.

ეს განცხადება გაუგონარი ბრალდებაა ჩვენი პარტიის წინააღმდეგ, ეს გაუგონარი ცილისწამებაა მისთვის. გარდა ამისა ის აშკარა საბაბის [illegible] იმათთვის, ვინც ცილს სწამებს საკავშირო კომპარტიას,—იმ ფრაქციულ ჯგუფებისათვის, რომელთათვის „ყოველგვარ პირდაპირ თუ არაპირდაპირ [illegible] დაჭერისაგან" ოპოზიცია [illegible] იმიჯნებოდა თავის 16 ოქტომბრის დეკლარაციაში.

ამხ. კამენევმა ილაპარაკა „მემარჯვენე გადახრაზე" „საერთაშორისო ასპარეზზედაც". ვისი გადახრაა ეს, კამენევის აზრით,—ეს არის კონტრ-რევოლიუციონერების—კორშის და სუვარინის გადახრა? გადახრა რუტ ფიშერების და მასლოვების? არა, ამ გადახრებს როდი შეეხებოდა ამხ. კამენევის სიტყვა. „მემარჯვენე გადახრად საერთაშორისო ასპარეზზე" კამენევმა მონათლა ჩვენი პარტიის საერთაშორისო პოლიტიკა, მისი ხაზი ინგლისის საკითხში და ინგლის-რუსეთის კომიტეტში (ხაზი, რომელიც სავსებით მოიწონა კომინტერნმა). ამხ. კამენევი იმასაც არ დაერიდა, რომ კომინტერნის ავანგარდის, ლენინურ საკავშირო კომპარტიისათვის „მემარჯვენე გადახრის" იარლიკი მიეკერებია.

ყველასათვის ცხადია, ვის ეხმარება თავისი საქციელით ამხ. კამენევი. იქნება მასლოვებს და ფიშერებს, რომელთა მუშაობისათვის „ყოველგვარი მხარის დაჭერა" „განსაკუთრებით დაუშვებლად" სცნო ოპოზიციამ 16 ოქტომბრის დოკუმენტში? დახეთ, თურმე ეს არის პარტიისაგან გუშინ დაკისრებულ ვალდებულებათა „სინდისიერად" შესრულება.

პარტია ლენინთან ერთად შესაძლებლად სთვლიდა და სთვლის სოციალიზმის ძლევამოსილ მშენებლობას ჩვენს ქვეყანაში. მან განამტკიცა ეს ბოლშევიკური შეხედულება თავის რეზოლიუციებში (მე-14 და მე-15 კონფერენციები). მაგრამ ამხ. კამენევს ეს არ ეხება. ლენინიზმის საკითხებში უმაღლესი კომპეტენცია ეკუთვნის არა პარტიას, არამედ თავისუფალ ხელოვანთა ოპოზიციიდან, და ამხ. კამენევი ახალ გაუგონარ ბრალდებას უყენებს პარტიას; ის ამტკიცებს, რომ ძლევამოსილი სოციალისტური მშენებლობის შესაძლებლობა, აღიარებული მთელი პარტიის მიერ, ნიშნავს „საერთაშორისო რევოლიუციონური პერსპექტივის შეცვლას ნაციონალურ - რეფორმისტული პერსპექტივებით". ამხ. კამენევის მიერ პარტიისათვის „რეფორმიზმში" ბრალის დადება არაფრით არ სჯობს საზიზღარ სიცრუეს ტერმიდორის შესახებ. კიდევ მეტი,—კამენევმა მსოფლიო რევოლიუციის ხელმძღვანელ შტაბის წინაში გაბედა განეცხადებია, რომ ჩვენი პარტიის დარწმუნება იმაში, რომ პროლეტარიატი მისი ხელმძღვანელობით აშენებს სოციალიზმს ჩვენს ქვეყანაში,—არსებითად წარმოადგენს „მეორე მხარეს პესიმიზმისა საერთაშორისო პროლეტარულ რევოლიუციისადმი". კომინტერნის ავანგარდი, ლენინის პარტია, ოქტომბრის პარტია, სოციალისტურ გამარჯვებათა პარტია, რისხვა და სიძულვილის საგანი საერთაშორისო ბურჟუაზიისათვის—თურმე შეუპყრია შავს პესიმიზმს საერთაშორისო პროლეტარული რევოლიუციისადმი.

ძალიან ბევრი იკისრა თავის თავზე კამენევმა, ძალიან ბევრიც „წამოცდა" მას ამ შემთხვევაში. კამენევი ვერ ამჩნევს, რომ თავისი გამოსვლით ის პარტიის თვალში ნდობის უკანასკნელ ნაშთებსაც ჰკარგავს. კამენევი, რომელიც გუშინ—1923, 1924, 1925 წ.წ.—შეურიგებელი მტერი იყო ტროცკიზმის, რომელიც ტროცკიზმს უწოდებდა მემარჯვენე გადახრას, მრავალფეროვან მენშევიზმს, დღეს თვითონვე გამოდის ტროცკისტულ ფარ-ხმალით. ეხლა კამენევი „იყენებს" ტროცკის, ეხლა კამენევი „ტროცკისთან არის იმიტომ, რომ ის (ტროცკი) არ ახდენს ლენინის მთავარ იდეების რევიზიას".

ოქტომბრის „გმირი", რომელსაც თავის დროზე „კურსი ჰქონდა აღებული მდიდარ სოფელზე", რათა შემდეგ გამხდარიყო თავგამოდებული ზე-ინდუსტრიალისტი, თუმცა „სოკოლნიკოვის თანამოძმე,—კამენევი იჩენს ქამელეონის ევოლიუციას განსაცვიფრებელი სისწრაფით, „იცვლის გეზს", ამაში კამენევი დახელოვნებულიც არის. მთელს პარტიას ახსოვს, როგორ არწმუნებოდა ამ რამდენიმე კვირის წინ კამენევი, რომ „უთანხმოებებს ადგილი არ აქვს", რომ ეს უთანხმოებანი ძალიან გადაჭარბებულია, რომ მათ ბოლო ეღება, რომ პარტია ალაპარაკდა „ოპოზიციის ენით".—ეხლა კი იგივე კამენევი ლაპარაკობს ზეოპოზიციურ სიტყვას, უხეშად ცილს სწამებს პარტიას, ბრალს სდებს მას „რეფორმიზმში".

ყველა ოპოზიციურ გამოსვლების პოლიტიკური აზრი ნათელია, როგორც ორჯერ ორი ოთხი. ოპოზიციას რევანშის აღება სურს საერთაშორისო ასპარეზზე. ოპოზიციას სურს გააშავოს საკავშირო კომპარტია კომინტერნის თვალში. ოპოზიციას სურს საბედისწერო გათიშვა შექმნას კომინტერნსა და მის ერთ-ერთ მოწინავე რაზმს შორის. ოპოზიცია ახალ იდეურ დახმარებას აწვდის ბოლშევიზმისადმი ნახევრად მტრულად განწყობილ, კომინტერნის მოწინააღმდეგე ფრაქციებს და ჯგუფებს.

კამენევმა, ზინოვიევმა და ტროცკიმ ცუდი თამაში დაიწყეს, თამაში, რომელსაც უეჭველია მარცხი მოელის. მათ უნდა იცოდნენ, რომ მათი პოლიტიკური წონა პარტიაში მიკროსკოპიულად უმნიშვნელოა. მათ იციან, რომ მთელი პარტიული მასა მათ წინააღმდეგ არის. რომ მუშა-კომუნისტები ვერ ითმენენ მათ ოპორტიუნისტულ მუშაობას. ხმაურობა, რომელსაც ოპოზიცია ახდენს—ეს არის ხმაურობა საზიანო პარტიისათვის და სასარგებლო მტრებისათვის, ხმაურობა, რომელიც არ შეეფერება მის, ოპოზიციის, რეალურ პოლიტიკურ ავლა-დიდებას. ეს ავლა-დიდება არის— ავლა-დიდება გაკოტრებულების, პოლიტიკურ აჩრდილების, რომელნიც სულ უფრო და უფრო ირიყებიან პარტიისაგან.

ამიტომ იყო, რომ ოპოზიციის უკანასკნელი დროის მთელი მუშაობა დამარცხებათა ერთ განუწყვეტელ ჯაჭვს წარმოადგენდა. დაწყებული პირველ საფეხურის ინსტანციიდან, დაწყებული მუშათა უჯრედებიდან („ავიოპრიბორ", „პუტილოვეც") და გათავებული მე-15 საკავშირო კონფერენციით, ოპოზიცია ყოველგან დამარცხებას განიცდიდა. ის აუცილებლად დამარცხდება კომინტერნის აღმასკომის პლენუმზედაც, ვინაიდან ურყევი მთლიანობა აკავშირებს საბჭოთა კავშირის და დანარჩენ ქვეყნების პროლეტარების რევოლიუციონურ რაზმებს, ვინაიდან შეურყეველი და სალ კლდესავით მაგარია საკავშირო კომპარტიის (ბ) და მთელი კომინტერნის ერთიანი ფრონტი.

მოსკოვი, 13 დეკემბერი.

კომინტერნის აღმასკომის პლენუმი
9 დეკემბრის სხდომა
ამხ. ტროცკის სიტყვა

მოსკოვი, 12 დეკემბერი. 9 დეკემბერს კომინტერნის აღმასკომის გაფართოებულ პლენუმზე სიტყვით გამოვიდა ამხ. **ტროცკი**, რომელმაც განაცხადა:

„სტალინი ოპოზიციას ბრალს სდებს ტროცკიზმში და ჩვენს წინააღმდეგ გამოდის ხელოვნურად შერჩეულ ციტატებით, მაგრამ ის არ ეყრდნობა ეხლანდელ პოლიტიკურ და ეკონომიურ პრობლემებს. მთელი ბრალდება დაფუძნებულია იმ ფაქტზე, რომ მე წინად არ ვიყავი ბოლშევიკურ პარტიაში და ვაწარმოებდი ბრძოლას ლენინის წინააღმდეგ. იმ ხანებში მე, თავისთავად ცხადია, შემცდარი ვიყავი, ხოლო მართალი იყო ლენინი და პარტია. მე ბევრი შეცდომა დაუშვი, მაგრამ თუ საკითხები წყდება არა ფაქტების, არამედ „ბიოგრაფიის" საფუძველზე, მაშინ საჭირო იქნებოდა კომინტერნის აღმასკომის ყველა წევრთა ბიოგრაფიის ჩაწერა.

შეცდომა დაუშვა სტალინმაც. მის ყველაზე უფრო დიდ შეცდომათ მე მიმაჩნია ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობის თეორია.

სავსებით ვეთანხმები ზინოვიევს, რომელმაც მშვენივრად დაამტკიცა ციტატებით, რომ მარქსიზმის და ლენინიზმის ტრადიციები მთლიანად ჩვენს მხარეზეა.

სტალინი ბრალს მდებდა მე კაპიტალიზმის არა თანაზომიერ განვით.-ბის კანონის უარყოფაში. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ იმპერიალიზმმა მიუხედავათ წინააღმდეგობათა გამწვავებისა მიგვიყვანა ნიველირობამდე: არათანაზომიერება იმპერიალიზმის დროს უფრო სუსტია, ვინემ ეს წინად იყო.

არ შეიძლება ერთი ქვეყნის გამოგლეჯა მსოფლიო მეურნეობიდან. ეს უმთავრესი შეცდომაა. რუსეთი ომის წინ მსოფლიო მეურნეობის შემადგენელი ნაწილი იყო და სწორედ ამიტომ ჩაება ის მსოფლიო ომში. შეიძლება თუ არა ეხლა რუსეთის გამორიცხვა მსოფლიო მეურნეობიდან? — არა. ჩვენ ფაბრიკებისათვის გვესაჭიროება მოწყობილობა, რომელიც რევოლიუციამდე შემოგვქონდა უმთავრესად საზღვარგარეთიდან. ეხლა აღდგენის პროცესი დამთავრებულია და ჩვენ ისევ უნდა შემოვიტანოთ მოწყობილობა უცხოეთიდან. ჩვენი სამრეწველო მოწყობილობის ეხლანდელი მდგომარეობა საუკეთესო დამამტკიცებელია იმის, რომ საბჭოთა კავშირი დამოკიდებულია მსოფლიო მეურნეობისაგან. ჩვენი მეურნეობა — მსოფლიო კაპიტალისტურ მეურნეობის ნაწილია.

იზოლიაციაში მყოფ სოციალისტურ სახელმწიფოს არსებობა შეუძლია მხოლოდ პუბლიცისტის ან რეზოლიუციის ავტორის ფანტაზიაში. მსოფლიო მეურნეობა კონტროლს უწევს ჩვენი მეურნეობის თვითეულ რაიონს თვით პროლეტარიატის დიქტატურის დროსაც. ვინც ლაპარაკობს ერთ ქვეყანაში სოციალიზმის დამყარების თეორიის შესახებ და მხედველობიდან უშვებს იმ გარემოებას, რომ ჩვენ თანდათან უფრო შევდივართ მსოფლიო მეურნეობის ჩარჩოებში—ის დაავადმყოფებულია მეტაფიზიკით.

ჩვენი რევოლიუცია არის მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციის შემადგენელი ნაწილი. სწორედ ამიტომ არ შეიძლება მოთხოვნა არავითარი გარანტიის იმისთვის, რომ ჩვენ ჩვენს ქვეყანაში შეგვიძლია ავაშენოთ სოციალიზმი. (ადს)

10 დეკემბრის დილის სხდომა
რიზეს განცხადება

მოსკოვი, 13 დეკემბერი. 10 დეკემბრის დილის სხდომაზე გამოვიდა **რიზე** (გერმანია, ვედინგის ოპოზიცია).

„მე ვაცხადებ,—ამბობს რიზე,—რომ არავის არ შეუძლია დაამტკიცოს ბლოკის არსებობა კორშიდან და შვარციდან დაწყებული ვებერით. ანუ ვედინგის ოპოზიციით გათავებული. როგორც აქ ამტკიცებდენ, ვედინგის ოპოზიცია რჩება კომინტერნის ერთგული და მას არასოდეს არ ჰქონია განზრახვა შექმნა უპრინციპო ბლოკი ისეთ ბელადებთან, რომელთაც სულ სხვანაირი შეხედულებები აქვთ, ვიდრე ჩვენ. თუ ჩვენ რამოდენიმე საკითხში უახლოვდებით რუტ-ფიშერ-მასლოვის ჯგუფს, ჩვენ იმავე აზრით ეხელმძღვანელობდით, როგორც აქ, რუსეთის ოპოზიცია, რომელმაც შეკრა ბლოკი ე. წ. რეფორმისტ ტროცკისთან. ჩვენ ვედინგის ოპოზიციონერები კომინტერნის მეხუთე კონგრესზე შეურიგრათ ვებრძოდით ტროცკის და ამ ბრძოლას არ შევსწყვეტდით, რომ ტროცკის განეგრძო მისი ძველი პოლიტიკა.

ტროცკის გუშინდელმა გამოსვლამ მე დამარწმუნა, რომ იგი სავსებით სცნობს თავის ყველა შეცდომებს. ვედინგის ოპოზიცია არ გამოსულა რუსეთის საკითხში რუტ-ფიშერთან ერთად.

რაც შეეხება კორშს—უნდა განვაცხადო, რომ ვედინგში არ მოიპოვება არც ერთი პატიოსანი მუშა, გარდა გივანისა, რომელსაც შეაცდენდა კორშისა და შვარცის იდეოლოგია. ჩვენ ხმა მივეცით გივანის პარტიიდან გარიცხვის წინააღმდეგ იმიტომ, რომ ვიცით, გივანი ზედმიწევნით პატიოსანი მუშაა და კორშმა იგი შეაცდინა.

მე უნდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ბურჟუაზიული და სოციალ-დემოკრატიული პრესა სრულებით არ თანაუგრძნობდა რუსეთის ოპოზიციას. გადახრების მთავარი საფრთხე ამჟამად მარჯვნივაა და ცეკა კი მთელ ყურადღებას აქცევს ულტრა-მემარცხენეობასთან ბრძოლას. ჩვენ არასოდეს არ დავეჭვებულვართ რუსეთის რევოლიუციის ხასიათში. ამავე დროს სოციალიზმის ერთ ქვეყანაში მშენებლობის უარყოფა არ ნიშნავს რუსეთის პროლეტარულ რევოლიუციის საერთაშორისო ხასიათის უარყოფას. ერთ ქვეყანაში გამარჯვების შესაძლებლობის თეორია, იმ წინაპირობის შედეგია რომელიც გულისხმობს კაპიტალიზმის მტკიცე სტაბილიზაციას ათეული წლობით.

ეს—ფარული ლიკვიდატორობაა. რუსეთის ოპოზიციის ბრძოლას გლეხობის საკითხში, ჩვენ ვსთვლით ბრძოლად, პარტიის საგლეხო პოლიტიკაში, არასწორ გადახრების წინააღმდეგ.

ტროცკიზმის შესახებ, მე ვამტკიცებ— ზინოვიევი კი არ მისულა ტროცკისთან, არამედ პირიქით. (სიცილი)

ერთა ლიგის სესიაზე
შტრეზემანის წინადადება

ბერლინი, 12 დეკემბერი. ერთა ლიგის საბჭომ დაადგინა 1927 წლის 4 ივნისს მოიწვიოს საერთაშორისო კონფერენცია. კონფერენციის მიზანია ისეთი კავშირის მოწვევა, რომელიც დახმარებას გაუწევს სტიქიურ უბედურების დროს დაზარალებულთ. კონფერენციაზე მოწვეულ იქნება აგრეთვე ერთა ლიგის გარეშე მყოფი 11 სახელმწიფო.

შტრეზემანის წინადადებით ამ ქვეყნების სიაში სიტყვა „რუსეთი" შეცვლილია „საბჭოთა სოც. რესპუბლიკების კავშირით". (ადს).

სესიის დახურვა

ბერლინი, 12 დეკემბერი. 11 დეკემბერს ჟენევაში დაიხურა ერთა ლიგის საბჭოს სესია. ძირითადი საკითხი, ანუ საკითხი გერმანიის განიარაღებაზე კონტროლის შესახებ, გადაწყვეტილ იქნა იმ მხრივ, რომ ერთა ლიგას ეძლევა გამოკვლევათა მოხდენის უფლება. საკითხი მოკავშირეების სამხედრო კონტროლის დაწესების შესახებ დარჩა გადაუწყვეტელი.

ლიგასთან არსებული მუდმივი გამომკვლევი კომისია უქმდება და ყოველ ცალკე შემთხვევისათვის ამორჩეულ იქნება განსაკუთრებული კომისიები. რეინის ოლქის განიარაღების კონტროლი ხდება საერთო წესით.

აღნიშნულ დადგენილებას არ ექნება პრაქტიკული მნიშვნელობა მანამდე, სანამ გერმანიის განიარაღებაზე კონტროლის დაწესების საკითხი არ გადაიჭრება ერთა ლიგის მიერ ანუ სანამ არ გაუქმდება მოკავშირეთა სამხედრო კონტროლი. ამ საკითხში კი არ არის მიღწეული შეთანხმება.

ელჩთა კონფერენციის განცხადება, იმის შესახებ, რომ გერმანიის განიარაღება არაა დასრულებული, ქმნის ისეთ მდგომარეობას, რომლის გამოც შეუძლებელი ხდება მოკავშირეთაშორისო სამხედრო კონტროლის გაუქმება. მაგრამ მეორეს მხრივ ელჩთა კონფერენციამ იცნო, რომ განიარაღება შეუსრულებელია მხოლოდ კენიგსბერგისა და გლოგაუს სიმაგრეთა შესახებ და აგრეთვე იმ მხრივ, რომ გერმანიაში ნებადართულია ისეთი საგნების წარმოება, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამხედრო მიზნებით.

საკომპრომისო გეგმები გულისხმობენ მოკავშირეთა კონტროლის გაუქმებას 1927 წლის 1-ლი თებერვლიდან.

საკითხი კომპრომისების შესახებ განხილულ იქნება იმ სახელმწიფოთა სადავო, რომელნიც მონაწილეობას ღებულობდენ ლოკარნოს შეთანხმებაში.

გერმანიის პოლიტიკურ წრეებში იმედოვნებენ, რომ კომპრომისი გამონახულ იქნება გერმანულ თვალსაზრისთან შეთანხმებით. (ადს).

მარტამდის

ბერლინი, 12 დეკემბერი. ჟენევიდან იტყობინებიან, რომ საარის ოლქის განთავისუფლების შესახებ საკითხის განხილვა, გადადებულია ერთა ლიგის მარტის სესიამდე. (ადს).

გომინდანის ხმა ჟენევაში

პარიჟი, 13 დეკემბერი. საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტი ესაუბრა პარიზში ჩამოსულ გომინდანის დელეგაციის წევრს სი-ა-ტინს.

— მე გაგზავნილი ვიყავი ჟენევაში— სთქვა სი-ა-ტინმა, რათა გამეფრთხილებინა პეკინის მთავრობის დელეგატი ერთა ლიგაში—ჩაო-სინ-ჩუ, რომ მას არ ჰქონდა უფლება ელაპარაკნა ჩინეთის სახელით, მაშინ როდესაც მთელი ჩინეთის მოსახლეობის ორი-მესამედი ემორჩილება კანტონის მთავრობას, ხოლო დანარჩენი ერთი-მესამედი მასთან სიმპატიურათაა განწყობილი.

ჩვენ გვინდოდა ჩაო-სინ-ჩუ არ გამოსულიყო ერთა ლიგაში ბელგია-ჩინეთის ხელშეკრულების დარღვევის შესახებ, რადგანაც ჩვენ ვფიქრობთ, რომ ყველა უთანასწორო ხელშეკრულებანი უნდა გაუქმდეს და ერთა ლიგას არა აქვს უფლება ჩაერიოს ჩვენს დამოკიდებულებაში უცხო სახელმწიფოებთან.

მე უნდა აღვნიშნო, რომ ჩაო-სინ-ჩუმ სცნო გომინდანი ჩინეთის ხალხის წარმომადგენლათ და სიტყვა დასდო, რომ არ უღალატებს ჩვენ ნაციონალურ - განმანთავისუფლებელ ბრძოლას და ჩინეთის ინტერესებს.

ზოგიერთმა ფრანგულმა გაზეთებმა გადაამახინჯეს ჩემს მიერ ჟენევაში გაკეთებული განცხადება გომინდანის განზრახვის შესახებ—შექმნას აზიის ერთა ლიგა. ამ გაზეთებმა ისე დაასურათეს მდგომარეობა, თითქოს ჩვენ ვფიქრობდეთ საბჭოთა კავშირიდან გამიჯვნას. ამ მხრივ ენერგიულათ მუშაობს ინგლისი, მაგრამ ჩვენ ასეთი განზრახვა არა გვაქვს. პირიქით, ჩვენ ვცდილობთ დავიცვათ და გავაძლიეროთ თანამშრომლობა საბჭოთა კავშირთან, რადგანაც საბჭოთა კავშირს არა თუ რაიმე დამპყრობელური მიზნები აქვს ჩინეთში, არამედ ის ყოველმხრივ ხელს უწყობს ჩინეთის ხალხს განმანთავისუფლებელ ბრძოლაში. (ადს).

ჩინეთის რეაქციის დახმარება
ახალი თათბირი

პეკინი, 11 დეკემბერი. ხანკოუდან მიღებულ ცნობით, ინგლისის წარმომადგენელს ჩინეთში ლემპსონს თათბირი ჰქონდა კანტონელთა ბელადებთან. (ადს).

პრესის დევნა

ხარბინი, 12 დეკემბერი. **ხარბინის პოლიციის სამმართველომ საბოლოოდ აკრძალა გაზეთ „ეხოს" გამოსვლა.** ამ ნაბიჯს ასაბუთებენ იმით, რომ „გაზეთი კომუნისტურ პროპაგანდას ეწეოდა". (ადს).

კანტონის გამარჯვება

ნიუ-იორკი, 11 დეკემბერი. ჩინეთიდან იუწყებიან, რომ გენერალი ჩანი, რომელმაც ამას წინეთ დამარცხება განიცადა ფუ-ჩჟოუსთან, ფუ-ცზიანის პროვინციაში, დანებდა კანტონელებს. (ადს).

გომინდანელი მძევლები მუკდენელების ხელში

პეკინი, 12 დეკემბერი. გაზეთ „ნორდ ჩაინა სტარ"-ის ცნობით პოლიცია აცხადებს, რომ გამოძიებამ არ დაადასტურა ტიან-ძინში დაპატიმრებულ გომინდანელების მიმართ წარდგენილი ბრალდებები; მიუხედავათ ამისა პატიმრები მაინც არ იქნებიან განთავისუფლებული, ვინაიდან ისინი წარმოადგენენ „საზოგადოებრივ წესრიგისათვის საშიშ ელემენტებს".

მუკდენის ხელისუფლების მიერ დაპატიმრებულთა საერთო რიცხვი ამჟამად აღწევს 16 კაცს.

პოლიციამ განაცხადა, რომ პატიმრებს არ გადასცემენ სამხედრო ხელისუფლებას. (ადს).

საკავშირო მთავრობის მოწოდება
საბჭოთა კავშირის მოსახლეობისადმი

მოსკოვი, 13 დეკემბ. 1926 წლის 17 დეკემბერს, საბჭოთა კავშირის მთელ სივრცეზე, გარდა ზოგიერთი ზამთრობით მიუდგომელი ადგილებისა, დაიწყება მოსახლეობის აღწერა. აღწერა გაგრძელდება ქალაქის ადგილებში ერთი კვირა, ხოლო სოფლად, გარდა მცირეთ დასახლებულ ადგილებისა, სადაც მიმოსვლის ცუდი პირობებია, აღნიშნული ვადა გაგრძელებულ იქნება 2 კვირამდე.

სააღწერო ბარათში თვითეულ მოქალაქის წინაშე დასმული იქნება შემდეგი კითხვები: 1) სახელი, მამის სახელი და გვარი, 2) სქესი, 3) წლოვანება, 4) ეროვნება, 5) სამშობლო ენა, 6) დაბადების ადგილი, 7) ხანგრძლივობა დროებითი ან მუდმივი ცხოვრებისა იმ ადგილას, სადაც მოუსწრო აღწერამ, 8) ოჯახური მდგომარეობა, 9) წერა-კითხვის მცოდნეობა, 10) აქვს თუ არა სხეულის ნაკლულოვანებანი ან მძიმე ავადმყოფობანი, 11) აქვს თუ არა ადგილი სულით ავადმყოფობას, 12) ხელობა, 13) არის თუ არა მოქალაქე უმუშევარი, 14) და 15) რომელთაც არა აქვთ გარკვეული ხელობა და ცხოვრობენ საკუთარი საშუალებებით—რა არის მათი ცხოვრების წყარო.

ყველა აღნიშნულ საკითხებზე სწორი პასუხის მიცემას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც მთელი სახელმწიფოსის, ისე კერძო მოქალაქეთა ჯგუფებისათვის. თუ ჩვენ ყველა ცნობები სწორი გვექნა, მაშინ უფრო ადვილათ შევძლებთ სხვადასხვა რაიონებისათვის სამრეწველო საგნების და სასურსათო პროდუქტების მიზანშეწონილ განაწილებას, მიზანშეწონილათ აღვნიშნავთ რკ. გზათა და გზატკეცილთა გაყვანის საჭიროებას, სწორათ გავანაწილებთ სასკოლო ქსელს, სავადმყოფოებს, ამბულატორიებს, ბიბლიოთეკებს, ქოხ-სამკითხველოებს და სხ. მაშინ შედარებით შეუცდომლათ გვეცოდინება კავშირის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა და მეტის სიმტკიცით და რწმენით გავატარებთ ეროვნულ პოლიტიკას საბჭოთა კავშირში მოსახლე ეროვნებათა ინტერესების მიხედვით.

ჩვენ უკეთესად გვეცოდინება, თუ რამდენი გვყავს სახელმწიფოში შრომის უნარმოკლებული ან და ისეთი მოქალაქეები, რომელთაც საზოგადოებრივი დახმარება ესაჭიროება. ჩვენ დაწვრილებით გავითვალისწინებთ ჩვენი უმუშევრობის სიდიდეს და შევძლებთ უფრო წარმატებითი ბრძოლის წარმოებას მის წინააღმდეგ. ამიტომ ყოველი შეგნებული მოქალაქე დაინტერესებულია ასეთი აღწერის წარმატებით ჩატარებაში და მან ყოველგვარი დახმარება უნდა გაუწიოს, თუ კი აქვს ამის რაიმე შესაძლებლობა. აღწერას არ შეუძლია ვინმეს კერძო ინტერესების დარღვევა, ვინაიდან სააღწერო კანონით აკრძალულია აღწერის მასალების გამოყენება სხვა რაიმე მიზნებისათვის, გარდა სააღწერო ცხრილებისა. საკავშირო მთავრობა მოუწოდებს მოქალაქეთ მოემზადონ დაწვრილებით და სწორი პასუხებისათვის აღწერის შეკითხვებზე. მიუხედავათ მომჭირნეობის რეჟიმისა, რომელსაც ჩვენ ვატარებთ, აღწერისათვის გადადებულია მნიშვნელოვანი თანხები, რამაც ტყუილ-უბრალოდ არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩაიაროს. ხოლო ყოველი ყალბი პასუხი კი ნიშნავს გადადებულ თანხების მიზანშეუწონელ ხარჯვას.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ მოსახლეობამ მიაქციოს ყურადღება შემდეგ გარემოებათ, რომელზედაც იქნება დამოკიდებული აღწერის სისრულე და სისწორე: 1) საჭიროა წლოვანება უჩვენოთ დაბადებიდან წლების გასული ნამდვილი რაოდენობის მიხედვით და არა ზეპირათ, 2) აღრიცხულ უნდა იქნენ ბავშვები, როგორც ძუძუმწოვარნი, ისე ახალდაბადებულნი, 3) საჭიროა, იმ მოქალაქეებმა, რომლებსაც აღწერის დღეს (17 დეკემბერი) თუ მოუხდებათ ხშირათ სამყოფი ადგილის გამოცვლა, დასტოვონ საჭირო ცნობები ერთ ადგილზე, რათა შესაძლებელი იქნეს მათ დაუსწრებლათ შევსებულ იქნეს სააღწერო ბარათი.

საკავშირო მთავრობა დარწმუნებულია, რომ მსოფლიოში პირველი რესპუბლიკის თავისუფალი მოქალაქენი, რომელთაც მოიშორეს არა მარტო მეფის ჯალათები, არამედ მემამულე-ბურჟუაზიის ხელისუფლებაც, მიმდინარე აღწერას მოექცევიან არა მარტო უფრო შეგნებულათ, ვიდრე მეფისდროინდელ აღწერას 1897 წელს, არამედ უფრო ერთგულათ და ბეჯითად ვიდრე რომელიმე ბურჟუაზიულ სახელმწიფოში. ჩვენი სამეურნეო მუშაობისა და კულტურული საქმიანობის მიღწევებმა დაგვარწმუნეს, რომ ფართო მასების სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ საქმეებში ჩაბმა ჩვენ გვაძლევს დიდ უპირატესობას ბურჟუაზიულ წესწყობილებასთან.

საკავშირო მთავრობა დარწმუნებულია, რომ ფართო მშრომელი მასების თანაგრძნობით და დახმარებით მომავალი აღწერა გახდება საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ უდიდეს მორიგ გამარჯვებათ, რაც გაგვიადვილებს და დააჩქარებს ჩვენს გამარჯვებებს ქვეყნის კულტურულ და სამეურნეო აყვავების ასპარეზზე.

საკავშირო ცაკის თავმჯდომარე **კალინინი**.

საკავშირო სახკომსაბჭოს თავმჯდომარე **რიკოვი**.

პროფკავშირთა საკავშირო ყრილობა
11 დეკემბრის დილის სხდომა
შრომის საკითხები
(ამხ. შმიდტის მოხსენება)

მოსკოვი, 12 დეკემბ. შრომის სახ. კომისარმა ამხ. **შმიდტი** თავის მოხსენებაში შეჩერდა შრომის სახ. კომისარიატის მუშაობის სამ უმნიშვნელოვანეს მომენტზე: შრომის დაცვაზე, საკონფლიქტო მუშაობაზე და უმუშევრობასთან ბრძოლაზე.

შრომის დაცვის დარგში არის მთელი რიგი მიღწევებისა. კერძოთ გაუმჯობესებულია მეთვალყურეობა შრომის კანონმდებლობის ეშსრულებაზე და გაუმჯობესებულია აგრეთვე შრომის ინსპექციის შემადგენლობა. დამაკმაყოფილებლად ვერ არის დაყენებული წარმოებებში უბედურ შემთხვევების წინააღმდეგ ბრძოლის საქმე. უბედურ შემთხვევათა რიცხვი წარმოებებში თანდათან იზრდება. ეს აიხსნება ერთის მხრივ გამაფრთხილებელი ხასიათის ღონისძიებათა სისუსტით და, მეორეს მხრივ, მოწყობილობის გაცვეთით. უბედურ შემთხვევათა რიცხვი თვითეულ 100.000 მუშაზე 1925 წლის ივლისში უდრიდა 31-ს, ხოლო 1926 წლის ივნისში 41-მდე ავიდა.

აქამდის სპეცტანსაცმელის ნორმებს იმუშავებდა შრომის სახ. კომისარიატი და საკავშირო ცენტრალური პრო-საბჭო ცენტრალიზაციური წესით. [illegible] უარი უნდა ვსთქვათ ასეთ [illegible] ცენტრალიზაციაზე და ადგილებს საშუალება უნდა მივცეთ ადგილობრივ პირობებს შეუფარდონ ეს ნორმები.

რაც შეეხება საკონფლიქტო მუშაობას შემარიგებელ კამერებში, სამედიატორო სასამართლოებში და შრომის სესიებზე შემჩნეულია კონფლიქტების რიცხვის არაჩვეულებრივი ზრდა. ეს იწვევს საქმეების გარჩევის დიდ გაჭიანურებას. საჭიროა, რათა მომავალში სამედიატორო სასამართლოებში საქმეები იგზავნებოდეს მხოლოდ შემარიგებელ კამერებში გარჩევის შემდეგ.

ეხლა უმუშევრობის საკითხის შესახებ. უმუშევართა ინდუსტრიალურ ჯგუფი შესდგება 217.000 კაცისაგან. მუშახელის დაქირავებას გეგმიანი ხასიათი უნდა მიეცეს. ამასთანავე ერთად გაძლიერებულ უნდა იქნეს უმუშევართა მატერიალური დახმარება საზოგადოებრივ სამუშაოთა და შრომის კოლექტივების ორგანიზაციის გზით და დახმარების ნორმის გაფართოებით.

მუშების დაზღვევა
(ამხ. ნემჩენკოს მოხსენება)

მოხსენებაში სოციალურ დაზღვევის შესახებ ნემჩენკომ განაცხადა:

„ინვალიდობის დაზღვევის დარგში უზრუნველყოფილ პირთა რიცხვი 180.000-დან 534.000-მდე გაიზარდა. დახმარების მიმღებთა რიცხვი 290.000-დან 350.000-მდე გაიზარდა. 1925—26 წელს დახმარების რაოდენობა აღწევს 16 მანეთს კვალიფიციურ მუშისთვის და 1[illegible] მანეთს არაკვალიფიციურისთვის.

დაზღვეულთა რიცხვი 6½ მილ. კაციდან 8½ მილიონამდე გაიზარდა სოციალური დაზღვევა აქამდის არ ვრცელდება სასოფლო - სამეურნეო და სატყეო დარგის მუშების დიდ ნაწილზე. დაზღვევის დარგში ნაკლულოვანებანი გამოიხატება უმუშევართა არასაკმაო უზრუნველყოფაში. საჭიროა გაფართოებულ იქნეს უმუშევართა უზრუნველყოფის საქმე და გადიდებულ იქნეს თვით დახმარების რაოდენობა კვალიფიკაციის და ოჯახური მდგომარეობის მიხედვით.

დამზღვევ სალაროს საშუალებებით სანატორიუმებში და დასასვენებელ სახლებში გაგზავნილთა რიცხვი 1924—25 წელს უდრიდა 300.000-ს, ხოლო 1925—26 წელს 350.000-ს. მიმდინარე წელს მუშათა დასასვენებელ სახლებზე დაიხარჯა 30 მილ. მანეთი.

ცენტრალურ დამზღვევ სამმართველოს ორგანოების ფინანსიური მდგომარეობა ვერ არის დამაკმაყოფილებელი. ყრილობამ უნდა გამოიტანოს დადგენილება დასაზღვევ გადასახადის შემდგომი შემცირების წინააღმდეგ. (ადს).

13 დეკემბრის დილის სხდომა
ამხ. ს. ორჯონიკიძის მოხსენება

მოსკოვი, 13 დეკემბ. დილის სხდომაზე პროფკავშირთა ყრილობამ მოისმინა საბჭოთა კავშირის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარისა და საკავშირო კომ. პარ. (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიის თავმჯდომარის, ამხ. **ს. ორჯონიკიძის მოხსენება.**

„ბრძოლა ბიუროკრატიზმთან, ბრძოლა მმართველობის რაციონალური აპარატისათვის,—აღნიშნა თავის მოხსენებაში ამხ. ორჯონიკიძემ,—წარმოადგენს მომჭირნეობის რეჟიმისათვის ბრძოლის ერთ - ერთ ნაწილს.

მომჭირნეობის რეჟიმის ნამდვილი გატარება უნდა გამოიხატებოდეს მმართვა - გამგეობის გამარტივებასა და გაიაფებაში, ამ მმართვა-გამგეობაზე ხარჯების შემოკლებაში. ერთ-ერთ მიზეზს, რომელიც ხელს უწყობს ჩვენი ბიუროკრატიზმის განვითარებას, წარმოადგენს თვითეული ჩვენი ორგანოს უფლება - მოვალეობათა ბუნდოვანი განსაზღვრა. ბიუროკრატიზმს—ჩვენი ყოველგვარი უბედურების მიზეზს, უნდა გამოეცხადოს დაუნდობელი ომი. ბიუროკრატიზმის საწინააღმდეგო ბრძოლაში უნდა ჩავაბათ მთელი მუშათა მასა და, პირველ რიგში, მისი დარაზმული ნაწილი — პროფკავშირები. დღეს პროფკავშირები 9 მილიონზე მეტ წევრს აერთიანებენ. ასეთი არმიით შეიძლება არა მარტო ჩვენი მმართველი აპარატის ნაკლულევანებათა აღმოფხვრა, არამედ ისეთი აპარატის შექმნაც, რომელიც მთლიანად შეეფერებოდეს პროლეტარულ სახელმწიფოს".

მისი მოხსენების გარშემო გამართული კამათის შემდეგ, ამხ. ორჯონიკიძე საღამოს სხდომაზე გამოვიდა საბოლოო სიტყვით, რომელშიც განაცხადა:

„ბიუროკრატიზმის მოვლენებთან ბრძოლის მიზნით საჭიროა მივმართოთ სასამართლოს, საჩვენებელ პროცესების მოწყობას, ბიუროკრატიზმის სენით დაავადმყოფებულნი უნდა ვიყოლიოთ მუშათა კლასის რისხვის მუდმივი შიშის ქვეშ. პროფკავშირები უნდა დაეხმარონ მუშათა და გლეხთა ინსპექციას თავის საუკეთესო მუშაკთა წამოყენებით მუშათა და გლეხთა ინსპექციაში. ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ და მომჭირნეობის რეჟიმისათვის ბრძოლაში პროფკავშირებისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის შეთანხმებული მუშაობის საორგანიზაციო ფორმების ჩამოყალიბება ყრილობამ უნდა დაავალოს საკავშირო პროფსაბჭოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატთან ერთად. თუ ნიადაგი მოუმზადდება მუშათა საზოგადოებრივ აზრს, მაშინ მუშათა კლასი შესძლებს თავის არსებულ ნაკლულევანებათა გამოსწორებას. აი, უპირველეს ყოვლისა ამაზე უნდა ილაპარაკოს პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ყრილობამ.

ამხ. ორჯონიკიძის მოხსენების გარშემო რეზოლიუციის გამოსამუშავებლათ არჩეულ იქნა კომისია, 20 ამხანაგის შემადგენლობით.

ამხ. კუიბიშევის მოხსენება

ამხ. ორჯონიკიძის საბოლოო სიტყვის შემდეგ, მოხსენებით ჩვენი მრეწველობის მდგომარეობისა და მისი პერსპექტივების შესახებ გამოდის საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარე ამხ. **კუიბიშევი**.

„დღევანდელ მომენტში ჩვენი მრეწველობის ძირითად ამოცანას, — ამბობს ამხ. კუიბიშევი, —წარმოადგენს ხალი ტეხნიკის შექმნა. ძირითადი მოთხოვნილებები, რომელსაც უყენებს ბაზარი ჩვენს მრეწველობას, გამოიხატება შემდეგ მოკლე ფორმულაში: „მეტი, იაფი და უკეთესი".

მომავალ 1926—27 სამეურნეო წელში განზრახულია პროდუქციის ზრდა გადიდდეს 18—20 პროცენტით. მსხვილი მრეწველობის წარმოებებში დაბანდებულ მუშათა საერთო რიცხვი 2 მილიონს გადააჭარბებს. მუშაობა დასახული გეგმის განსახორციელებლად [illegible] ძალთა და საშუალებების დაჭიმვას მოითხოვს და პირველ რიგში — შრომის ნაყოფიერების შემდგომ აწევას. თვითღირებულების დაკლების ამოცანა ჩვენი მრეწველობისათვის მეტად მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს. ეს საჭიროა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ამ გზით გავზარდოთ მრეწველობის საშუალებები, გავზარდოთ ის, და მეორე იმიტომ, რომ მივაღწიოთ საცალო ფასების დაკლებას. 1925—26 წელში კაპიტალური დაბანდება მრეწველობაში პირვანდელი გამოანგარიშებით გამოიხატა 780 მილ. მანეთში. ამ დაბანდების საშუალებით შესაძლებელი გახდა მრეწველობის განვითარების გაზრდა 18—20 პროც-ით. მომავალ წლისათვის კაპიტალური დაბანდება განზრახულია 900 მილ. მან. რაოდენობით. თუ მივიღებთ მხედველობაში განზრახულ ხარჯებს ელექტროფიკაციასა და საბრუნავ საშუალებების გადიდებაზე, მაშინ კაპიტალური დაბანდების საერთო ჯამი გამოიხატება 1.000.400.000 მანეთში. ამოცანების გატარება (გამოტოვებულია) მრეწველობის შესაძლებელია მხოლოდ პროფკავშირების და მუშათა კლასის ფართე მასების მონაწილეობით, წარმოუდგენელია მრეწველობის მმართველობის სისტემის გაუმჯობესება, თუ არ გაუმჯობესდა მთელი სახელმწიფო აპარატის მუშაობა. საჭიროა მეტი თვითმოქმედების თავისუფლება მივანიჭოთ მრეწველობის დაბალ საფეხურებს — ფაბრიკებსა და ქარხნებს, და იმ გაერთიანებებს, რომელშიც ისინი შედიან. თვითეული წარმოება პასუხისმგებელია თავის მუშაობაზე. გეგმიანობისა და მმართველობის ცენტრალიზაცია — აი ჩვენი ძირითადი ამოცანა მრეწველობის მმართვის საქმეში. პროფკავშირების როლი ამ მუშაობაში უაღრესად მნიშვნელოვანია".

დასასრულ ამხ. კუიბიშევი გამოსთქვამს რწმენას, რომ პროფკავშირებთან ერთად, მასსებზე დაყრდნობით, პარტია და საბჭოთა ხელისუფლება 1926—27 წელში წასწევს წინ ქვეყნის სოციალისტური მშენებლობის საქმეს. (ადს).

პარტიული ცხოვრება

ოპოზიციის წინააღმდეგ

კონფერენციები გმობენ ოპოზიციონერთა გამოსვლას.

მოსკოვი, 12 დეკემბ. ამჟამად მიმდინარე პარტკონფერენციებზე გამოაქვთ მკაცრი რეზოლუციები, კომინტერნის აღმასკომის პლენუმზე ოპოზიციის ახალი გამოსვლის გამო. ასეთი რეზოლუციების გამოტანის შესახებ იუწყებიან ლენინგრადიდან, სტალინგრადიდან, ყაზანიდან, ტიუმენიდან, ვიატკიდან და სხვ. ქალაქებიდან. (აღს).

მესამე რაიონის პარტკონფერენციის დადგენილება

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მესამე რაიონის კონფერენციამ მიიღო შემდეგი რეზოლუცია:

„საქ. კომ. პარ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის მე-3 რაიონის მე-7-ე პარტიულ კონფერენციამ გაიგო რა მან ზინოვიევის, ტროცკის და კამენევის ახალი გამოსვლის შესახებ კომინტერნის აღმასკომის გაფართოებულ პლენუმზე, უდიდესი აღშფოთებით აღნიშნავს, რომ მიუხედავათ პარტიისათვის მიცემული სიტყვისა, მე-15-ე პარტკონფერენციაზე დამარცხებული ოპოზიცია თავის გამოსვლებით პლენუმზე შეეცადა შეექმნა ყველა ოპოზიციურ, საკ. კომ. პარტიის მიმართ მტრულად განწყობილ ელემენტების საერთაშორისო პლატფორმა.

სიტყვით უარჰყო რა ფრაქციული ბრძოლა, ოპოზიცია სცდილობს საქმით განაგრძოს ის. სიტყვით აღიარა რა მე-14 ყრილობისა და მე-15 პარტკონფერენციის დადგენილებები, ოპოზიცია საქმით გამოდის მათ წინააღმდეგ.

რაიონული კონფერენცია გამოსთქვამს მტკიცე რწმენას, რომ ოპოზიციის „ახალი კურსი", მიმართული ახალი ფრაქციული ბრძოლის გაშლებისაკენ საერთაშორისო მასშტაბით — აგრეთვე დამარცხებული იქნება პარტიის მიერ. ლენინის პარტია და მისი მებრძოლი შტაბი — კომინტერნი — ამ უთანხმოებიდან გამოვლენ უფრო მტკიცე და უფრო შემჭიდროვებული.

მისასალმებელი დეპეშა ცეკას

ამასთან ერთად კონფერენციამ დაადგინა გაეგზავნოს საკ. კომ. პარ. (ბ) ცეკას შემდეგი მისასალმებელი დეპეშა:

„საქ. კომ. პარ. (ბ) მე-3 რაიონის მე-7 პარტკონფერენცია მხურვალე სალამს უგზავნის ლენინიზმის შტაბს—საკ. კომ. პარ. (ბ) ცეკას.

აღშფოთებით გაიგო კონფერენციამ ცნობა ოპოზიციური ბლოკის ბელადების გამოსვლის შესახებ კომინტერნის აღმასკომის გაფართოებულ პლენუმზე. მიუხედავათ პარტიისათვის მიცემული სიტყვისა, მიუხედავათ 16 ოქტომბრის განცხადებისა ფრაქციული ბრძოლის შეწყვეტის და მე-14 ყრილობისა და მე-15 პარტკონფერენციის დადგენილებებისათვის დამორჩილების შესახებ, ოპოზიცია საქმით განაგრძობს პარტიის გადაწყვეტილებათა ჩაშლის პოლიტიკას და ცდილობს პირობების შექმნას საერთაშორისო ოპოზიციონური პლატფორმის ჩამოსაყალიბებლად.

კონფერენცია ფიქრობს, რომ ოპოზიციონური ბელადების გამოსვლამ პლენუმზე არ შეიძლება არ გამოიწვიოს შემდეგი ფრაქციული ბრძოლა და მოითხოვს ოპოზიციის ბელადებისაგან სრულ დამორჩილებას პარტიისათვის და თავის იდეურ შეცდომების აღიარებას.

კონფერენცია დარწმუნებულია, რომ ლენინის პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, შესძლებს ანტიბოლშევიკური, სოციალ-დემოკრატიული გადახრის აღმოფხვრას ჩვენს პარტიაში.

გაუმარჯოს საკ. კომ. პარ. (ბ) ლენინურ ცეკას!

გაუმარჯოს მსოფლიო კომუნისტურ მოძრაობის მთლიანობას"!

საქ. კ. პ. ყველა საოლქო და სამაზრო კომიტეტებს და თბილისის კომიტეტს

ანტირელიგიური მუშაობის შესახებ შობის დღესასწაულებზე

ახლოვდება შობის დღესასწაულები, რომელთაც სამღვდელოება იყენებს მასებში თავის პოზიციების და გავლენის განსამტკიცებლად.

ამის წინააღმდეგ პარტიამ უნდა გაატაროს მთელი რიგი ღონისძიებები, რომლებიც ფარდას ახდიან შობის დღესასწაულის და თვით ქრისტეს წარმოშობის ნამდვილ აზრსა და მნიშვნელობას, ნათელჰყოფენ ამ დღესასწაულის კლასობრივ-ექსპლოატატორულ ხასიათს და ეკლესიის გავლენას გამოგლეჯენ მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობის იმ დიდ მასებს, რომლებსაც ტრადიციის ძალით და თავისი საზეიმოთ მორთულ გარეგნობით იზიდავს ამ დღეებში ეკლესია.

ახკომკავშირულ შობას თავისი დემონსტრაციებით და ლრეობით, რომელსაც ადგილი ჰქონდა წარსულში და რაც ერთთავად შეურაცხყოფდა მორწმუნეთა რელიგიურ გრძნობას და აძლიერებდა მათში ფანატიზმს, უარყოფილ უნდა იქნეს და სავსებით უნდა გადავარდეს.

კამპანიას უნდა მიეცეს თავშეკავებული და ღრმა-პროპაგანდისტული ხასიათი. ის უნდა ჩატარდეს:

ქალაქად:

20 დეკემბრიდან 1 იანვრამდე თავის ძირითადი შინაარსით 25 დეკემბრისათვის.

კლუბებში, წითელ კუთხეებში, პარტიულ და ახკომკავშირულ უჯრედთა კრებებზე, პარტიულ სკოლებში ტარდება სისტემატიური მოხსენებები და საუბრები: შობის დღესასწაულის წარმოშობა, მისი კლასობრივი, ექსპლოატატორული ხასიათი, ქვეყნის წარმოშობა—დიაპოზიტივებით და სხვ.

25 დეკემბრისათვის კლუბებში (და მათ ახალგაზრდათა სექციებში) უნდა მოეწყოს საღამოები—ინსცენიროვკები, დეკლამაცია, მუსიკა (შეჯიბრებანი მანდალინაზე, გიტარაზე, გარმონზე და სხვ. საუკეთესო დამკვრელთა შორის) კინო და სხვ.

საღამოს უნდა მიეცეს საზეიმო და გონებრივი გართობის ხასიათი, იმ მიზნით, რათა ხალხთა მასებმა უკუაგდონ საყდრებში სიარული. კლუბები შემკულ უნდა იყვნენ ანტირელიგიურ (შობის დღესასწაულთან შეფარდებულ) ლოზუნგებით; უნდა გამოიცეს კედლის გაზეთების სპეციალური ნომრები, ქოხ-სამკითხველოებმა უნდა მოაწყონ ანტირელიგიური ლიტერატურის გამოფენა. კამპანია გრძელდება 25 დეკემბრის შემდეგაც—1 იანვრამდე.

დისპუტების გამართვა, წესისამებრ, საჭირო არ არის (თბილისის გამოკლებით, დისპუტი უნდა მოეწყოს იმ შემთხვევაში, თუ მოიპოვება საკმაო კვალიფიციური ძალები). პრესამ (ცენტრალურმა და ადგილობრივმა) უნდა გააშუქოს შობის დღესასწაულის კლასობრივი ხასიათი. გლეხთა სახლებში 25 დეკემბერს ტარდება მოხსენებები, კინო და ანტირელიგიური დადგმები (ინსცენიროვკები, დეკლამაცია და სხვ.)

სოფლად:

კამპანია უნდა გაგრძელდეს 28 დეკემბრიდან 7 იანვრამდე. 25 ჩატარებულ უნდა იქნეს საუბარი შობის შესახებ, ხოლო 7 იანვრისათვის—ძირითადი კამპანია. საუბრები თემებზე:—რელიგიური დღესასწაულების წარმოშობა, მათი ექსპლოატატორული ხასიათი, დღესასწაულთა მავნებლობა გლეხური მეურნეობისათვის, მითი ქრისტეს შესახებ, ქვეყნის, ადამიანის და სიცოცხლის წარმოშობა (ერთი საუბარი)—ჩატარებული უნდა იქნეს სოფლის ინტელიგენციის ძალებით (მასწავლებელი, ექიმი და სხვ.), ქოხ-სამკითხველოებში და სკოლებში ც. კ. თეზისების და ადგილობრივ მასალების საფუძველზე.

7 იანვრისათვის, სადაც ეს შესაძლებელია კლიმატიურ და სხვა პირობების მიხედვით, ეკლესიისაგან და ქეიფობისაგან მოსახლეობის და ახალგაზრდობის ჩამოშორების მიზნით, უნდა მოეწყოს ფიზკულტურული და სპორტიული გამოსვლები—შეჯიბრებანი (ფიზკულტურაში მომუშავეთა ძალებით) და სპორტის ადგილობრივი სახეები—ლელო, ჭიდაობა, ჯირითი, ცეკვა—ანტირელიგიურ ხასიათის საუბრებით, რათა გართობას მიეცეს ანტირელიგიური გადახრა. უნდა მოეწყოს აგრეთვე გამოსვლა და შეჯიბრება მუსიკაში—ხალხური სიმღერები, სიმღერები გუნდში, კონკურსი საუკეთესო წამოწყებებზე, ამა თუ იმ სოფლის საუკეთესო მომღერალთა გუნდზე.

მაზრებსა და ოლქებში კამპანიის ჩასატარებლად არსდება კომისიები ა. ლ. კომკავშირისა, პოლიტგანმანათლებელ განყოფილებათა, განათლების მუშაკთა კავშირის, ბ. კ. ო., განსახკომის და სხვ. მონაწილეობით.

ვრცელ დირექტივებს კამპანიის ჩატარების შესახებ ადგილები მიიღებენ სათანადო ცენტრიდან.

ც. კ. მდივანი **კახიანი.**
ც. კ. საგიტ.-საპროპ. განყ. გამგე:
საყვარელიძე.

რაიონული პარტკონფერენციები

მეორე რაიონის მერვე კონფერენცია

გუშინ, საღამოს 6 საათზე მუშათა ცენტრალურ კლუბში გაიხსნა თბილისის ორგანიზაციის მე-2 რაიონის მე-8 პარტკონფერენცია.

კონფერენცია გახსნა ამხ. ფანცულაიამ, რომლის წინადადებით კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა ამხ. ძერჟინსკის და კრასინის ხსოვნას. შემდეგ არჩეულ იქნა საპატიო და საქმიანი პრეზიდიუმი.

საპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს: ამხ. **სტალინი, რიკოვი, ბუხარინი, ტომსკი, კალინინი, კლარა - ცეტკინა, ორჯონიკიძე, ორახელაშვილი და ვოროშილოვი.**

საქმიან პრეზიდიუმში: ამხ. **ქართველიშვილი, კახიანი, სვანიძე, ასრიბეკოვი, ფანცულაია, გეურქოვი, იტრიევი, მზარაულაშვილი, ვიგორბინი, ტომაზოვი, დევდარიანი, ბურეში, კოტრიკაძე, სნეგოვი, კარგარეთელი, პევცოვი, მიხაილოვა, ენუქიძე, იშხანოვი, გორლოვი და კიკნაძე.**

სამდივნოში: **ტარასოვი, ორჯონიკიძე, გამზაროვი.**

სამანდატო კომისიაში: **ლუსკინი, ზაკონატინი და გაბაშვილი.**

არჩევნების შემდეგ კონფერენციამ მოისმინა ამხ. ასრიბეკოვის ვრცელი მოხსენება თბილისის კომიტეტის მუშაობის შესახებ.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ამხ. კასიძემ, ბუჯიაშვილმა, ქართველიშვილმა, ენუქიძემ, სირაძემ, გაბაშვილმა, მაკარჩუკმა, ვაბინამ, დევდარიანმა და ბურცევმა.

კამათი გაგრძელდება დღეის სხდომაზე.

მესამე რაიონის კონფერენცია

მესამე სხდომა

ხსენებულ კონფერენციის მესამე სხდომაზე მოხსენებას აკეთებს ამხ. ტერ-ვართანოვი რაიონული კომიტეტის საანგარიშო მუშაობის შესახებ.

მომხსენებელი პირველ რიგში ეხება იმას, თუ როგორ შეხვდა მე-3 რაიონის პარტორგანიზაცია ახალი გაერთიანებული ოპოზიციის გამოსვლებს, და დასძენს—როგორც სხვა, ისე ჩვენმა ორგანიზაციამაც სასტიკად დაგმო ოპოზიციის ანტილენინური იდეოლოგია, მტკიცეთ გაილაშქრა მის ფრაქციონული მოღვაწეობის წინააღმდეგ და ერთსულოვნად მიემხრო საკავშირო ლენინურ ცეკას, რომელიც ურყევად სდგას ლენინიზმის დროშის ქვეშ და რომელიც გადაუხრელად ატარებს ლენინის ანდერძს.

მოხსენების პოლიტიკური მხარის გარჩევის დამთავრებით ამხ. ტერ-ვართანოვი გადადის ორგანიზაციის პრაქტიკული მუშაობის საკითხებზე.

აქ მომხსენებელი უპირველესად ეხება მე-3 რაიონის ორგანიზაციის ზრდას და მის მოწესრიგებას, კერძოდ ორგანიზაციის მდგომარეობას სოციალური, ნაციონალური, პარტსტაჟის და სქესობრივი მხრივ და აღნიშნავს, რომ ამ მიმართულებით გასულ წელთან შედარებით ადგილი აქვს მნიშვნელოვან მიღწევებს. მართალია, ორგანიზაციის ზრდა-მოწესრიგებას თან ახლავს მთელი რიგი ნაკლი, მაგრამ მათი აღმოსაფხვრელად უკვე მიღებულია გადამჭრელი ზომები. მომავალმა რაიკომმა კი ამ შემთხვევაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ორგანიზაციაში მუშათა პროცენტის გადიდებას.

შემდეგ მომხსენებელი ხაზს უსვამს უჯრედების შინა-მუშაობას.

— როგორია ამ მხრივ მდგომარეობა დღეს? ძირითად მიღწევებად უნდა ჩაითვალოს: გეგმიანობის შემოღება უჯრედების მუშაობაში, პარტორგანიზატორების ინსტიტუტის შექმნა და უჯრედების კომისიონური მუშაობის გაძლიერება.

უჯრედების შინა-მუშაობაში ერთ მთავარ ნაკლად ის უნდა ჩაითვალოს, რომ პარტიული განათლების დარგში ჯერ კიდევ არ არის ყველაფერი რიგზე. ამ საკითხს სჭირია მოწესრიგება, მით უმეტეს, რომ მასთან უშუალოდ დაკავშირებულია პარტაქტივის გაფართოების აუცილებლობის ამოცანა.

უკანასკნელად ჩატარებულმა ბიუროების ხელახალმა გადარჩევებმა დაგვიდასტურეს, რომ უჯრედების მდივნების შემადგენლობა და მისი თვისებრივი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. სხვა ითქმის ბიუროების წევრთა საერთო შემადგენლობის შესახებაც.

შედეგიანობიდან არც შემთხვევაში არ უნდა გამოვრჩეს ის დეფექტები, რომლებიც გამომჟღავნა ბიუროების გადარჩევებმა. სახელდობრ: აქტივის სუსტი ზრდა და დაწინაურების საქმის თითქმის სრული მოუწესრიგებლობა. ჩვენი უახლოესი ამოცანა უნდა იყვეს თავიდან ავიცილოთ ეს დეფექტები.

შემდეგ ამხანაგი ჩერდება კოოპერაციაზე და ხაზს უსვამს ამ მხრივ არსებულ მიღწევებს, ნაკლულოვანებებს და მორიგ ამოცანებს.

მომხსენებელი ვრცლად განმარტავს პარტგანმანათლებელ, პარტსწავლების დარგში ჩატარებულ მუშაობასაც, რითაც მთავრდება რაიკომის საანგარიშო მოხსენება.

მეოთხე სხდომა

მეოთხე სხდომაზე კონფერენცია რაიკომის საანგარიშო მოხსენების ირგვლივ ისმენს სარევიზიო კომისიის მოხსენებას და ორ თანამოხსენებას: პირველი—ქალთა შორის და მეორეც—კომკავშირის შორის მუშაობის შესახებ.

თანამომხსენებლები ვრცლად ეხებიან კომკავშირის და ქალთა შორის მუშაობაში, როგორც არსებულ მიღწევებს, ისე ნაკლულოვანებებს.

თანამოხსენებების დამთავრებით იწყება კამათი რაიონული კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გარშემო, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობს 16 ამხანაგი.

მეხუთე სხდომა

კონფერენციის მეხუთე სხდომაზე გრძელდება კამათი რაიონული კომიტეტის მუშაობის შესახებ.

კამათში მონაწილეობა მიიღო შემდეგმა ამხანაგებმა: ჯიჯოლეამ, ალიხანოვმა, ოგანეზოვმა, გრიგორიანმა, მურადოვმა და ვართაპეტოვმა.

ამხანაგები თავიანთ სიტყვებში უმთავრესად მიუთითებდნენ: შინა - პარტიულ დემოკრატიის კიდევ უფრო ფართოდ გაშლის საჭიროებაზე; საინსტრუქტორო აპარატის გამოცხოველებაზე, რაც ერთი ძირითადი გარანტიაა უჯრედებში შინა - მუშაობის გასაძლიერებლად; უჯრედებში სამეურნეო საკითხების დამუშავებისადმი ყურადღების გაძლიერებაზე; სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელთადმი ზოგიერთ კომუნისტების მიერ „უპრინციპოდ დაპირისპირების" შეხედულების წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობაზე და მუსულმან ქალთა შორის საზოგადოებრივ-კულტურულ მუშაობის გაძლიერებაზე.

კამათის დასრულებისას იწყება თანამომხსენებელთა საბოლოო სიტყვები, რის შემდეგ კონფერენციის მიერ მოსმენილ იქმნა ამხ. ტერ-ვართანოვის საბოლოო სიტყვა.

რეზოლუციები და არჩევნები

ამხ. ტერ - ვართანოვის მოხსენების დამთავრებით — კონფერენცია ღებულობს რეზოლუციას, რომელშიაც ნათქვამია, რომ რაიკომის პოლიტიკური ხაზი სწორია და მისი პრაქტიკული მუშაობა დამაკმაყოფილებელია. რეზოლუციაში ჩამოთვლილია აგრეთვე საანგარიშო პერიოდში რაიკომის მუშაობის მიღწევები, ნაკლულოვანებანი და დასახულია ის კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც უნდა გაატაროს მომავალმა რაიკომმა.

კონფერენციამ მიიღო მეორე რეზოლუციაც პრაქტიკული წინადადებებით ცეკას საანგარიშო მოხსენების გარშემო.

* * *

სამანდატო კომისიის ინფორმაციის შემდეგ მოხდა ახალი სარაიონო კომიტეტის არჩევნები.

ახალ სარაიონო კომიტეტში არჩეულ იქნა 45 წევრი და 12 კანდიდატი.

საბჭოთა საქართველო

წერილები

საბჭოს უმოქმედო წევრების შესახებ

თემსაბჭოების წარსულ არჩევნების დროს, როგორც ყოველთვის, გლეხებმა მრავალი დავალებები მისცეს ახალ საბჭოებს. უკანასკნელ არჩევნების შემდეგ უკვე განვლო იმისათვის საკმაო დრომ, რომ ჩვენ შევამოწმოთ, რამდენად სისწორით და მტკიცედ ატარებენ საბჭოები ამომრჩეველთა დავალებებს.

სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ ბევრი ისეთი საბჭო მოიძებნება, რომელსაც არ შეუძლია ამ მხრივ თავი იქოს. არის შემთხვევები, როცა საბჭოების წინააღმდეგ ან უკეთ თემაღმასკომების წინააღმდეგ ისმის საყვედურები. ზოგჯერ ეს საყვედურები სრულიად სამართლიანია, რადგან თემაღმასკომი უმოქმედობას იჩენს ან ვერ სწვდება მთელ საქმეს.

აქ, რასაკვირველია, დამნაშავის სკამზე მარტო აღმასკომის დაჯენა არ შეიძლება. აღმასკომის მუშაობაში მთელი თემის წინაშე პასუხისმგებელი საბჭოა. ამიტომ საჭიროა, რომ თვით საბჭო უწყობდეს ხელს აღმასკომის მუშაობას. სინამდვილეში ეს ასე არ ხდება.

არის საბჭოები, სადაც ისეთი დეპუტატები ირიცხებიან, რომლებსაც არჩევნების შემდეგ ერთხელაც არ შემოუხედავთ საბჭოს სხდომაზე. არიან ისეთებიც, რომლებიც, როგორც ჩვენში იტყვიან, „ახალ მთვარესავით" გამოჩნდებიან საბჭოს სხდომებზე რაც შეეხება პრაქტიკულ მუშაობას, ასეთს კი შორიდან უვლიან, რომ მათ არავინ დააკისროს ის.

ამგვარ მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოს. „მკვდარი სულები" საბჭოებში არაფრის მაქნისია, გარდა იმისა, რომ ისინი თავიანთი უმოქმედობით უფრო აფერხებენ საბჭოს მუშაობას და შეუძლებელს ხდიან აღმასკომმა აღმშენებლობითი მუშაობა გააცხოველოს.

საბჭოები ჩვენ მიგვაჩნია მშრომელი გლეხკაცობის საზოგადოებრივ თვითმოქმედების ერთ-ერთ საუკეთესო იარაღათ. ამიტომ სრულიად შეუძლებელია ის მდგომარეობა, რომ ვინმე საბჭოში ირიცხებოდეს მხოლოდ ქაღალდზე ან ვისმე მხოლოდ სახელისათვის მოსწონდეს საბჭოს წევრობა.

სანამ ჯერ კიდევ გვიან არაა, ეს ნაკლი უნდა გამოსწორდეს. მომავალ არჩევნებამდე დრო არც ისე ბევრია. საბჭოებმა უნდა დასვან ეს საკითხი თავიანთ კრებებზე და ყოველმხრივ უნდა შეეცადონ პასიურ წევრების გამოცოცხლებას. თუ არც ამის შემდეგ გამოსწორდება საბჭოს უმოქმედო წევრები, მათ მომავალ არჩევნებზე პასუხს გასცემენ თვით ამომრჩევლები.

კალამი.

იმედგაცრუებული გრიგოლი

(ხეთა, ზუგდ. მ.).

ყველგან კეთილმოწყობაზე და აღმშენებლობაზეა ლაპარაკი. გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს ქალაქებისა და სოფლების გამშვენიერება-გაფართოებისათვის. მხოლოდ ხეთის ეკლესია ჩამორჩა საერთო ფერხულს. მისი სახურავი გაცრეცილია, როგორც მამაო გრიგოლის გახუნებული ცილინდრა და კედლები შელანძღული, როგორც მამაოს ანაფორის კალთები.

მობეზრდა თავი გრიგოლს. გლეხებმა მოიძულეს ხატი და ჯვარი. ეკლესიაში ქუდი რომ ვისმესთვის შეეგდოთ, მაინც არავინ შედიოდა. ბოლო დროს მამაო „ღმერთმაც" გასწირა. წვიმა და ავდარი ტანჯვის წუთები იყო გრიგოლისათვის. გაცრეცილი და შელანძღული ეკლესია ვერ უძლებდა ავდრის ქარსა და შხეფს.

გრიგოლი შეუდგა ეკლესიის კეთილმოწყობას, მაგრამ მისი მორალი, მოგეხსენებათ, ასეთია: „ჯერ თავო და თავო, მერე სხვაო და სხვაო". ეს „თავი და თავი" თვითონ იყო და „სხვა"—კი ეკლესია. რის ვაივაგლახით შეჰკრიბა მან მთელ სოფელში სამიოდე მოხუცი გლეხი და შეჰქმნა „საეკლესიო საბჭო". საბჭომ დაიწყო მუშაობა იქედან, რომ დაბეგრა ხეთელი ქალები. გრიგოლს ყოველ წირვის თუ მღვდელმსახურების დროს თბილ-თბილ კვერცხებს მიართმევდა. რა არის: ხმა გაიწმინდოს, რომ სახარება ტკბილათ ჩაალაღალოს.

მაგრამ კეთილმოწყობის საქმე გრიგოლის ყელზე არ გაჩერებულა. საეკლესიო საბჭო გალებით უფრო ენერგიულად მუშაობდა, ვიდრე ზოგიერთი ჩვენი თემსაბჭო. ერთ თავის სხდომაზე საბჭომ დაადგინა—შეეწეროს სოფელს ეკლესიის კეთილმოწყობის მიზნით კომლზე თითო მანეთი, ან თითო კალათი სიმინდი. საბჭო უკლებთილია: თუ ფულით არა, ნატურითაც მიიღებს შესაწირს, ეს იყო ოღონდ, რომ საბჭოს დადგენილების შემსრულებელი აპარატი არ ყავდა. ამიტომ თვით „პატივცემულ" საბჭოს წევრებმა აიკიდეს ეს ტომრები და დაუარეს სოფელს. სადაც არ მივიდნენ ეკლესიის მოციქულნი, ყველგან კუდით ქვა ასროლიეს გლეხებმა. „რის ეკლესია, რის გრიგოლი? მოგცლიათ ვილაცები ხართო". დაუმალავ დაცინვით ეუბნებოდნენ გლეხები მესიმინდე წმინდანებს.

მაგრამ ეკლესიის კეთილისმყოფელნი გულს არ იტეხდნენ. ისინი ბეჯითად განაგრძობდნენ ერთი ეზოდან მეორისას გადასვლას და ამ სიარულში ერთ-ერთ კომუნისტ გლეხის ოჯახსაც მიადგნენ. თვითონ კომუნისტი გლეხი სახლში არ აღმოჩნდა. ხელში მოჰყვათ მისი მამა. მაგრამ ამ მოხუცმა ისეთი დღე დაუყენა ძალათმაცხონე გრიგოლის აგენტებს, რომ საბრალოებმა ჰიშკარიც ვეღარ მიაგნეს.

დარჩა ხეთის ეკლესია „კეთილმოუწყობელი", დარჩა გრიგოლი ხაზა მშრალი. როგორ წახდა დრო, როგორ დაჰკარგა გლეხებმა რწმენა ანაფორიანისადმი?

ხეთელი ბზიკი.

როგორ მიდის გადასახადის აკრეფა

(ლეჩხუმი)

გასულ წლის გადასახადისაგან შეცდომით თავი დაიძვრინა ზოგიერთმა შეძლებულმა პირმა. ამ ნიადაგზე ადგილი ჰქონდა ერთგვარ უკმაყოფილებასაც. წელს ეს შეცდომა გამოსწორებულია. 25-26 წელში ლეჩხუმში დაიბეგრა გადასახადით მოსახლეობის 84,7 პროც. სრულიად განთავისუფლდა გადასახადისაგან 15,3 პროც.

რა მდგომარეობაა 1926-27 წელში ე. ი. ეხლა? ლეჩხუმის მაზრაში ირიცხულია 8.246 მეურნეობა. აქედან დაიბეგრა სასოფლო სამ. გადასახადით 1256 მეურნე, ე. ი. 16,6 პროც., გადასახადისაგან განთავისუფლდა სრულიად 6.890 მეურნე, ე. ი. 85,4 პროცენტი.

ცხადია წელს განთავისუფლებულთა რიცხვი მეტია, ვინემ ეს შარშან იყო.

საჩივართა რიცხვი უდრის ჯერ-ჯერობით 77. აქედან დაკმაყოფილებულია 6 მთხოვნელი, რომელთაც გადასახადი მოეხსნათ და შეუმცირდათ.

მაზრაზე წელს გაწერილია სულ 7.739 მანეთი და 37 კ., შემოსულია სალაროში 6 დეკემბრამდე მთელი შეწერილი გადასახადის 44 პროცენტი. დანარჩენ გადასახადის შემოტანა ნორმალურად მიმდინარეობს. უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ წელს გადასახადი შემოტანილი იქნება სრული ასი პროცენტით. აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ საფინანსოს საგადასახადო ნაწილმა, წელს გამოიჩინა მუყაითობა დასაბეგრ ობიექტების სისწორით გამორკვევაში.

პ. ფრუიძე.

ეს დაუშვებელია

(საგარეჯო, გარე კახეთი).

საგარეჯოში ამჟამად ტარდება მიწათმოწყობა. მიწის მზომელებმა უკვე დაანაწილეს სავენახე მიწები და მიუზომეს კიდეც ზოგიერთებს, მაგრამ საქმე უკუღმა არის დატრიალებული. იმის მაგიერ რომ ჯერ უმამულო გლეხები დაეკმაყოფილებიათ, პირველ რიგში ჩააყენეს ისეთი გლეხები, რომელთაც ორი და სამი ვენახი აქვს და ისევ მათ მიჰკერძეს. მომყავს ორიოდე მაგალითი: გლეხ ივანე ქურხულს აქვს ორ ადგილას ვენახი და ისევ მასვე მიუზომეს საუკეთესო სავენახე ადგილი, სოსია ქურხულსაც აქვს ორ ადგილას ვენახი და მასვე მიუზომეს სავენახე ადგილი, სოსია ალექსაშვილს, რომელსაც ვენახიც აქვს და შეძლებული გლეხიცაა, მასაც მიუზომეს ადგილი. ამის გამო გლეხობაში დიდ უკმაყოფილებას აქვს ადგილი.

ამაში მეტ წილად დამნაშავენი არიან ისინი, ვინც მიწის მზომელს დასდევენ და შეცდომაში შეჰყავთ ის.

ამ გარემოებას უნდა მიაქციოს ყურადღება მაზრის საადგილ-მამულო განყოფილებამ.

მეზობელი.

მუშათა ცხოვრება

ბინის საკითხი რკინისგზებზე

ყველგან რომ ბინების სივიწროვეა ეს ცხადზე უცხადესია, მაგრამ ამ მხრივ მუშაობა ბინების სივიწროვის შესამსუბუქებლად ყველგან მიზანშეწონილად არ მიმდინარეობს, რაც მუშა-მოსამსახურეთა შორის დიდ უკმაყოფილებას და მითქმა-მოთქმას იწვევს.

იმ დროს, როდესაც რკინისგზის მუშა-მოსამსახურენი უბინაოდ არიან, სახაზინო ბინებში ჯერ კიდევ ბევრი კერძო პირია მოკალათებული და ბინის განთავისუფლებას საშველი არ დაადგა.

საბინაო კომისიების მუშაობა, მხოლოდ ოქმების შედგენით და ქაღალდზე ბინების განაწილებით განისაზღვრება. მიაწერენ რიხიანად: „ამა და ამ პიროვნებას მიეცეს სასტიკი წინადადება გაანთავისუფლოს ესა და ეს ბინა, რომელიც უნდა გადაეცეს ამა და ამ პირსო. მორჩა და გათავდა. ვადის დრო და ბინაში ისევ ყოფილი მცხოვრები განაგრძობს პარპაშს და ეს გრძელდება დაუსრულებლად. ამის მაგალითები ყველგან მრავალია.

სალიანდაგო უბნები ბინების შეკეთებას მიზანშეწონილად არ აწარმოებენ და შეკეთება ბევრჯერ თუ ცოტად ხდება უფრო ისეთ ადგილებში, სადაც მუშა-მოსამსახურენი შემჭიდროებული და უფრო ორგანიზაციულად შეკავშირებული არიან. პატარა სადგურები და გადარბენებზე მდებარე ღელაქრები და სადარაჯო ქოხები, მთლად უპატრონოდ არიან მიტოვებული და ბევრი მათგანი ჯერ-ჯერობით შეკეთებას ვერ ეღირსა. ფანჯრის მინები დამტვრეულია და ზოგან თუმცა ფიცრები აქვს აკრული, მაგრამ როგორც აფიცრულნი, აგრეთვე აუფიცრავნი ერთნაირად შეუფერებელია საცხოვრებლად, ვინაიდან ფიცრები ისე მჭიდროდ ვერ არის აკრული, რომ ქარი და სიცივე შეაკავოს. თვით შენობაშიც ისეთი სიბნელეა, რომ ორი თუ სანათური არა გაქვს, ვერაფერს დაინახავ.

ღელაქრებთან, ნახევრად ღელაქრებთან და სადარაჯო ქოხებთან ბევრგან საკუჭნაოები და ფეხსადგილები არ არის, და სადაც არის, მთლად ძინგრეულია, უკარებო უსაკეტოოები. მათ ძველი ღობეები შემოაცვდათ და ეზოები მთლად გაპარტახებულია. სასმელი წყლები არ არის და ბევრგან 1—2 კილომეტრის მანძილზე უხდება დღიურ მუშაობით მოღლილ მუშას სიარული. საცხოვრებელი ბინების სახურავები ბევრგან შეუკეთებელია და წვიმა ჩამოდის. ღუმელები და ბუხრები შეუკეთებელია და სათბობი მასალა უნაყოფოდ იწვება.

ერთი სიტყვით ამ მხრივ არ სჩანს ვისმე მზრუნველობა. დაპირებები კი „ენუქას ანდერძად" რჩება.

ბევრგან ბინების შეკეთებაში უპირატესობა ნაცნობ-მეგობრებს ეძლევათ, და თუ ერთ ალაგს პატარა ნაკლს დიდი ყურადღება ექცევა, სხვაგან დიდი ნაკლის გულშემატკივარი და გამკეთებელი არ არის.

ასეთ მოვლენებს ერთხელ და სამუდამოთ ბოლო უნდა მოეღოს და ვისაც ამ მწვავე საკითხების მოგვარება ევალება, საქმეს წესიერად ხელი უნდა მოკიდოს.

და-რე-ლი.

ნუ არღვევთ დეკრეტს.

მიუხედავათ იმისა, რომ შარშან 15-16 დეკემბერს გამოქვეყნდა სახკომსაბჭოს დეკრეტი № 33, დაწესებულებების მიერ მოწმობების გაცემის აკრძალვის შესახებ და ამაზე იყო კიდეც გამოქვეყნებული ა. წ. 7 ოქტომბერს მითითება ამავე დეკრეტზე, ბევრი სახლის პატრონი, მოიჯარადრე თუ მოურავი არ ღებულობს კავშირის საწევრო წიგნაკს, როგორც პირადობის დამამტკიცებელ საბუთს და საანგარიშო წიგნაკს, როგორც ხელფასის რაოდენობის მაჩვენებელს და თავიანებით თხოულობს მოწმობებს.

სჩანს რომ ისინი არ ემორჩილებიან არავითარ დეკრეტს და ჩვეულებისამებრ აწუხებენ მუშა-მოსამსახურეებს. ეს უკანასკნელნი სთხოვენ დაწესებულების ადმინისტრაციას მოწმობების გაცემას. დაწესებულება კი ხელმძღვანელობს დასახელებულ დეკრეტით და მოწმობების გაცემაზე უარს ეუბნება.

მუშა-მოსამსახურემ არ იცის ვინაა მართალი ან ვის დაუჯეროს.

რომ არ გაგრძელდეს ამგვარი გაუგებრობა საჭიროა ეცნობოს სახლის პატრონებს, კომენდანტებს, მოურავებს და სხვა, რომ ყოველი მუშა-მოსამსახურე აღჭურვილია ორ აუცილებელ საბუთით: კავშირის საწევრო წიგნაკით და საანგარიშო წიგნაკით და მას არავითარი სხვა საბუთი არ მოეთხოვება.

გერმანაშვილი.

უბედური შემთხვევების დროს საჭიროა სასწრაფო საექიმო დახმარება.

(რკინის გზის მთავ. სახელოსნო).

10 დეკემბერს მესამე ცვლის მუშაობის დროს, ღამის სამ საათზე გაჩერდა სადინამო საამქროს მანქანა „დიზელი", რომლის გაჩერებამ გამოიწვია საათნახევარი მუშაობის შეჩერება, მიზეზი მანქანის გაჩერებისა იყო მაღალ ჰაერის დაწოლით კლაპანის გაჩხირვა.

მემანქანე ცარახოვი შეეცადა ისევ აემოძრავებია მანქანა და ცდის დროს გადასახედები რიჩაგის ჩარჩოში მოაყოლა მარჯვენა ხელის თითი, მიიღო მსუბუქი ჭრილობა, ცდამ მიზანს მიაღწია. მანქანა ამოძრავდა; ამის შემდეგ ცხადია, რომ მუშაობა განახლდებოდათ. ასეთ შემთხვევის შემდეგ მან საექიმო დახმარება ვერ მიიღო, რადგან მესამე წყება მუშაობის დროს ამბულატორიაში ვერავის ვერ ნახავთ. ვისაც ამ საქმის მოგვარება ევალება, საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს ღამის მომუშავე მუშებს, რადგან მათი მუშაობის პირობები მძიმეა.

მუშკორი ლანდკურელი.

ნუ გვართმევთ კარგ მუშაკს

(რკ. გზის სამართველოს საყურადღებოდ)

თბილისის საყუდს ყავს მოლარედ ვლადიმერ გძელიშვილი, რომელიც ემსახურება 1.500 მუშა-მოსამსახურეს. მისი ენერგიული და პატიოსანი მოქმედებით დიდი სიმპატია და ნდობა დაიმსახურა საყუდის მუშებში, მაგრამ სამწუხაროდ გძელიშვილი გადაჰყავთ აქედან სხვა ადგილზე.

საჭიროა ამ განკარგულებას მიაქციოს ყურადღება რკინის გზის სამართველომ და ამხ. გძელიშვილი დატოვებულ იქნეს საყუდში, როგორც იშვიათი და პატიოსანი მუშაკი.

მუშკორი ლიაპისი.

მოაწესრიგეთ ბიუროს მუშაობა

რკინის გზის სამმართველოსთან არსებულ შრომის მომწესრიგებელი ბიუროს საქმიანობა თავის სიმაღლეზე ვერ სდგას. ამას ამტკიცებს ის გარემოება, რომ მუშამოსამსახურეთა მიერ შეტანილი საჩივრებით ორი კვირის განმავლობაში რჩება განუხილველი. არ ეძლევა მას სათანადო ახსნა-განმარტება. ამის გამო მუშა-მოსამსახურენი სამართლიან უკმაყოფილებას გამოსთქვამენ.

შრომის მომწესრიგებელ ბიუროს მუშაობა უნდა მოწესრიგდეს და ბიუროში შეტანილი საჩივარი თავის დროზე უნდა გაირჩეს.

მუშკორი რად-მი.

მუშათა ქრონიკა

შვებულება. თბილისის საუბნო დამზღვევი სალაროს კომიტეტმა დაადგინა, რათა ყველა თანამშრომლებმა შვებულება მოათავონ 15 დეკემბრამდე.

— **საწევრო ანარიცხები.** სადგ. წნორისწყლის ადგილკომს ნოემბრის თვეში ორი პროცენტული ანარიცხებიდან შემოუვიდა 523 მან. 43 კაპ.

— **რადიო-წრე.** ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის კლუბში დაარსდა რადიო წრე.

— თბილისის საუბნო დამზღვევი სალარომ დაადგინა ეთხოვოს ა. კ. რკინის გზის დამზღვევ სალაროს, რათა უბნის სალაროს შტატს დაემატოს ერთი მემანგარე და დარაჯი.

— **გადარჩევა.** სადგ. საგარეჯოს ადგილკომმა მოახდინა ურთიერთ დამხმარე სალაროს გადარჩევა. ახალ სალაროში შედის 5 კაცი.

— **წითელი კუთხეები.** ხაშურის საუბნო კომიტეტმა დაადგინა, რომ უბნის ყველა ადგილკომებთან მოაწყოს წითელი კუთხეები.

— სადგ. თბილისის მოძრაობის დარგის ადგილკომის პლენუმმა დაადგინა, ეთხოვოს დგ/2-ს, რათა მატარებელში წასულ მემუხრუჭეებს მიეცეთ რონოდში დასასვენებელი საკუპენო.

— **საგზაო კომიტეტი** ახლო მომავალში დაამთავრებს რკინის გზის მუშათა კლუბების საფუძვლიან შეკეთებას.

— **ლიტერატურა.** განჯის საუბნო პროფკავშირმა შეიძინა სხვადასხვა ლიტერატურული წიგნები კლუბებთან არსებულ სამკითხველოებისთვის.

— **ჯამაგირის დარიგება.** სადგ. კავთისხევის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ სთხოვა ადგილკომს, აღძრას შუამდგომლობა ვისთანაც ჯერ არს, რათა მუშებს თავის დროზე დაურიგდეს ჯამაგირი.

— **კლუბის ასაგებად.** სადგ. წნორის-წყლის მუშა-მოსამსახურეებმა კლუბის ასაგებად გაიღეს 110 მანეთი.

სპარსეთ-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ხელშეკრულება

(საუბარი საბჭოთა კავშირის კონსულთან მაქაუში—ამხ. ბუსიაცკისთან)

გუშინ სპარსეთიდან თბილისში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის კონსული მაქაუში ალ. ბუსიაცკი.

ჩვენს თანამშრომელთან საუბრის დროს ამხ. ბუსიაცკიმ სპარსეთ-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ განაცხადა შემდეგი:

— მოლაპარაკება ხელშეკრულების დასადებათ დაიწყო ზაფხულის დასაწყისში. წინასწარი მოლაპარაკების საწარმოებლად მოსკოვში გაემგზავრა სპარსეთის მთავრობის წარმომადგენელი ტ. თეიმურ-ტაში.

ამჟამად წინასწარი მოლაპარაკება უკვე დამთავრებულია და ხელშეკრულების პროექტი განსახილველად გადაეცა სპარსეთის მინისტრთა საბჭოს, რომელიც მეჯლისის კომისიასთან ერთად დაწვრილებით განიხილავს ამ პროექტს.

საბჭოთა მთავრობამ, რომელიც სცდილობს კეთილმეზობლური ურთიერთობა იქონიოს აღმოსავლეთის ხალხებთან, მოლაპარაკებაში სპარსეთ-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ მიიღო ყველა შესაძლებელი ზომები. დანარჩენი დამოკიდებულია სპარსეთის მთავრობაზე.

სპარსეთის ვაჭრები, რომლებიც ფართოდ დაინტერესებული არიან მომავალი ხელშეკრულებით, დიდ ინტერეს იჩენენ ამ უკანასკნელისადმი. ისინი მოითხოვენ, რომ მათი წარმომადგენლები დაშვებული იქნენ მთავრობის კომისიაში ხელშეკრულების პუნქტების ერთად განსახილველად.

სპარსეთის ვაჭრობის ინიციატივით ამას წინად თეირანში დაარსდა ცენტრალური სავაჭრო პალატა. განზრახულია ასეთივე პალატების მოწყობა სპარსეთის სხვა სავაჭრო პუნქტებშიაც, როგორიც არის მეშხედი, თავრიზი და სხვა. ეს პალატები მოითხოვენ, რომ ყველა ეკონომიური საკითხები, რომლებიც გადაწყვეტილი უნდა იქნეს სპარსეთის მთავრობის მიერ წინასწარ განხილული იქნეს სავაჭრო პალატების საბჭოს მიერ.

დასასრულ ამხ. ბუსიაცკიმ განაცხადა, რომ ჩვენი ურთიერთობა სპარსეთთან კარგია.

აგრონომების, მეტყევეების და მიწისმზომელების

საქალაქო კონფერენცია

კვირას, 12 დეკემბრს, სასოფლო-სამეურნეო მუზეუმის დარბაზში გაიხსნა სოფლის მეურნეობის დარგში მომუშავე სპეციალისტთა საქალაქო კონფერენცია, რომელსაც დაესწრენ ცენტრში მომუშავე აგრონომები, მეტყევეები და მიწისმზომელები.

კონფერენციამ დაადგინა მოხდეს დღის წესრიგში აღნიშნული საკითხების გაერთიანება და მიანდო ამხ. ხაჟაპურიძეს მოხსენების გაკეთება სამეცნიერო-ტეხნიკურ ძალთა სექციის მუშაობის და სპეციალისტთა მდგომარეობის შესახებ.

ამხ. ხაჟაპურიძე შეჩერდა სოფლად მომუშავე სპეციალისტების საქმიანობაზე და აღნიშნა, რომ უკანასკნელ ხანებში ადგილებზე შესამჩნევათ გაუმჯობესდა აგრონომიული მუშაობისათვის ხელსაყრელი პირობები.

მომხსენებლის ცნობით, სოფლად მომუშავე სპეციალისტთა კონფერენციები ჩატარებულ იქნა შემდეგ მაზრებში: თელავის, სიღნაღის, გორის და შორაპნის მაზრებში და აჭარისტანში. შემდეგ მომხსენებელი აღნიშნავს, რომ სექციის მუშაობას დიდი შედეგები მოუტანია, როგორც ადგილებზე ორგანიზაციული მუშაობის ჩატარების, ისე სპეციალისტთა ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესების მხრივ.

მოხსენების დასრულების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს **ივანოვმა, იაშვილმა, პავლოვმა, ახვლედიანმა, ჯაშმა, ბრეგვაძემ, ლომაურმა** და სხვ.

კამათის შემდეგ მიღებულ რეზოლუციით, დაიხურა საქალაქო კონფერენცია.

ახლო მომავლისათვის განზრახულია მოწვეულ იქნეს სოფლად მომუშავე სპეციალისტთა რესპუბლიკანური ყრილობა.

არჩევნები სამომხმ. კოოპერაციაში

ამჟამად ძირითად სამომხმარებლო კოოპერატივებში მიმდინარეობს მმართველ და საკონტროლო ორგანოების ხელახალი არჩევნები. არჩევნები დამთავრდება ამ თვის ბოლოსათვის.

კამპანიას ატარებს ცეკავშირის საორგანიზაციო განყოფილება, თავის რაიონულ ინსტრუქტორების ხელმძღვანელობით. კამპანია უკვე ჩატარებულია 70 კოოპერატივში.

საარჩევნო კრებებს ესწრება წევრების და რწმუნებულების თითქმის 90 პროცენტი და აქტიურ მონაწილეობას იღებენ გამგეობის მიერ ჩატარებულ მუშაობის შეფასებაში.

თითქმის ყველა კრებებზე ისმება საკითხები გლეხებისათვის საჭირო საქონლის ასორტიმენტის გაუმჯობესების, საცალო ფასების დაკლების, მომჭირნეობის გატარების შესახებ.

განსაკუთრებით ყურადღება ექცევა ღარიბ გლეხობის, ქალთა წრეების და კომკავშირელების ჩაბმას კოოპერაციაში. ღარიბ გლეხობის მიზიდვისათვის, თანახმად ცეკავშირის მიერ დაგზავნილ ცირკულიარისა, თითოეულ კოოპერატივის მიერ, წმინდა მოგებიდან იდება არა ნაკლებ 5 პროცენტისა, ღარიბ გლეხობის მოსაზიდ ფონდის გასაძლიერებლად.

დიდი ყურადღება ექცევა კრებებზე, კოოპერატივებში კულტურულ მუშაობის გაღრმავებას. ამ მიზნით ზოგიერთ ალაგას არსდება კოოპერატიული წრეები, რომელთაც ეკისრება კოოპერატიულ იდეების გავრცელება წევრთა მასაში.

წელს სერიოზული ყურადღება აქვს მიქცეული კოოპერატივების დამხმარე ორგანოების (სადუქნო კომისიები) გამოცხოველებას.

ა|კ. ადგილობრივი ბიუჯეტი

საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატმა დაამტკიცა ამიერ-კავკასიის ადგილობრივი ბიუჯეტი.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ცაკების მიერ დამტკიცებულ 1926—27 წლის ადგილობრივ ბიუჯეტების საერთო ჯამი უდრიდა 68.380.000 მანეთს. საბჭოთა კავშირის ფინსახკომმა ზოგიერთი ცვლილებები შეიტანა ა.-კავკ. ადგილობრივ ბიუჯეტებში.

უპირველეს ყოვლისა, გადიდებული იქნა ბიუჯეტების საშემოსავლო ნაწილი 2.203.000 მანეთით. გადიდება მოხდა სასარეწაო და საშემოსავლო გადასახადების გადიდების ხარჯზე. ხარჯები კი 68.380.000 მანეთიდან შემცირებული იქნა 64.467.000 მანეთამდე. ამრიგად, დეფიციტი გამოიხატა 14.000.000 მანეთში.

ამიერ-კავკასიის დედა-ქალაქების ადგილობრივი ბიუჯეტები დამტკიცებულია შემდეგი სახით: წმინდა შემოსავალი ბაქოში (მაზრასთან ერთად) გამოანგარიშებული იყო 12.706.000 მან. რაოდენობით. საბჭოთა კავშირის ფინსახკომმა ეს შემოსავალი გაადიდა 1.516.000 მანეთით, ხარჯები კი შეამცირა 1.036.000 მანეთით, დეფიციტი გამოიხატა—1.245.000 მანეთში.

თბილისში (მაზრასთან ერთად) შემოსავალი გამოანგარიშებული იყო—11.333.000 მან. რაოდენობით (სახელმწიფო დახმარების გარეშე); ფინსახკომმა შემოსავალი გაადიდა 603.000 მანეთით. ხარჯები შემცირებული იქნა 646.000 მანეთით. ამრიგად დეფიციტი დარჩა—823.000 მანეთი.

ერევანში (მაზრასთან ერთად) შემოსავალი გამოანგარიშებული იყო—1.455.000 მ. რაოდენობით. ფინსახკომმა იგი გაადიდა 59.000 მანეთით. ხარჯები კი შემცირებული იქნა 650.000 მანეთით. ამრიგად, დეფიციტი გამოიხატა 511.000 მანეთში.

აღსანიშნავია, რომ ბიუჯეტის საგასავლო ნაწილში წელს დიდი შედეგებია მიღწეული. ასე, მაგალითად, ადმინისტრატიული ხარჯები შარშანდელთან შედარებით საგრძნობლად შემცირდა. პირიქით, ხარჯები სოციალურ-კულტურულ საჭიროებებზე გაიზარდა 15,1 პროცენტით, სამეურნეო-საწარმოო—27,4 პროც., ხარჯები ახალი აღმშენებლობისათვის კი გაიზარდა 44,8 პროცენტით.

საინტერესოა ხელფასის ხვედრითი წონა ადგილობრივ ბიუჯეტებში: აზერბეიჯანში ხელფასი შეადგენს ყველა ხარჯების 49,4 პროც. (შარშან კი იყო 50,5 პროც.), სომხეთში—42,2 პროც. (იყო 50,4 პროც.), საქართველოში—50,6 პროც. (იყო 52,8 პროც.), საშუალოდ კი მთელს ამიერ-კავკასიაში—48,2 პროც. (იყო 51,5 პროც.).

ამიერ-კავკასიის ადგილობრივი ბიუჯეტები დასამტკიცებლად გადაეცა საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს.

აპენდიციტი

უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველოში ფართო ხასიათი მიიღო ბრმა ნაწლავით დაავადებამ (აპენდიციტი). ასეთი ავადმყოფობა განსაკუთრებით გახშირებულია ქალაქებში.

აპენდიციტით ასეთი ხშირი დაავადების შესახებ ჩვენს თანამშრომელს პროფესორმა გ. მაჯავარიანმა განუცხადა შემდეგი:

— აპენდიციტით დაავადების ასეთი მასიური შემთხვევები მხოლოდ მოჩვენებითია. ომამდე სამკურნალო მეცნიერება შედარებით ჩამორჩენილი იყო და ამიტომ მაშინ, როდესაც ბრმა ნაწლავით დაავადებას ჰქონდა ადგილი, სვამდენ სულ სხვანაირ დიაგნოზს — „მუცლის ღრუს ანთება" „პერიტონიტი" და სხვ. შემდეგ კი მეცნიერებმა გამოარკვიეს, რომ ხშირ „მუცლის ღრუს ანთების" მიზეზი არის ბრმა ნაწლავის დაჩირქება ანუ აპენდიციტი. თანამედროვე სამკურნალო სტატისტიკა რომ ავიღოთ, ვიპოვით, რომ იშვიათია ძველი ავადმყოფობით დაავადება, ხოლო ძლიერ გახშირდა აპენდიციტი.

აპენდიციტის გახშირების მიზეზათ, ჩემის აზრით, უნდა ჩაითვალოს ნაწლავების დაავადება ე. წ. კოლიტებით და აპენდიციტი ეს უკანასკნელი ჩემს კლინიკაში მომხდარი დაკვირვებით ვითარდება სწორედ ამ კოლიტების ნიადაგზე. კოლიტების გაჩენა კი უნდა მიეწეროს კუჭის ცუდ მოქმედებას, რაც თავის მხრივ გამოწვეულ იქნება ცუდი კვებით.

ჩვენში რევოლუციის და სამოქალაქო ომების პერიოდში მოსახლეობა ვერ იკვებებოდა კარგათ და ბევრ სუსტ ორგანიზმს დაუზიანდა კუჭ - ნაწლავების სისტემა.

ხალხში არსებობს აგრეთვე ისეთი შეხედულება, თითქოს აპენდიციტით უფრო ხშირათ ავად ხდებოდნენ ქალები. ეს შეხედულება არ შეეფერება სინამდვილეს.

შესაძლებელია, (მაგრამ ამის შესახებ მეცნიერებას კიდევ არა აქვს ნათქვამი თავის სიტყვა), რომ აპენდიციტი დამოკიდებული იყოს სასქესო ორგანოების მდგომარეობაზე, რადგანაც ბრმა ნაწლავი მდებარეობს სასქესო ორგანოების ახლოს.

გურიის ნავთი

თბილისში ჩამოვიდა გურიის ნავთიანი ადგილების სამუშაოთა უფროსი სამთო - ინჟინერი ალ. ჭრელაშვილი.

ინჟ. ჭრელაშვილის ცნობით, გურიის ნავთის წარმოების საქმე ამჟამად ასეთ მდგომარეობაშია: სოფ. ომპარეთში უკვე დასრულდა საბურღავი კოშკის დადგმა. ეხლა სწარმოებს გზის შეკეთება სუფსიდან ომპარეთამდე, რომ შესაძლებელი გახდეს დაზგისა და ძრავის გადატანა.

გზის შეკეთება დასრულდება დაახლოებით თებერვლისათვის, როდესაც ადგილზე მიზიდული იქნება დიდი ზომის მილები.

გურიის ნავთიანი ადგილების გამოკვლევის საქმეში მთავრობის რწმუნებულათ დაინიშნა ინჟ. გ. წულუკიძე.

სოციალური დაზღვევა

მომავალი წლის სეზონისათვის რესპუბლიკანურ სოცდაზღვევის სამმართველოები ჩაატარებენ ფართო საპროპაგანდო მუშაობას საკურორტო მკურნალობის სასარგებლოთ. ყველა სანატორიუმებში და დასასვენებელ სახლებში მუშა - მოსამსახურეები გაიგზავნებიან თავის დროზე. ამასთანავე ერთად მოხდება საკურორტო და საექიმო - გადამრჩევი კომისიების გადახალისება ყველა სოცდაზღვევის სალაროებთან.

ამხ. კაზანცევის მატარებელი

საუბარი ამხ. საბენკოსთან

წიფაში 12 ნოემბერს კაზანცევის მუხრუჭებით მოწყობილ მატარებლიდან კატასტროფისთანავე მოხსნილი მუხრუჭები დააყენეს ხელახლა შედგენილ მატარებელზე, რომელიც გაიგზავნა ბაქოში 6 დეკემბერს ცდების საწარმოებლად. ორთქლმავალზე დაყენებული იყო შეცვლილი ონკანი. თბილისიდან ბაქომდე და უკან თბილისამდე მატარებელმა კარგათ იმგზავრა.

10 დეკემბერს ღამის 3 საათზე, მატარებელი თბილისიდან წავიდა ბათომისაკენ. მას მიჰყვებოდენ წევის დარგის პასუხისმგებელი აგენტები, რომლებიც თვალ - ყურს ადევნებდენ მატარებლის შემადგენლობას, მუხრუჭების მოქმედებას და აძლევდენ სათანადო ინსტრუქციებს უმცროს აგენტებს.

დილის 10 საათზე სადგ. სურამში მისვლის დროს, შესასვლელ ისრის მატარებლის ქვეშ გადაყვანის გამო, ლიანდაგიდან გადავარდა და წაექცა ერთი კანადური ცისტერნა. ამასთანავე გადავარდა ლიანდაგიდან 4 ცისტერნა. მატარებელი შედგებოდა სულ 39 მაზუთით სავსე ცისტერნებისა და ერთი საკლასო რონოდისაგან. ადამიანთა მსხვერპლი ამ შემთხვევას არ მოყოლია; დაზიანდა ოთხი ცისტერნა, ხაზი 100 საჟენზე და ორი ცენტრალური ისარი.

მატარებლების მიმოსვლა ბათომის ხაზზე 11 დეკემბერს დილის 10 საათიდან საღამოს 6½ საათამდე შეწყდა. ხაშურიდან სურამში მივიდა დამხმარე მატარებელი და მოძრაობა აღდგენილ იქნა მოსავლელ ხაზით. ჩავარდნილი რონოდები ამოიღეს, ისინი შესცვალეს სხვებით და მატარებელი წავიდა ბათომისაკენ.

თბილისიდან სურამში, გაემგზავრა ა.-კ. საგზაო - სატრანსპორტო სახელმწიფო - პოლიტიკურ სამმართველოს უფროსი რწმუნებული ამხ. საბენკო, რომელიც ჩაჰყვა მატარებელს უღელტეხილზე.

ჩვენს თანამშრომელთან საუბარში ამხ. საბენკომ განაცხადა:

მატარებლის სიჩქარე სურამდე უდრიდა 40 კილომეტრს საათში, რაც ნორმალურად უნდა ჩაითვალოს. სურამში გათვალისწინებული იყო მისი მიღება პირველ ხაზზე. მატ. მიღების დროს, სურამში მოდიოდა ხაშურის მხრიდან მეორე საბარგო მატარებელი.

მეისრემ, სადგურის მორიგის დაუკითხავად დაკეტა აღმოსავლეთის მხარეს მდებარე სემაფორი და გაღო დასავლეთის.

აღმოსავლეთის სემაფორის დაკეტვა მოხდა სწორედ იმ დროს, როდესაც მატ. № 192 შედიოდა ისრებში. სემაფორის დაკეტვას მოჰყვა ისრის გადაყვანა მატარებლის ქვეშ.

მატარებლის სისწრაფე ისრებზე არ აღემატებოდა 17 კილომეტრს.

ცისტერნების ჩავარდნის შემდეგ, მატარებელმა გაიარა კიდევ 50 საჟენამდე და გაწყდა. ჩავარდნილი ცისტერნები მიეკრნენ ერთმანეთს.

ისრის გადაყვანა მატარებლის ქვეშ ბოროტგანზრახვით არ მომხდარა. აქ ადგილი აქვს სადგურის უფროსის ხაზარაძის დაუდევრობას. მას ნება არ ჰქონდა ისრის ბერკეტთან დაეშვა მეისრე.

ხაზარაძე ეხლა დაპატიმრებულია და ა.-კ. რკ. გზ. სამმართველოს განკარგულებით მოხსნილია სამსახურიდან.

მატ. № 192 აღდგენისთანავე, სურამიდან წავიდა ბათომისაკენ. ხაშურში მას შეხვდა მუხრუჭების კონსტრუქტორი ამხ. ფ. კაზანცევი, რომელმაც იგი ჩაიყვანა მარელისამდე. უღელტეხილზე სისწრაფე უდრიდა 30 ვერსს საათში.

უღელტეხილზე, მემუხრუჭეებმა შიშის გამო არ დაიცადეს დამუხრუჭების სიგნალს და მატარებელი დაამუხრუჭეს ადრე.

ამის გამო მოლითში, მემუხრუჭეებზე ამხ. კაზანცევმა დაადო პლომბები დაღმართზე წავიდა 30 ვერსის სიჩქარით და მატარებელი გააჩერა 1 წუთში.

ამგვარად კაზანცევის მუხრუჭმა კიდევ ერთხელ ბრწყინვალედ დაიჭირა გამოცდა.

მატარებელი გუშინ ღამის 1 საათზე და 40 წუთზე ჩავიდა ბათომში.

ამხ. კაზანცევის დეპეშა

12 დეკემბერს მატ. № 192 - თ წარმოებულ ცდების შესახებ ამხ. კაზანცევმა შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა გუშინ გზათა — მიმოსვლის კომისარიატს.

„12 დეკემბერს, მე — ა.-კ. რკ. გზ. წევის დარგის, ა.-კ. საგზაო - სატრანსპორტო სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს და წევის დარგის მე-3 განყოფილების წარმომადგენლებთან თანდასწრებით, ჩემი მუხრუჭით მოწყობილ ნავთის სამარშრუტო მატ. № 192-თ დავეშვი სურამის უღელტეხილზე.

მატარებლის მთელი ღერძების რაოდენობიდან 52 პროცენტი მოწყობილი იყო მუხრუჭებით. დაღმართზე მივდიოდით 35 კილომეტრის სიჩქარით საათში.

სამარშრუტო მატარებელი მოწყობილი იყო მუხრუჭის ხელსაწყოებით, რომლებიც მოხსნილ იქნა წიფაში დამსხვრეულ მატარებლის ორთქლმავლიდან. ხელსაწყოები დაყენებული იყო ახალ მატარებელზე იმავე მდგომარეობით, როგორც იყვნენ მოხსნილი დამსხვრეულ ცდაი ორთქლმავლიდან და ცისტერნებიდან.

სამუხრუჭო ძალა ნებას იძლეოდა გაგვევითარებია სისწრაფე, მაგრამ გზის პირობების გამო, უმაღლესი სისწრაფის განვითარების საშუალება არ იყო.

გამოცდის შედეგები სავსებით დამაკმაყოფილებელია.

რკინისგზების ცენტრალურ სამმართველოს მუხრუჭების საკონსტრუქციო ბიუროს უფროსი ფ. კაზანცევი".

მატარებელი სახალხო რონოდებით

გუშინ დილის 9 საათზე თბილისიდან ბათომში წავიდა საცდელი მატარებელი — ათი სახალხო რონოდის შემადგენლობით.

მატარებელი მოწყობილია კაზანცევის და ვესტინგჰაუზის შერეული მუხრუჭებით.

მატარებელზე კერძო მგზავრები არ იქნებიან.

თბილისიდან მარელისამდე მატარებელს წაიყვანს მუხრუჭის კონსტრუქტორი ამხ. ფ. კაზანცევი.

ნავთსადენის გადაკეთება

მოსკოვიდან დაბრუნდა ა.-კ. რკ. გზ. ნავთსადენის განყოფილების უფროსი ამხ. ოგანეზოვი, რომელმაც ნავსადენის უფროსი ამხ. ოგანეზო შემდეგი განაცხადა:

გზათა-მიმოსვლის სახ. კომისარიატის სატრანსპორტო და ს. ს. რ. კ. სახელმწ. საგეგმო კომისიებში განიხილეს საკითხი ბაქო-ბათომის ნავთსადენის გადაკეთების შესახებ.

ამჟამად ჩვენი ნავთსადენი ნახევრად დატვირთულია. იმ შემთხვევაში, თუ საზღვარ-გარეთის ბაზრებზე შემცირდება მოთხოვნილება ნავთზე, ამ ნორმის დაცვა შეუძლებელი გახდება. ამის გამო ზემოხსენებულ ორგანოებში გადაწყვეტილია ჩვენი ნავთსადენის გადაკეთება ისე, რომ მით შეიძლებოდეს ნავთის პროდუქტების შერეულად გადაქაჩვა ბაქოდან-ბათომამდე შემდეგი სახით: 26 მილიონი ფუთი დაუმუშავებელი ნავთი, 7 მილიონი ფ. მძიმე ბენზინი და ნავთი, 14 მილიონი ფ. სატრანსპორტო ბენზინი და 6 მილიონი ფ. გაზოლინი.

ამ გზით ყოველ წლიურად დაცული იქნება 3 მილ. მანეთის ეკონომია.

თითოეული ფუთი ნავთის პროდუქტის გადაქაჩვის ღირებულება 11,89 კაპიკიდან შემცირდება—5,52 კაპიკამდე.

ამის გამო აუცილებლადაა ცნობილი ბაქო-ბათომის შორის არსებული ნავთსადენის გადაკეთება, რის შემდეგ შესაძლებელი გახდება ნავთის პროდუქტების შერეულად გადაქაჩვა.

ამ საქმისათვის საჭიროა 2.480.000 მან. აქედან მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვით გადადებულია—925.000 მანეთი. დანარჩენი თანხა გაიცემა მომავალ წლისათვის; ჩატარებულ იქნება შემდეგი სამუშაოები: გადაკეთდება ევლახის და გორის ნავთსადენის სადგურები და ახლებით შეიცვლება 30 კილომეტრის მანძილზე 8 დიუმიანი მილები. მილები დამზადდება საბჭოთა ქარხნებში, ხოლო დიზელები—გერმანიაში.

ვინაიდან ნავთსადენის გადაკეთება უშუალოდ დაკავშირებულია რკინის გზებთან, ამისათვის დადგენილია, ნავთსადენის გადაკეთება მიენდოს მხოლოდ გზათა-მიმოსვლის კომისარიატის ორგანოებს.

მოსახლეობის აღწერისათვის

აღწერის წინ

ცენტ. სტტ. სამმართველო იუწყება, რომ მოსახლეობის აღწერის ყველა მოსამზადებელი სამუშაონი დამთავრებულია. აღმწერთა და ინსტრუქტორთა შტატი ადგილებზე შედგენილია და ამჟამად სწარმოებს აღწერის ჩამტარებელ პერსონალის პრაქტიკული მომზადება.

საალწერო მასალები (ფორმულიარები, ინსტრუქციები და საკანცელარიო ნივთები) მიღებულია ადგილებზე და განაწილებულია საინსტრუქტორო უბნებს შორის.

ადგილობრივ დამხმარე კომისიების მიერ ყველა მაზრებში გამოცემულია სათანადო დადგენილებები საალწერო პერსონალისათვის ხელის შეწყობის შესახებ.

უკვე დამთავრებულია სამუშაო ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა, როგორც ცენტრალურ აპარატისათვის, ისე თვითეულ მაზრებისა და ავტონომიურ ერთეულებისათვის ცალკე; საალწერო თანხები, ხარჯთ-აღრიცხვასთან ერთად გადაგზავნილია ადგილობრივ.

ყველა რეგისტრატორს მიეცემა მოწმობა, ხელმოწერილი სახკომ. საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ელიავას და სტატ. ცენტრ. სამმართველოს მმართველის ამხ. რუხაძის მიერ. მოწმობები უკვე დაეგზავნათ მაზრებს.

დაიბეჭდა და გაეგზავნა მაზრებს დამატებითი ინსტრუქცია იმ კითხვების გარშემო, რომელიც წამოყენებულ იქმნა სამაზრო ხელმძღვანელთა თათბირზე.

ამ უკანასკნელი კვირის განმავლობაში საქ. სტატისტიკის ცენტრ. სამმართველოს საალწერო განყოფილებაში გაცხოველებული მუშაობა სწარმოებდა დამატებითი ინსტრუქციის, საალწერო თანხების და ხარჯთ-აღრიცხვების დასამუშავებლად.

საქართველოს მთელი მოსახლეობა თეორიული გამოანგარიშებით უდრის ამჟამად 2.564.000 სულს (ორივე სქესის). აქედან ქ. თბილისზე მოდის—266.800, აფხაზეთზე—175.860, აჭარისტანზე 135.000 და სამხრეთ-ოსეთზე—82.600 სული.

მთელი საქართველო ავტონომიურ რესპუბლიკითურთ გაყოფილია 21 საალწერო რაიონად, 336 საინსტრუქტორო და 37[illegible] სარეგისტრაციო უბნად.

საალწერო რაიონის სათავეში სდგას ხელმძღვანელი, საინსტრუქტორო უბნის სათავეში—ინსტრუქტორი, რომელსაც ყოველ ადგილებში ჰყავს 12, ხოლო ქალაქებში 15 რეგისტრატორი. თვითეულ რეგისტრატორს აქვს თავისი საალწერო უბანი.

სოფლებში აღმწერთა პერსონალი შესდგება უმთავრესად მასწავლებლებისაგან.

სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოებმა თავის დროზე დაამზადეს სამაზრო რუკები და ქალაქებისათვის—გეგმები, რომლითაც იხელმძღვანელებს ადგილობრივ აღწერის დროს საალწერო პერსონალი. გარდა ამისა თვითეულ ინსტრუქტორს მიეცემა თავისი საინსტრუქტორო უბნის გეგმა. ქალაქებში ყველა რეგისტრატორს ეძლევა თავისი სააღრიცხო უბნის გეგმა, რომელზედაც აღნიშნული იქნება კვარტალები, ქუჩები და სახლების ნომრები.

აღწერის ქრონიკა

მოსამზადებელი სამუშაონი

ა.-კ. ცენტ. სტატ. სამმართველოს მიერ მიღებული ცნობებით, საყოველთაო აღწერისათვის საჭირო წინასწარი მოსამზადებელი სამუშაონი უკვე ჩატარდა ა.-კ. ყველა რესპუბლიკებში. რესპუბლიკების აღწერის განყოფილებანი მოვალენი არიან საალწერო მუშაობის შესახებ სრული ანგარიში წარადგინონ ა.-კ. ცენტ. სტატ. სამმართველოში.

აღწერის სიტყვარი

ა.-კ. ცენტ. სტატ. სამმართველომ მიწერილობა გაუგზავნა რესპუბლიკანურ ცენტ. სტატ. სამმართველოებს აღწერის მასალების დასამუშავებლად ცალკე სიტყვარის შედგენის შესახებ ეროვნულ ენებზე.

ამის გამო, საქ. ცენტ. სტატ. სამმართველო უკვე შეუდგა შესაფერ მუშაობას.

ანგარიშის გასწორება

აღწერის ჩამტარებელ პერსონალს ხელფასი მიეცემა ქალაქებზე აღწერის ჩატარების ორი დღის შემდეგ, ხოლო სოფლად—სამი დღის შემდეგ.

აღწერა სამხედრო ნაწილებში

ა.-კ. ცენტრ. სტატ. სამმართველომ მოსთხოვა ყველა რესპუბლიკანურ ცენტრ. სტატ. სამმართველოებს ცნობები იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაშია სამხედრო უწყებაში აღწერის ჩატარების საქმე.

სამუშაო ხარჯთაღრიცხვები

აღწერის განყოფილებამ დაასრულა ყველა მაზრებისათვის აღწერის სამუშაო ხარჯთაღრიცხვების შედგენა.

მესაიდუმლეების დაწყება

რესპუბლიკანურ აღწერის განყოფილების მიერ ადგილებზე დაგზავნილი ინსტრუქტორები უკვე შეუდგნენ მუშაობას აღწერის ჩამტარებელ პერსონალის მოსამზადებლად.

მასწავლებელთა სიები

აღწერის განყოფილებამ მაზრებს მისწერა გამოგზავნონ იმ მასწავლებელთა სიები, რომელნიც ჩაბმული იქნებიან აღწერის საქმეში.

ასეთი სიები უკვე მიღებულია რამოდენიმე მაზრიდან.

სას.-სამ. კოოპერაციის გამოკვლევა

მ. გ. ინსპექცია შეუდგა ა. კ. სას. სამ. კოოპერაციის გამოკვლევას, რომლის მიზანი არის გამოარკვიოს, თუ რამდენად ჩაება მან გლეხობა სოციალისტურ მშენებლობაში. ამ ამოცანების მიხედვით გამოკვლევა შეეხება კოოპერაციის ორგანიზაციული მშენებლობის და გლეხობის კოოპერატიულად დარაზმვის ყველა მთავარ მომენტებს; იგი გამოარკვევს კოოპერატიულად შეკავშირებულ გლეხობის სოციალურ შემადგენლობას და აგრეთვე იმასაც, თუ რამდენად არის ჩაბმული კოოპერაციაში სოფლის ღარიბესი ნაწილი. განსაკუთრებით დიდ ყურადღება მიექცევა საწარმოო კოოპერაციას, როგორც მაგ. საწარმოო ამხანაგობებს და არტელებს, სამელიორაციო საზოგადოებებს, დახმარებითი მშენებლობის საწარმოო ამხანაგობებს და აგრეთვე კოოპერაციის საკრედიტო ფუნქციებს, გამორკვეული იქნება საკრედიტო ამხანაგობათა რაოდენობა და ზრდა, მათი წევრების სოციალურ ქონებრივი მდგომარეობა, მათი თანხების რაოდენობა და წყაროები. ამ გამოკვლევის ამოცანებს შეადგენს აგრეთვე გამოარკვიოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის, როგორც რესპუბლიკანური კავშირების, ისე ძირითადი სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობების ფინანსიურ ქონებრივი მდგომარეობა და აგრეთვე ისიც, თუ რა მონაწილეობას ღებულობს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია გლეხური მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციაში.

გამოკვლევის შედეგების მიხედვით გამომუშავებული იქნება ღონისძიებები სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის გასაჯანსაღებლად და განსამტკიცებლად მისი განვითარების პერსპექტივებთან შეფარდებით.

დამცველთა კოლეგიაში

(ალმ. საქართველო)

დამცველთა კოლეგიის პრეზიდიუმს დღევანდლამდი ჰქონდა სულ 54 სხდომა, რომელზედაც გარჩეული იყო 626 საკითხი. კოლეგიის წევრთა რიცხვი უდრის 237, თბილისში 194 და მაზრებში 43. ეროვნების მიხედვით: ქართველი—188, სომეხი—65, რუსი—17, ებრაელი—5, ბერძენი—2, გერმანელი—1. განათლების მიხედვით: უმაღლესი—219, საშუალო 42, დაბალი—17.

კოლეგიას ჰქონდა სახაზინო დაცვის საქმე 1540, აქედან თბილისში—1235 და მაზრებში—305. ქ. თბილისში არსებობს 8 საკონსულტაციო კამერა, მაზრებში 11.

ქ. თბილისში იურიდიული რჩევა-დარიგების რაოდენობა უდრის 5414, აქედან ფასიანი 2116 და უფასო—3298.

მაზრებში იურიდიულ რჩევადარიგების რაოდენობა უდრის 2276, აქედან ფასიანი—519 და უფასო—1757. სულ თბილისში და მაზრებში—7690, აქედან ფასიანი—2635 და უფასო—5055.

ქრონიკა

ამხ. სოლეიმანის დანიშვნა

იმის გამო, რომ ამხ. ბაგდატიევი მიემგზავრა მოსკოვში საბჭოთა კავშირის საირიგაციო კომიტეტში სამუშაოდ, ამიერ-კავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსად და დროებით აზერბეიჯანის წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსი ამხ. სოლეიმანი.

მისასალმებელი დეპეშა

განათლების კომისარიატმა ქ. თელავისა და კურდღელაურის თემის მასწავლებელთა კონფერენციისაგან მიიღო შემდეგი მისასალმებელი დეპეშა: „თელავის და კურდღელაურის თემის მასწავლებელთა კონფერენცია მხურვალედ ესალმება განათლების სახალხო კომისარიატს და ფიცს სდებს საბჭოთა ხელისუფლების წინაშე, რომ ენერგიულად იბრძოლებენ განათლების ფრონტზე მომავალ საბჭოთა მოქალაქეების ღირსეულად აღსაზრდელად“.

პოლიტგანათლების კომიტეტები

რესპუბლიკის მთავარ პოლიტგანათლების მიერ გამომუშავებულია გეგმა სოფლებში და ქალაქებში პოლიტგანათლების კომიტეტების მოწყობის შესახებ. აღნიშნული კომიტეტები მათ მინდობილ რაიონებს უხელმძღვანელებენ ყოველგვარ პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობას.

ცენტრში, გარდა ამისა, ახლო ხანში მოეწყობა პოლიტგანათლების მუშაობის მეთოდიური ბიურო.

შეშა რკინისგზელებისათვის

ტყის მრეწველობის ტრესტი შეუდგა ა.-კ. რკინისგზების საჭიროებისათვის შეშის დამზადებას. სულ დამზადებული იქნება 7.000 კუბ. საჟენი შეშა. აქედან ნახევარი იქნება რბილი ჯიშის და ნახევარი მაგარის.

შეშა უმთავრესად დამზადდება დასავლეთ საქართველოს და კახეთის ტყეებში.

აგურ-კრამიტის ქარხანა

ს. მ. ფ. ს. პრეზიდიუმის დადგენილებით ამ რამოდენიმე ხნის წინათ კახეთში გაგზავნილ იქმა სპეციალისტთა კომისია გეოლოგ ბახტაძის მეთაურობით.

კომისიამ შეიარა ს. მ. ფ. ს. სატეხნიკო და სამთო განყოფილების წარმომადგენლები, რომლებმაც ჩამოიარეს კახეთის რამოდენიმე რაიონი ქარხნის ასაგებ ადგილის ამოსარჩევად. კომისიამ სადგურ თელავთან აღმოაჩინა საკრამიტე თიხის საუკეთესო მარაგი, სადაც იქნება აგებული აღნიშნული ქარხანა.

ქარხნის ასაგები ადგილი თელავის რკ. გზის სადგურიდან მდებარეობს 3 ვერსის დაშორებით.

ტყიბულის მაღაროების წარმოება

ტყიბულის მაღაროებში ამას წინეთ გაჩენილ ცეცხლის გამო დანიშნული იყო სპეციალისტთა კომისია, რომელმაც თავისი დასკვნები ტყიბულის მაღაროებში წარმოების გაუმჯობესების შესახებ წარუდგინა ს. მ. ფ. ს. პრეზიდიუმს. პრეზიდიუმმა მიიღო კომისიის დასკვნები და დაადგინა მიღებულ იქნეს მთელი რიგი ზომები ტყიბულის წარმოების გასაუმჯობესებლად.

ამასთანავე მიღებულია ზომები, რომ შემცირებულ იქნეს დეკემბრის განმავლობაში ქვანახშირის მომხმარებელთა რიცხვი და გაძლიერდეს მუშობა, რომ იანვრიდან მიღწეულ იქნეს ქვანახშირის ამოღების ნორმა.

პური მებამბეთათვის

ა.-კავკასიის საბამბო კომიტეტმა დაადგინა მიმართოს ამიერ-კავკასიის შინა-ვაჭრობის კომისარიატს, რათა ამ უკანასკნელმა იშუამდგომლოს საკავშირო შინა-ვაჭრობის კომისარიატის წინაშე ამიერ-კავკასიის მებამბეთათვის პურის გაუმჯობესებული პროდუქტების მიწოდების შესახებ.

მიღებული პურის პროდუქტების ცუდი ღირსების გამო, საქართველოს საბამბო კომიტეტმა შეამცირა წლიური მომარაგების გეგმა 25 პროცენტით, ხოლო სომხეთისამ — 27 პროცენტით.

თბილისის აღმასკომში

◆ **წყალსადენები.** წელს მუშათა უბნებში 1500 სახლში გაყვანილი იქნება წყალსადენი.

◆ **ვაკეს დაგეგმვა.** კეთილმოწყობის განყოფილებამ დაამთავრა ვაკეს გეგმის შედგენა მისი კეთილმოწყობის მიზნით.

◆ **თეატრი და კინო.** გადაწყდა ვაკეში აიგონ თეატრი და მოაწყონ კინო.

◆ **ახალი წყალსაზომები.** კომუნალურმა განყოფილებამ რუსეთიდან მიიღო 1400 ცალი წყალსაზომი, რომლებიც დაიდგმება ქალაქის გარე-უბნებში.

◆ **კეთილმოწყობა.** კეთილმოწყობის განყოფილება შეუდგა ქალაქის განაპირა უბნების დაგეგმვას მათ მოსაწყობად.

შინაგან საქ. კომისარიატში

◆ **შინაგან საქ. სახ. კომისარიატმა** დაამთავრა პროვინციებისათვის საბინაო ნიხრის შედგენა. ნიხრი ახლო ხანში დაეგზავნება ადგილებს.

◆ **გზები.** კომისარიატი ახლო მომავალში შეუდგება რესპუბლიკაში გზების გამოკვლევას; გამოკვლეული იქნება თუ რა გაკეთდა საგზაო ბეგარით ადგილებზე.

საბინაო მშენებლობა

◆ **არჩევნები.** თებერვალ-მარტში მოხდება საბინაო კოოპერაციის ძირითადი უჯრედების გამგეობების ხელახალი არჩევნები.

◆ **საბინაო კოოპერატიულ ამხ-ბების კავშირმა** დაადგინა გააერთიანოს წვრილი საბინაო-საიჯარო ამხანაგობები.

შემთხვევები

◆ **ხანძარი.** 12 დეკემბერს, ღამის 4 საათზე კოოპერატივ „ბოლც-ოკას“-ს განყოფილებას (კახეთის ქუჩა № 3) გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩაქრობილ იქნა 1-ლ და მე-3 ნაწილის ცეცხლისმქრობელ რაზმების მიერ. ზარალი გამოურკვეველია. წინასწარი გამოძიებით ირკვევა, რომ ცეცხლი განგებაა წაკიდებული.

◆ **მორგებული გასაღების საშუალებით** მუშტაიდის შესახვევი № 17 გაქურდეს გრამიტონ აფხაზავას ბინა.

◆ **ღია კარებიდან** 12 დეკ. პროფესორ ვირსალაძის ბინაში შეიპარენ ბოროტმოქმედები და მოიპარეს 600 მანეთის ნივთები.

◆ **შეპყრობა.** 12 დეკ. შეიპყრეს ქურდობისათვის ჯაშიმ შემალ-ოღლი და ჰამედ ბაბაევი ნაქურდალი ნივთებით.

◆ **ამავე დღეს** ქურდობისათვის დააპატიმრეს იბრაგიმ რასულ-ოღლი.

◆ **ბოქლომის გატეხის საშუალებით** 12 დეკ. იზმაილოვის ქუჩა № 5 გაქურდეს საბავშვო სახლის სახელოსნო.

◆ **სამოვარის მოყვარული.** 12 დეკ. ტროცკის ქუჩა № 10 სალამოს ანდრო კვაჭაძის ბინის აივნიდან მოიპარეს სამოვარი.

◆ **გატეხილ ფანჯრიდან** ჩანგლიან ჯოხის საშუალებით ნიკოლოზ არუთინოვის ბინიდან მოიპარეს სხვადასხვა ნივთები და ტანისამოსი.

◆ **კედლის გამონგრევის საშუალებით** კომუნალური ქუჩა № 87 გაქურდეს მეჩკოოპის პურის საცხობი.

◆ **ზამესის ქვე-სადგურთან** რკინის გზის გადაღმა ბოძებიდან მოპარული იქნა სპილენძის მავთულები.

◆ **ფანჯრის შემტვრევით** 12 დეკემბერს ნინა ხანანოვის ბინაზე (მარტყოფის ქუჩა № 23) შესულან ქურდები, და მოუპარავთ საოჯახო ნივთები და ტანისამოსი.

◆ **ამავე დღეს** კამოს ქუჩა № 5 გაქურდეს სოლომონ შიუკაშვილის ბინა.

◆ **ამავე დღეს** ალაზნის ქუჩა № 15 გაქურდეს ნინა არამოვიჩის ბინა. წაღებულ ნივთების ღირებულება გამოურკვეველია.

◆ **ამავე დღეს** კომუნალური ქუჩა № 36 გაქურდეს სტეფანე-იაჩნიკოვის ბინა. წაიღეს 610 მ. ნივთები.

სასამართლო

მოკვლის ცდა

1925 წ. 16 ნოემბერს, ღამის 10-11 საათზე, მოქ. კონსტანტინე ზებედაშვილს, როცა ის ანტონოვის ქუჩით სახლში ბრუნდებოდა, დაეწია ვიღაც უცნობი მოქალაქე და ჰკითხა თუ სად იმყოფება „რესპუბლიკის საავადმყოფო“. სათანადო პასუხის გაცემის შემდეგ ზებედაშვილმა განაგრძო გზა. რამოდენიმე ხნის შემდეგ ამ უცნობმა მოქალაქემ ანტონოვის ქუჩაზე მიეპარა ზებედაშვილს, ჩასცა ზურგში დანა და მიიმალა. ზებედაშვილმა ამოიღო ხანჯალი და მიუხედავათ ჭრილობებისა, დაედევნა უკან გაქცეულ მოქალაქეს. ზებედაშვილმა შეამჩნია, რომ უცნობი მოქალაქე შევიდა საბჭოს ქუჩაზე, (ყოფ. კორგანოვის) ეზოში. № 59 საგუშაგოზე მდგომმა მილიციელმა დააპატიმრა უცნობი მოქალაქე, რომელიც აღმოჩნდა გორის მაზრის მცხოვრები ნიკოლოზ (კოლა) შატაკიშვილი. დაპატიმრებული გამოტყდა დანაშაულში და განაცხადა, რომ ზებედაშვილმა წაიყვანა იგი თავის სახლში და სიკვდილის მუქარით უარი უთხრა ვალის გასტუმრებაზე.

ზებედაშვილმა დაჭრის დღესვე განაცხადა, რომ ნიკოლოზ შატაკიშვილს ის არ იცნობს და, მასთან არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონია.

საქმე გადაეცა აღმოსავლეთ საქართველოს პროკურატურას და დაიწყო წინასწარი გამოძიება.

გამოძიებით გამოირკვა შემდეგი:

კონსტანტინე ზებედაშვილი წინა წლებში სცხოვრობდა გორში. შემდეგ შეირთო ცოლი, რომელთანაც კარგს განწყობილებაში იყო. არ გასულა დიდი ხანი, რომ ზებედაშვილის ცოლს შუშანას არშიყობა დაუწყო გორის მცხოვრებმა ნიკა შატაკიშვილმა. უკანასკნელი ემუდარებოდა ქალს დაეტოვებია ქმარი და გაჰყოლოდა მას ცოლად. ქალი დათანხმდა. განშორდა ქმარს მალში გაუტარებლად და დაიწყო ცხოვრება შატაკიშვილთან. ვინაიდან ეს უკანასკნელი ცოლშვილიანი იყო, ამიტომ ადგილობრივ დაიქირავა ცალკე ოთახი და რამოდენიმე თვის განმავლობაში სცხოვრობდა ზებედაშვილის ცოლთან. მაგრამ ხასიათით ისინი ერთი-მეორეს ვერ შეეწყვნენ და შუშანა ისევ დაუბრუნდა პირველ ქმარს.

შატაკიშვილი განაგრძობდა „მუშაობას“ ქალის თანაგრძნობის მოსაპოებლად, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია. შემდეგ მან გადაწყვიტა მოეკლა ზებედაშვილი. იმ პირს, რომელიც მის დავალებას „პირნათლად“ შეასრულებდა, დიდ ჯილდოს პირდებოდა.

ზებედაშვილმა თავისი სახლ-კარი გორში გაჰყიდა და გადასახლდა თბილისში.

თბილისშიაც მოსვენება არ მისცა მას შატაკიშვილმა. ბოლოს კი თავისი მეგობარი მიუგზავნა ზებედაშვილს იმ განზრახვით, რომ ის მოეკლა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 1925 წ. 6 დეკემბერს, როცა შუშანა ზებედაშვილმა ქალაქის 1-ლ საავადმყოფოში ინახულა თავისი ქმარი, სახლში დაბრუნებისას—გზაზე შეხვდა მას ნიკა შატაკიშვილი და განმეორებით მისცა წინადადება გაჰყოლოდა ცოლად. შემდეგ უამბო მას, რომ მისი ქმარი დასჭრა ნიკოლოზ შატაკიშვილმა მისივე დავალებით. თანაც დასძინა: „ზებედაშვილი მიღებული ჭრილობებისაგან, რომც განიკურნოს, შენ მაინც ჩემი უნდა გახდეო“. ქალმა გადაჭრით უარი უთხრა.

ნიკოლოზ და ნიკა შატაკიშვილების საქმე გუშინ უნდა ვარჩეულიყო აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში, მაგრამ გადაიდო.

ხელოვნება

რუსული დრამა

„იღმუე ჩინეთო“

პიესა ტრეტიაკოვის,
დადგმა ფეოდოროვის,
მხატვარი შლეპიანოვი.

ერთი ცნობილი გერმანელი კრიტიკოსი შტერნტალი „დერ ნოიე მერკურში“ ბერლინის თეატრების 1921—22 წლის რეპერტუარის შესახებ სწერდა: „ჩვენ განვიცადით ბურჟუაზიულ სამყაროს დასასრული, ძველი მსოფლმხედველობა მოკვდა, თანამედროვეობამ დაჰკარგა რწმენა ძველ იდეალისტურ ილიუზიებში—ახალი კი ეს ეს არის იბადება, ამიტომ არ არსებობს სულიერი იმპულსი, რომელიც აამოძრავებს მსახიობს თავის ძალების მაქსიმალურ გაშლისაკენ და რეჟისორს თავისი ხელმძღვანელობის ცენტრალიზაციისაკენ. თანამედროვე მაყურებელს არ აკმაყოფილებს ძველი გმირული რეპერტუარი, განსაკუთრებით შილერის ტიპის იდეალისტური დრამები, ის ირონიულად არის განწყობილი; ამიტომ კომედია უნდა გახდეს რეპერტუარის მთავარი ღერძი“.

შტერნტალი მართალია იმაში, რომ ძველმა გმირულმა დრამამ თავისი დრო მოსჭამა, მაგრამ ისიც მართალია, რომ დადგა ხანა ახალი გმირობის, ახალი სიმბოლოების, ახალ პათოსის და ახალ საგმირო რეპერტუარის, რომელსაც შეუძლია აღაფრთოვანოს და გაიტაცოს თანამედროვე აუდიტორია.

ამის მაგალითია ტრეტიაკოვის პიესა — „იღმუე ჩინეთო“. ეს არის რამოდენიმე გვერდი, მხატვრულად ამოგლეჯილი დიდი ერის დიადი გმირული ბრძოლის ისტორიიდან. საჭიროა დიდი სიყვარული და გატაცება უცხო დაბეჩავებულ ერის ბედით, უშუალოდ განცდა მის მწვავე ტკივილების, რომ რამოდენიმე სცენურ ხაზებში მოცემულ იქნას მონობის უღლის ქვეშ განრთხმულ მრავალმილიონიან ერის დრტვინვა, მოცემული იქნას ტანჯვა და კვნესა არა სამუშაო კაბინეტში განცდილი და გააზრებული, არამედ ბედის თანამოზიარის და თანამებრძოლის გულიდან ამოხეთქილი.

აქ დაკრძალულია ძველი საგმირო დრამის იდეალისტური ილიუზიები, მლაშე პათეთიური განწყობილება, ეს პიესის სათაურიდან მოსჩანს, ეს მართლაც ღმუილია უზომო ტკივილებით გამოწვეული, ღმუილი მძიმე უღლის ქვეშ პირუტყვის მდგომარეობამდე დაყვანილ ადამიანის.

ერთიანობა მოქმედების და სტილის, დრამატიული შინაარსის სიმდიდრე, სახეების და ტიპების მკვეთრი მოხაზვა, დრამის ჩანასკვის კონკრეტიულობა და ხორცშესხმულობა პიესას ერთობ სცენიურად ხდის.

დადგმის პრინციპი ნარევია თეატრის პირობით და ნატურალისტურ სისტემების; ეს არის რეპროდუქცია ამ პიესის დადგმის იმავე რეჟისორ ფეოდოროვის მიერ მეიერხოლდის სახელობის თეატრში. ცხადია გაცილებით უფრო ძნელ პირობებში იყო თბ. მუშათა თეატრი. თუ მეიერხოლდის სახელობის თეატრში ნაღმოსანს საშუალება აქვს იმოძრაოს სცენაზე, აქ სცენის სივიწროვის გამო ეს არ ხერხდება. მოქმედება იშლება თითქმის ერთ პლანზე, პირველი ხაზი უშუალოდ მაყურებლის წინ მიმდინარეობს, ამავე მიზეზით მოქმედნი პირნი გვერდის ლოჟებიდან გამოდიან, რაც ძლიერ ათერებს ნაღმოსნის რეალობას, არ ხერხდება სინათლის მონტაჟის სრული გამოყენება, მაგრამ მიუხედავათ ამ ძნელ პირობებისა დადგმამ თვით გარეგნულ სცენიურობით თეატრალური რეჟისორის და ტეხნიკური პერსონალის თავდაუზოგავ შრომის წყალობით მოგვცა მაქსიმუმი იმისა, რის მოცემაც შესაძლებელი იყო მუშათა თეატრის პირობებში.

ასევე დიდი მუშაობის კვალი აჩნევია პიესის მრავალრიცხოვან პერსონაჟს. მასიური სცენები არაჩვეულებრივ მწყობრია, მხატვრული და კოლორიტულია, ტიპაჟი რელიეფურ დამახასიათებელ სახეებშია მოხაზული. დაუინი (ვიქტოროვი) მთელი მისი ფიგურა, უენო მიქრაოპის გრძნობების განსახიერება, არაჩვეულებრივი გულწრფელობითაა გამსჭვალული „ბოის“ როლი, მს. ქალ სნეგინას მიერ; ლოცვის კითხვის სცენა და განსაკუთრებით კაპიტანის კაბებზე თავის ჩამოხრჩობის სცენა, ეს მწვავე განათიბით და გულის გამგმირავი მოთქმა-სიმღერა, რომელშიაც თითქოს ერის მთელი დამონება გოდება ისმის, მართლაც „მწვავე საშინელების“ სცენას ქმნის. ასევე დამახასიათებელი, უხვ ფერებით მოცემული მენავეთა კავშირის თავმჯდომარე (ვილიოანოვი); ბავშვების მოვაჭრე ქალი (ორლოვა) და განსაკუთრებით მოხუცი მენავის ფიგურა (კლიმოვი) ასევე მხატვრულად და რელიეფურად არის მოცემული „ცივილიზაციური სამყარო“ ნაღმოსნის საოფიცრო დიჩმედობიან მოსახლეობაში. განსაკუთრებით კარგია კაპიტანი (ლიუბოში), დე-ბრიუ (ბორინი) და კორდელია (მს. ქალი მურატოვა).

ზხეპი.

პროლეტ. მწერალთა ასოციაციაში

კვირას, 12 დეკემბერს, ხელოვნების სასახლეში შესდგა საქ. პროლეტ. მწერალთა ასოციაციის მორიგი სალამო, რომელზედაც მოხსენება გააკეთა ამხ. ვ. ლუარსაბიძემ შემდეგ თემაზე: „სტაბილიზაციურ განწყობილებათა ნიშნები პროლეტარულ ლიტერატურაში“.

თავის მოხსენებაში მომხსენებელმა აღნიშნა ერთგვარი განწყობილების სტაბილიზაცია პროლეტარულ მწერლებში, როგორც რუსეთში, ისე ჩვენშიც. სტაბილიზაციის მიზეზები უნდა ვეძიოთ თანამედროვე პოლიტიკურ-ეკონომიურ სინამდვილეში. მომხსენებლის აზრით, იგი გამოწვეულია მოცემულ ეტაპის შეხედულებით და ახალი ეკონომიური პოლიტიკის ზოგიერთი თავისებურებით და მისი ზეგავლენით. ამ ნიადაგზე რუსეთის პროლეტ. ლიტერატურაში ადგილი ჰქონდა ე. წ. ჰუმანიურ „ჰაილეტიზმს“, იმ დროს, როცა ჩვენში უკანასკნელზე გავლენა იქონია ზოგიერთმა „პატრიოტულმა“ გადახრებმა.

მომხსენებლის აზრით, პროლეტარულ ლიტერატურიდან გადახრის აშკარა ნიშნები [illegible] როგორც რუსეთის, ისე საქართველოს პროლეტარულ მწერლებში.

მაგრამ გადახრის წინააღმდეგ სწარმოებს ამ ჟამად რუსეთში დიდი მუშაობა. თანდათანობით ხდება გადახრათა სრული ლიკვიდაცია.

მოხსენებამ გამოიწვია მხურვალე კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ამხ. პ. ქიქოძემ, დ. რონდელმა, ბ. ბუაჩიძემ, ლორთქიფანიძემ, ბობოხიძემ და ხომერიკმა.

ამხ. ლუარსაბიძის საბოლოო სიტყვის შემდეგ სალამო დაიხურა.

ასოციაციის გამგეობას გადაწყვეტილი აქვს ასეთი სალამოები ხშირ-ხშირად მოაწყოს.

ვ. ი.

ხელოვნების ქრონიკა

◆ ლენინაკანის მიწისძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ ოთხშაბათს რუსთაველის თეატრში სომხური დრამის მიერ წარმოდგენილი იქნება: „ოტელო“. მთავარ როლში—პაპაზიანი.

◆ „პიკის ქალი“. დღეს ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნება: „პიკის ქალი“.

◆ „სოფლის მგლები“. მუშათა თეატრში სომხური დრამის მიერ წარმოდგენილი იქნება: „სოფლის მგლები“.

◆ „უკანასკნელი გამოცდა“. კინო „არფასტოში“ დაიწყო ახალი სურათის ჩვენება „უკანასკნელი გამოცდა“.

◆ „ამერიკელი ძია“. დღის რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება: „ამერიკელი ძია“.

◆ ლიტერატურული გაზეთი. მწერალთა კავშირის განზრახვა აქვს გამოსცეს ყოველკვირეული გაზეთი.

◆ „ინტერესთა თამაში“. ხუთშაბათს, 16 დეკ. რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება: „ინტერესთა თამაში“; დადგმა კ. მარჯანიშვილის.

ფეხბურთი

„წ. ა. ფ. ს“. — „პოლიტეხნიკუმი“

პირველ კალენდარული შეჯიბრი ქალაქის პირველობაზე გაიმართა წითელიარმიის და ფლოტის სახლის გუნდსა და სახელმწიფო პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის გუნდს შორის.

პირველ ტაიმში თამაში თითქმის თანაბრად მიმდინარეობდა. შეჯიბრი ხალისიანათ იწყება, მაგრამ შემდეგში წვიმისა და ტალახის გამო ეს ხალისი თანდათან კლებულობს. გუნდების ბრძოლის თამაშის პირველ განყოფილებაში არ მოყოლია რეალური შედეგი.

მეორე ტაიმი იწყება პოლიტეხნიკური ინსტიტუტის მოთამაშეების შეტევით, რომელიც თითქმის მთელი ტაიმის განმავლობაში გრძელდება. ათი წუთით ადრე ტაიმის ბოლომდე „პოლიტეხნიკუმის“ მარჯვენა გარე-მარბი არ. ბეგვაშვილი ლამაზი დარტყმით პირველ ბურთს მოაქცევს „წ. ა. ფ. ს“.-ის ბადეში.

ჩქარა „წ. ა. ფ. ს“.-ის კარებში მეორე ბურთი გაივლის და შეჯიბრი თავდება 2:0 პოლიტეხნიკური ინსტიტუტის გუნდის სასარგებლოდ.

„დრუჟი“ — „სინათლე“

ძლიერ ტალახის გამო მეორე კალენდარული შეჯიბრი „დრუჟსა“ და „სინათლე“-ს შორის გადატანილი იქნა სამხედრო სკოლის მოედანზე.

„სინათლე“, რომელიც წელს პირველად იღებს მონაწილეობას პირველობის გათამაშებაში, საკმაოდ ძლიერი გუნდია. გუნდი სწრაფი ტემპით თამაშობს და მას შეუძლია მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწიოს, თუ გააუმჯობესებს თამაშის ტეხნიკას.

„დრუჟი“ ამ შეჯიბრში თუმცა შესუსტებული შემადგენლობით გამოვიდა, მაგრამ უპირატესობა თამაშის მხრივ მაინც მის მხარეზე იყო.

შეჯიბრი დამთავრდა 6:3 „დრუჟი“-ს სასარგებლოდ. ამ უკანასკნელის მხრიდან კარგად თამაშობდნენ აბაშიძე, გუნია და ფრუიძე.

იურიდიული დახმარება

შრომის უნარის დაკარგვის დროს დახმარების გაცემის შესახებ

კითხვა

მე ვმსახურობ აბასთუმნის საკურორტო სამმართველოში მოანგარიშედ. ვღებულობ თვიურად 55 მან. 02 კაპ. მიმდინარე წლის წინა თვეებში მე ვმუშაობდი ზედმეტ სამუშაოზე და მივიღე ივლისის 15-ს თვიური ჯამაგირის ნახევარი. ავადმყოფობის გამო 16 სექტემბრიდან მე აღვერიცხე დამზღვევ სალაროზე ერთი თვით. დამზღვევმა სალარომ მომცა მხოლოდ ერთი თვის ჯამაგირი 55 მან. 02 კაპ.

გთხოვთ განმიმარტოთ, მერგება თუ არა წინა თვეებში შესრულებული ზედმეტი სამუშევრის ჯილდო და რა რაოდენობით.

მოანგარიშე, კავშირის წიგ. № 1888.

პასუხი

თანახმად საქართველოს რესპუბ. სოც. დაზღვევის სამმართველოს 1925 წ. 23 ივლისის ცირკულიარი № 84-ს მუხ. 4-ის და მის პირველ შენიშვნისა, თქვენთვის დამზღვევ სალაროს უნდა მიეცა დახმარება თქვენი ფაქტიური ხელფასის რაოდენობით, სადაც შედის ფულადი ჯილდოს და ნატურალურ კმაყოფის ყველა სახეები — როგორიცაა მაგ. ზედმეტი საათების, პრემიალური, კომუნალური სამსახურის, ხანარდი და სხვ.

ფაქტიური ხელფასის გამოანგარიშება-განსაზღვრის დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ორი წინა თვის საშუალო ხელფასი და ამ უკანასკნელის მიხედვით დამზღვევმა სალარომ უნდა მოგცეთ დახმარება.

პარტიული და საბჭოთა ცხოვრება

— ს. კ. პ. ცენტრალური საკონტროლო კომისია წინადადებას აძლევს ამხ. გიორგი ხობუას, იაკობ აბაშიძეს, ვლადიმერ ნადარეიშვილს, ონისიმე ხიხუას და შოთა ჩაკვეტაძეს, რათა გამოცხადდნენ საკონტროლო კომისიაში.

(რუსთაველის პროსპექტი მესამე სართული, ოთახი № 9).

— სამშაბათს 14 დეკემბერს, სალამოს 6 საათზე ს. კ. პ. (ბ) ცეკას აგიტპროპში შესდგება **აგიტპროპ-კოლეგიის სხდომა**; დასწრება სავალდებულოა შემდეგ ამხანაგებისათვის: საყვარელიძე, თათარიშვილი, იმედაძე, კახიანი, კანდელაკი, მზითაროვი, ასრიბეკოვი, მაშკევიჩი, მუშიშვილი, ჯაფარიძე, გეგენავა, გეზა გოლდი, ალავერდიანი, არუთინოვი, ადამაძე, დუდუჩავა, შუშანია.

— ოთხშაბათს 15 დეკემბერს, დღის 1 საათზე ს. კ. პ. (ბ) ც. კ. აგიტპროპში მოწვეულია **თვითგანვითარების კომისიის სხდომა**. დასწრება სავალდებულოა შემდეგი ამხანაგებისათვის:

ლომთათიძე, დუგლაძე, ხოფერია, თოდუაძე. ქარ დივიზიის წარმომადგენლის, მაჭავარიანი და დიმოყვი.

— საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის ორგანიზაციის **ქალაქის რაიკომს** საღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება წინადადებას აძლევს ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგებს, რათა სამი დღის ვადაში გამოცხადდნენ საღრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. ეგოროვთან.

სიხარულიძე შალვა, პეტროსიანი დერენიკ უჯრ. № 8, გეორგელაშვილი გიორგი, მურადიანი პოლის უჯრ. № 0, ასრიევი სერგო, აივაზოვი ნიკოლოზ, იზმაილოვი ალექსანდრე, ჯანჯღავა მარიამ, ვართანოვი არტაშ უჯრ. № 12. და ლხუბიანი ალექსანდრე უჯრ № 40.

— საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი იტყობინება, რომ დღეს 14 დეკემბერს სალამოს 6 საათზე ახალ მუშათა კლუბში მოწვეულია შემდეგი უჯრედების კრება: ქალაქის აღმასკომის 1 და 2 სტამბა, პოლიგრაფ-ტრესტის 1, 2 3—4 სტამბები, „ზარია ვოსტოკას“ სტამბა, ლიტოგრაფიის, პოლიგრაფსკოლის, ამხ. ლენინის სახელობის თამბაქოს ფაბრიკის, გრიხილი ავეჯის ფაბრიკის ტემზა, ცეკავშირის სტამბის, წითელი მებრძოლი სტამბის და ამიერ-კავკასიის და საქართველოს მთავარ პოლიტიკურ სამმართველოს.

პროფ.კავშირთა დიდ დარბაზში—შემდეგი უჯრედები: ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტი, ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახ. კომისარიატის, ამიერ-კავკასიის და საქართველოს მუშა და გლეხთა ინსპექციის იოსტაციის სახ. კომისარიატის, სახალხო კომისართა საბჭო, ტრესტების, სინდიკატების და ამიერ-კავკასიის მთავარ პოლიტიკურ სამმართველოს მე-8 პოლკისა.

— საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის მე-2 რაიკომი წინადადებას აძლევს ამხ. სერგო ანთაძეს, გიორგი თანდილოვს, ლობჟანიძეს და გორდეზიანს (მეშ კოოპის უჯრ.), რათა ორი დღის ვადაში გამოცხადდნენ რაიკომის საღრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. გოგოლაძესთან.

— საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო კოლეგიის სხდომა შესდგება ოთხშაბათს 15 დეკემბერს, დილით 10 საათზე—თბილისის კომიტეტის მდივნის ამხ. ასრიბეკოვის კაბინეტში.

ვინაა წინააღმდეგი?

— ს. კ. პ. (ბ) ქუთაისის სამაზრო კომიტეტში აქვთ შემოტანილი განცხადება ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს, რომლებმაც სურთ პარტიაში შემოსვლა. თუ ვინმეს რაიმე საწინააღმდეგო აქვს — გთხოვთ გვაცნობოთ წერილობით ან სიტყვიერად ქუთაისის კომიტეტის საღრიცხვო განაწ. ქვე-განყოფილებაში ორი კვირის განმავლობაში დღიდან ამის გამოქვეყნებისა:

ფარცვანია ვასილ ონისიმეს ძე, კეთილაძე არსენ მიხეილის ძე, ლორთქიფანიძე პროკოფი ბესარიონის ძე, რატიანი გრიგოლ ილარიონის ძე, ლიდავა სერაპიონ პავლეს ძე, ზერაძე სერაპიონ სიმონის ძე, სულაბერიძე შალვა ნიკოლოზის ძე, გაბუნია ბესარიონ დიმიტრის ძე, ლაჩხავა ერმალოზ სიმონის ძე, სულამანიძე გრიგოლი ამბაკოს ძე, ქაბზინაძე ალექსანდრე ნიკოლოზის ძე, ბახტაძე ლუბა ნიკოლოზის ას., ჭაჭიჭერიძე ნესტორ ერმილეს ძე, მაღლაკელიძე აკ. თედოდეს ძე, მერკვილაძე ილიოანე გრიგოლის ძე, შუბლაძისა სოფიო ივანის ას., ტოკარსკი ოსკარ კალიმარის ძე, ლომაშვილი არჩილ ოქროპირის ძე, ჯაფარიძე კონსტანტინე ბალანის ძე, ცხადაძე ალექსანდრე მაქსიმეს ძე, რობაქიძე ვალერიან ანაპოლიტის ძე, ჩარგეიშვილი ბიქტორ ეგნატეს ძე, ბახტაძე ოლია ნიკიფორეს ასული, ბახტაძე სევერიანე როსტომის ძე, ხუხაძე გერონტი მეთოდეს ძე, დოღრაშვილი საშიკო ერასტოს ძე, დოღრაშვილი ვალოდია ერასტოს ძე, მშველიძე ალექსანდრე იოსების ძე, დოღრაშვილი იოსებ სიმონის ძე, გორგაძე მიხეილ სიმონის ძე, თაბუკაშვილი ერმილე დიმიტრის ძე, დოღრაშვილი კარპო ერასტოს ძე, კვანტალიანი ივრამ გიორგის ძე, კუპრაძე პლატონ მიხეილის ძე, დოღრაშვილი ვლადიმერ სამსონის ძე, აბულაძე არტემი მათეს ძე, მაკარიძე თედორე ივანეს ძე, თაბუკაშვილი იასონ ლეონტის ძე, აბესაძე სევერიან ასლანის ძე, დვალიშვილი ვარლამ ივანეს ძე, რიხეიძე პროკოფი კონსტანტინეს ძე, რცხილაძე ალექსანდრე ივანეს ძე, გუგუჩიძე შალვა გიგოს ძე, ხელაძე ტარიელ პარმენის ძე, კაცაძე ონისიმე ბესარიონის ძე, შავლულიძისა ნინა ივანეს ას., ლობაძე დავით არტემის ძე, ლობაძე ალექსანდრე ლუკას ძე, ლაშქიანი სერგო კოსტას ძე, ნადირაძე გერონტი ქრისტეფორეს ძე, ჯანელიძე ისიდორე ლუკას ძე, ხურციძე კლიმენტი ბესარიონის ძე, ხურციძე იონა ერმალოს ძე, ტყემელაშვილი პოლიკარპე დიმიტრის ძე, თუთაშვილი ვლადისლავ გიორგის ძე, ხურციძე მიშა ამროსის ძე, კაკალაძე მოსე კონსტანტინეს ძე, ხურციძე ონისიფორე ფილიპეს ძე, სვანიძე გრიგოლ სევასტის ძე, ჯანელიძე ისიდორე ლუკას ძე, ლომინაძე ვლადიმერ ერმალოს ძე, სახლოშვილი შალვა მელიტონის ძე, ხურციძე სერგო ლუკას ძე, ტყეშელაშვილი გერმანე ივანეს ძე, მესხი დავით პარმენის ძე, სულაქველიძე მელქისედეკ ექვთიმეს ძე, მესხიძე ლუკა სპირიდონის ძე, ბალდავაძე ვენედიქტე რაჟდენის ძე, დვალიშვილი ერასტი ალექსანდრეს ძე, მოშიაშვილი მიხეილ შიოს ძე, ფხაკაძე გრიგოლ იოსების ძე, ბელთაძე გიორგი იოოდის ძე, ნაცვლიშვილი პარმენ ილიას ძე, ხურციძე გრიგოლ ილიკოს ძე, ხურციძე ალექსანდრე სტეფანეს ძე, დათეშიძე კონსტანტინე მიხეილის ძე, მოჭედლიძე გრიშა ნესტორის ძე, ცინცაძე გიორგი ერმალოს ძე, რუხაძე აკაკი ოქროპირის ძე, ჯიმშელეიშვილი ლავრენტი დავითის ძე, შალამბერიძე პოლიკარპე თომას ძე, ხაჭაპურიძე თეიმურაზ ნიკოლოზის ძე, ჯანელიძე ნიკოლოზ თედორეს ძე, ტუსკაძე სევერიან ანტონის ძე, ხაჭაპურიძე ბესარიონ პარმენის ძე, კირთაძე არსენ სტეფანეს ძე, გუგუნავა ვასილი ვლადიმერის ძე, ფრუიძე ვასილი პავლეს ძე, ლალიძე ლადიკო ირაკლის ძე და ბოკერია მიხეილ ივანეს ძე.

სახელმწიფო ოპერა

დღეს, პრემიერა პიკის ქალი
მონაწილეობენ: ბოჰელეპოვა, დამსახ. მსახიობი სკიბიცკაია, ვოლჩანეცკაია, ვიტინგი. გორელოვი, ვენაძე.

ოთხშაბათს, 15 დეკ. პირველი აბონემენტის მეხუთე სპექტაკლი
მაზეპა
ამ აბონემენტის ფულის მორიგი გადახდა.
დარჩენილი ბილეთები იყიდება.

ნ. 342

აპოლო
არფასტო
სოლეი
დარბაზი
(ყოფ. გლობუსი)
0—12 ნ. 287

პირველათ თბილისში. მხატვრული ფილმა
შეკვეცილი ფრთები
ამ დღეებში „სიყვარულის სიმღერები“ კოვანკოს მონაწილეობით.

პირველათ ეკრანზე განსაკუთრებული ხმატვრული ფილმა
„უკანასკნელი განსაცდელი“
მილტონ სმილსის მონაწილეობით,

პირველათ თბილისში კინო-შედევრი
„ჰო ან არა“
ლუიზი ვილსონის მონაწილეობით.

მომხიბლველი ფრანგული კინო-რომანი
„მკვლელის დღე“ 1-ლი და მე-2 სერია ერთათ.

ყველა კინოებში უკრავს სიმებიანი ორკესტრი.

ამ.-კავ. რკინის გზების სამმართველო

ამით აცხადებს, რომ 1926 წლის 20 დეკემბერს. დილის 10 საათიდან თბილისის სალიკვიდაციო საწყობში (გორის ქუჩა, რკინის გზის ფარგლები)

საჯარო ვაჭრობით გაიყიდება

ამ.-კავკ. რკ. გზის სხვადასხვა სადგურებზე მოუკითხავი ტვირთი და ბარგი

პირველ ვაჭრობაზე დარჩენილი გაუყიდავი ტვირთის ვაჭრობით გაყიდვისა და მეორე ვაჭრობის დაწყების ვადას დანიშნავს კომისია, რომელიც განაგებს ვაჭრობის საქმეს.

ქვემოდ ჩამოთვლილია ქვითარების №№, ტვირთის დასახელება ადგილების რიცხვი და წონა

დაწვრილებითი ცნობები შეიძლება მიღებულ იქნას თბილისის სალიკვიდაციო საწყობში მუშაობის საათებში, ვაჭრობის დღეებში კი—ვაჭრობის დაწყებამდე.

დაწვრილებითი განცხადება გამოკრულია თბილისის სალიკვიდაციო საწყობთან.

მოუკითხავი ტვირთი

№ 97564—კინო-აპარატის მოწყობილობა, № 1 ადგ. 25 კლგ., № 17036—ხის მანქ. ნაწილები 2 ადგ. 30 კლგ., № 149604—თუჯის ნაკეთობანი 1 ადგ. 98 კლგ., № 156360—პროზერის დამამზადებელი მასალა, 1 ადგ. 39 კლგ., № 135386—ასფალტი ტარელ. 5 ადგ. 345 კლგ., № 8082 | 1900—მელანი 2 ადგ. 140 კლგ., № 23167 | 195—კაკალი 12 ადგ. 589 კლგ., № 23171 | 202—კაკალი 10 ადგ. 475 კლგ., № 23188 | 204—კაკალი 13 ადგ. 600 კლგ., № 214824 სავიტ. ლიტერ. 1 ადგ. 5 კლგ., № 16871—ძველი გაზეთები 1 ადგ. 5 კლგ., № 910—ძველი გაზეთები 1 ადგ. 4 კლგ., 206363—ტეხნიკ. მინები 1 ადგ. 1 კლგ.

მოუკითხავი ბარგი

№ 38728—მოსარწყავები (опрыскиватели) 13 ადგ. 168 კლგ., № 38139—დაბეჭ. წიგნები 2 ადგ. 102 კლგ., № 36018—„პოდშიპნიკები“ 1 ადგ. 19 კლგ., № 40739—ძველი ტომრები 1 ადგ. 63 კლგ. № 170775—ს | ბარგი 1 ადგ. 28 კლგ., № 256723—ს | ბარგი 3 ადგ. 105 კლგ., № 206399—ს | ბარგი 1 ადგ. 33 კლგ., № 26909—დაბეჭ. წიგნები 1 ადგ. 67 კლგ., № 38136—დაბეჭ. წიგნები 1 ადგ. 48 კლგ., № 268940—ბარგი 1 ადგ. 91 კლგ., № 413020—ს | ბარგი, 1 ადგ. 25 კლგ., № 1493—ბარგი 1 ადგ. 4 კლგ., № 255531—ს | ბარგი, 1 ადგ. 10 კლგ., № 238510—ხის გალია 1 ადგ. 19 კლგ., № 102243—თუნუქის ვანა 1 ადგ., № 2118|4—ძველი გაზ. ქაღალდი 1 ადგ. 8 კლგ., № 208403—სიმინდის ფქვილი 1 ადგ. 58 კლგ.

უდოკუმენტო ტვირთი

№ 123—მარილი 1 ადგ. 62 კლგ., № 122—ტილო 1 ადგ. 30 კლგ., № 125—სიმინდის ფქვილი 1 ადგ. 21 კლგ., № 117—ტყავის ტუფლები, 1 ადგ., № 119—ჟაკეტი 1 ადგ., № 116—უდოკუმ. საქ. 2 ადგ. 23 ნახ კლგ., № 121—სიმინდის ფქვილი 1 ადგ. 19 კლგ., და მეჭ. დაზ. 1 ადგ. 5 ნახ. კლგ., № 3283—უდოკუმენტო საქონელი 1 ადგილი 25 კლგ. № 175033—მანუფაქტურა 1 ადგ. 5 კლგ., № 3934—მავთული 1 ადგ. 55 კლგ., № 3265—თივის სათიბი 1 ადგ. 223 კლგ., № 129859—წიგნები 7 კლგ., № 120837—ტყავის რემენი 2 ადგ. 10 კლგ., № 120888—„ალიჩა“ 4 ადგ. 218 კლგ., № 51449—საშინაო ნივთები 2 ადგ., 46 კლგ., № 88100—უდოკუმ. საქონელი 1 ადგ. 11 კლგ., № 3363—ხის კასრი 1 ადგ. 35 კლგ.

ნ. 338

მოწინავეთა საყურადღებოთ
გამოვიდა და იყიდება
ფ. ი. მიხალევსკის
„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი“
(ქართულ ენაზე)
მისამართი: გაზ. „კომუნისტის“-ს მთავარი კანტორა, რუსთველის პროსპექტი № 34

საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული მუშათა საბინაო მშენებლობის დამხმარე კომიტეტი აცხადებს

კონკურსს

ორ სართულიან—ოთხბინიან ტიპიურ მუშათა სახლის პროექტის შესადგენათ.

ამონაწერი კომიტეტის მიერ 1926 წ. 3 დეკემბრის სხდომაზე დამტკიცებულ პროგრამიდან, ოქმი № 11.

მუხ. 15. შედარებით უკეთეს პროექტებისათვის, რომლებიც დააკმაყოფილებენ კონკურსის პირობების მოთხოვნილებას, გაიცემა 2 პრემია:

1 პრემია . . . . . 600 მანეთი
2 პრემია . . . . . 400 მან.

მუხ. 16. კომისია იტოვებს უფლებას პრემიის გარეშე დარჩენილი პროექტები შეიძინოს თითო 200 მანეთად.

შესატანი თანხა შეტანილია თბილისის კომუნალურ ბანკში მიმდ. ანგ. № 471.

მუხ. 17. პრემიის გარეშე დარჩენილი პროექტების დევიზები გახსნილი არ იქნება.

მუხ. 21. პროექტები უნდა იქნეს წარდგენილი საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატთან არსებულ მუშათა საბინაო მშენებლობის დამხმარე კომიტეტში (თბილისი, ძნელაძის—ყოფ. საპიორის ქ. № 30. მე-3 სართული, ოთახი № 5). სხვა ქალაქებიდან პროექტები უნდა გადმოიგზავნოს ფოსტით და ამასთანავე ტელეგრაფით უნდა აცნობონ გადაგზავნის შესახებ კომიტეტს, დევიზის მოწერით, იქვე შეიძლება ყოველგვარი ცნობების და აგრეთვე კონკურსის პროგრამის მიღება ამხ. პ. ი შენგელიასთან.

ნ. 327 3—2

სახალხო მამულთა ტრესტი

ამით აცხადებს, რომ

იოსებ ნიკოლოზის-ძე შურღაია

ამ ჟამად აღარ ითვლება ტრესტის ვოიაჟორათ.

ნ. 343

საქ. ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული, წითელ ჯარიდან დემობილიზაციით განთავისუფლებულ უფროსმდგენლობათა სამსახურში მომწყობი მთავრობის კომისიის ქ | კომისია

წინადადებას აძლევს აღრიცხვაზე აყვანილ უკანასკნელ დემობილიზაციაში მოყოლილ უფ-შემადგენლობის პირებს,

რათა გამოცხადდნენ ქ | კომისიაში (საქ. შრომის სახალხო კომისარიატი, ოთახი № 13) სამსახურში დასანიშნავათ ა. წ. დეკემბრის თვის 15, 16, 17 და 18 რიცხვებში.

ვინც აღნიშნულ ვადაში არ გამოცხადდებიან—მოხსნილი იქნება გასანაწილებელთა რიგიდან.

ნ. 341. ქ | კომისიის თავმჯდომარე ვ. კვირიკაშვილი.

ექიმი ა. დ. შახბაზიან
ქალთა, სამეანო და ქალთა საშარდო სნეულებათა ავადმყოფების მიღება ყოველდღიურათ სალამოს 5-დან 7 საათამდე; დუმბაძის ქ. 30 (ყოფილი ველიამინოვის ქ.) 25—1

მედიცინის დოქტორი
გ. ა. ახვერდოვი
ვენერიული და სიფილისი დილის 9—12 საათამდე, სალამოს 6-დან 8-მდე; პლეხანოვის № 7 (ვერონცოვის ყოფ. ძეგლთან) შესავალი სახლის კუთხიდან.

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი გრ. ა. დანელია

ამით აცხადებს, რომ ის 17 დეკემბერს 1926 წ. დღის 1 საათზე სახლში № 82 ლენინის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის იოსებ მიქელოვის მოძრავ ქონებას: სასადილო „ფანტაზია“-ს მოწყობილობას, ფრაკეულობის ჭურჭლებს, ვენურ სკამებს, მაგიდებს და სხვა, შეფასებულს 634 მანეთად, 95 კაპ. სახ. კვების კავშირის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 2 დეკემბერს 1926 წ. თარიღით, № 5264 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა.

ქ. თბ. მე-2 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი ლ. ს. სვიატოდუხოვი

ამით აცხადებს, რომ ის 17 დეკემბერს 1926 წ. დღის 12 საათზე სახლში № 4 მილიციის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მიხეილ და სარქის აბოვიანცის მოძრავ ქონებას: 41 კასრს, ექვს დიდ ყუთს, ორ სასწორს, ხუთ ცარიელ ყუთს და სხვა შეფასებულს 151 მანეთად, სარქის იაგუბოვის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-2 უბნ. სახალხო სასამართლოსაგან 17 ნოემბერს 1926 წ. თარიღით, № 4151 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 914

ცაგერის უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ნემსაძე

ამით აცხადებს, რომ 23 დეკემბერს 1926 წ. დღის 12 საათზე ქ. ცაგერს ირაკლი საჩინოს-ძე ჩაკვეტაძის ეზოში დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა** უკანასკნელის ქონების გასაყიდათ. ქონება შეიცავს ერთს ორ სართულიან სახლს ზედა სართული ხისა და ქვედა-ქვიტკირის და შესდგება ორ ოთახისაგან; ზედა სართული დაუმთავრებელი, დახურულია ყავრით, აგებულია ქ. ცაგერში, შეფასებ. 265 მან., რომელი თანხიდანაც დაიწყება ვაჭრობა—იასონ გამყრელიძის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ცაგერის უბნის სახალხო სასამართლოსაგან 14 მაისს 1926 წ. თარიღით № 432 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ეს სახლი დაგირავებული აქვს კლემენტი სერაფიონის-ძე ჯანგავაძეს 1500 მანეთში, გირაობის საბუთით სანოტარო კანტორაში 14 აპრილს 1926 წ. მსურველებმა ვაჭრობაში უნდა დაიცონ სამოქ. საპ. კოდ. 311 მუხ. მოთხოვნილება. 910

ცაგერის უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ნემსაძე

ამით აცხადებს, რომ 28 დეკემბერს, დღის 1 საათზე სოფ. ცხუკუშერის ანდრია და გრიგოლ სვანიძეების ეზოში დანიშნულია მეორე **საჯარო ვაჭრობა** უკანასკნელების მოძრავი ქონების გასასყიდათ. ქონება შეიცავს: 1) ყაცხვის ხის ბეღელს, 2) ერთს ხის უბრალო სახაბაზოს გადასატანით, 3) თუჯის საშუალო ქვაბს, 4) ერთს მაგიდას, 5) სამ „ტაბურეტკას“, 6) ერთს ხის ტახტს, 7) ერთს სკამლოგინს, 8) ერთს ხანჯალს და 9) ერთს ფარდაგს, შეფასებულს 94 მან. 50 კ. მექვენის „ეპოს“ ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად დასავლეთ. საქ. ოლქის სასამართლოსაგან 12 ივნისს 1925 წ. თარიღით № 6356 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 910

საჩხერის უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ივ. აბაშიძე

ამით აცხადებს, რომ ს. სხვიტორში 29 ამა დეკემბერს დღისით 12 საათზე დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა** ერთი ორ სართულიანი ქვიტკირის სახლის დასანგრევათ და გადასატანათ, სახლი შეიცავს შვიდ თვალი ოთახს თავის დერეფანით, დახურულია კრამიტით, ერთი წისქვილით ერთ თვალიანით მდინარე ჩხერაზე თავის საწისქვილო ადგილით და არხით, დახურული კრამიტით შეფასებული სამას მანეთად სამსონს ოთარის-ძე გელოვანისა დასაკმაყოფილებლათ მარიამ გამყრელიძის ვალისა 450 მან., თანახმად აღმასრულებელი ფურცლისა ჭიათურის უბნის სახალხო სასამართლოსი 31 ივლისის 1926 წ. თარიღით № 1879 გაცემულის. 919

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი გ. ბალდასაროვი

ამით აცხადებს, რომ ის 16 დეკემბერს 1926 წ., დღის 2 საათზე სახლში № 176 კლარა ცეტკინის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის იოსებ მაკედონსკის და სხვ. მოძრავ ქონებას: სასადილოს მოწყობილობას შეფასებულს 288 მანეთად, სახალხო კვების კავშირის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 8 დეკემბერს 1926 წ. თარიღით, № 5335 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 918

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, კორგანოვის ქ., № 20 25—21

ექიმი
ე. მ. მძინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება 1—2 ს. და საღამოთი 6—8 ს. ქალების და ბავშვების 5—6 ს.
რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი წულუკიძის ქუჩიდან ყოფ. კრუზენშტერნის ქ.) 25—1

ექ. ი. დ. თოფურიძე
კალინინის ქ. (ყოფ. ნიკოლოზის) № 33 იღებს ავადმყოფებს კანის, ვენერიული და სიფილისი (აგრეთვე საიქსო ორგანოთა მწვავე და ქრონიკული დაავადებით).
დილის 8—9 საათ.—სალამოს 4—8 ს.

ექიმი
მ. ო. ზანდუკელი
შინაგანი და ნერვიული სნეულებანი, ელექტრო-სხივებით მკურნალობის კაბინეტი, კვარცთერაპია, იონტო-თერაპია.
მიღება 6—7 საათ. საღ. ლენინის ქ. № 49. ტელეფ. № 4—82. 25—1
ქვ. 788

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და სალამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე საპიორის ქუჩა, № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—

ექიმი
მეზრაბიანცი
ფილტვების, ყელის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. ხელოვნური მთის მზე. იონტო-თერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ.
ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ., 852 25—1

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., სალამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8. 25—1

ექიმი ჯალალოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე სალამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—16 25—5

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი
პლეხანოვის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ. „ბო-მონდი“).
კარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (ხმიშვნებების ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.
25—1

ექიმი
არსენ ვადაჭკორია
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება
ქალთა სნეულებანი და საბებიო ავადმყოფობანი დილის 9—12 საათამდე და სალამოს 4—6 საათამდე.
ლენინის (ყოფილი ოლღას) ქუჩა № 35
854 13—1

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულობანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, სალამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე.
ელისაბედის ქუჩა, № 3. 5

ა. ვ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი“
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან 25—1

ექიმი-ქალი
თოფურიძე-ფანიევა
იღებს ქალთა და საბებიო სნეულებით დაავადებულთ. სალამოს 5-დან 7 საათამდე.
მისამართი: ლადო დუმბაძის ქ 10 (ყოფ. ველიამინოვის ქ. ერევნის მოედნის ახლოს) ტელ. 19—12.

ექიმი
მ. ს. არჯევანიძე
გადავიდა
ლენინის ქუჩა № 3 (ყ. მელიქ აზარიანცისა) სამეანო და ქალთა სნეულებანი. დღის 2—4 სათ. და სალამოს 6—7

ყველასათვის ხელმისაწვდომი
სამშობიარო თავშესაფარი
ს. ივ. არარატოვისა
დიდი ვანქის ქ. № 6.
სამშობიაროდ მიღება—25-დან 50 მანეთამდე. ეშობიარობა და შემდეგ კვება 7 დღის განმავლობაში. ქალთა სნეულებებისათვის—2 მ. 50 კაპ.—4 მანეთამდე. 2—

ექიმი
ს. ი. ვოლოხი
განაახლა ავადმყოფების მიღება ქალთა სნეულებანი და საბებიო ავადმყოფობანი. სალამოს 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა.
23—1 ყოფილი ბებუთის ქ. № 5

ექიმი
ი. პ. მჭედლიშვილი
შინაგანი სნეულებანი. სპეციალ. კუჭით და ნაწლავებით ავადმყოფთა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ავადმყ. ღებულობს 5—6 ს. ქუჩა სანაპირო (ყოფილი ნაზაროვისა) № 7—ვერის ხიდთან. ტელეფ. № 15—02
25—1

დაიკარგა განათლების მუშაკთა კავშირის წიგნაკი № 4137, ბარბარე (ოლღა) სულუხიას სახელზე, ჩ. გ.

დაიკარგა სოფლის მაზრის შინამრეწველთა კავშირის საწევრო წიგნაკი № 419 სარდიონ ისაკისძე დარჩიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 913

დაიკარგა პირადი წიგნაკი № 29, გაცემული მარტვილის რაისამხედრო მაგიდის გამგის მიერ, ნოე ბეკოსძე გაბისონიას სახელზე, ჩ. გ. 913

დაიკარგა სამხედრო საღრიცხვო ბარათი № 16 კოლია შანიძის სახელზე, ჩ. გ. 922

დაიკარგა საბჭ. და სავაჭრო მუშაკების პროფკავშირის წიგნაკი № 11967 ლევ მიხეილისძე ჰოზამენტიროვის სახელზე, ჩ. გ. 921

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 4672 სერგო ბაგრატისძე ამირეჯანოვის სახელზე, ჩ. გ. 912

დაიკარგა პირადი წიგნაკი ფ. № 4, გაცემული ნოქალაქევის სამხედრო მაგიდის გამგის მიერ № 608 კირილე შაათავას სახელზე, ჩ. გ. 913

დაიკარგა პირადობის მოწმობა კიწის თემაღმასკომის მიერ მოცემული № 35 ივლიანე გოგიაძე პერტაიას სახელზე, ჩ. გ. 913

დაიკარგა მოწმობა № 2466 დადუნაშვილის სახელზე სკოლის შტამპის ბეჭდის გაკეთების შესახებ, ჩ. გ. 911

დაიკარგა მთლიანი მუშათა კოოპერატივის საწევრო წიგნაკი № 5940 ვლადიმერ კობერიძეს სახელზე, ჩ. გ. 917

დაიკარგა გემო-კვების პროფკავშირის წიგნაკი, თბ. მ. მ. ა. ჩ. მიცემული განკორწინების მოწმობა და ვეჯრის წერის მოწმობა რუსულ და ქართულ ენაზე ანნა გულიკოვას სახელზე, ჩ. გ. 920

დაიკარგა პარტ-მანდატის სამხედრო მოწმობა № 20, წიგნაკი რკინის გზის კავშირის № 42407 მოწმობა თემკომის მიერ მიცემული რომ 1918 წ. ვმუშაობდი კომპარტიაში, სურათი ჩემი მოწმობით, სამსახურის მოწმობა და სამსახურის საანგარიშო წიგნაკი ლავრენტი ზუზაშვილის სახელზე, ჩ. გ. 909

ალმასკომის სტამბა, კამოს ქ. 68.